ფინანსურმა პოლიციამ "უშბა" დალუქა A4

ვამაყობ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ამგვარი კვალიფიკაციის მინისტრი A8

რეალიები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 23 მარტი, 2004 წელი. №69 (618)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**ცესკო-მ აჭარაში წინასწარი რეგისტრაციის ვადა არ გააგრძელა**

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა თხოვნა და რეგიონში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ვადა არ გააგრძელა. ასე რომ, ამომრჩეველთა რაოდენობა აჭარაში კვლავაც დაუდგენელია.

A3

### ეკონომიკა

**"საუკუნის მშენებლობებს" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო მიხედავს**

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მისამართს იცვლის და კახეთის გზატკეცილზე, "ნავთობსადენის კომპანიის" ოფისში გადადის. თუმცა, როგორც გაირკვა, კორპორაცია არა მხოლოდ მისამართს, არამედ სტატუსსაც იცვლის და სულ მალე ის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაექვემდებარება.

A4

### უცხოეთი

**შეიხ აჰმედ იასინი ლიკვიდირებულია**

2004 წლის 22 მარტი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან თარიღად შევა. გუშინ ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ძალებმა, სარაკეტო დარტყმით, რადიკალური მოძრაობა ჰამასის სულიერი ლიდერი შეიხ აჰმედ იასინი გაანადგურეს.

A5

### საზოგადოება

**ძველი ავტორების ახალი სატენდერო პირობები**

როგორც საკრებულოს ფრაქცია გაერთიანებული დემოკრატების წარმომადგენელი დავით ხუციშვილი აცხადებს, ქალაქის აღმასრულებელმა უწყებებმა სატენდერო პირობების მომზადება ჯერ განგებ გააჭიანურეს, ახლა კი აჩქარდნენ, საქმის მოგვარებას ქალაქის მთავრობის დამტკიცებამდე ცდილობენ.

A6

### სამართალი

**გენერალურმა პროკურატურამ აჭარაში საქმეების გადასინჯვის პირველი ეტაპი დაასრულა**

წლების მანძილზე აუღებელი ციხე-სიმაგრეები - აჭარის სამართალდამცველი სტრუქტურები ახლა აჭარის საპყრობილეში გამოკეტილ უკანონო პატიმართა საქმეებს ახალ სამართლებრივ შეფასებას გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთა გადაწყვეტილების საფუძველზე მისცემენ.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | ☼ |
| ქუთაისი | 24 | ☼ |
| ბათუმი | 23 | ☼ |
| სოხუმი | 23 | ☼ |
| ფოთი | 23 | ☼ |
| თელავი | 21 | ☼ |
| ზუგდიდი | 24 | ☼ |
| გორი | 20 | ☼ |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4566 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6644 |
| რუბლი | 0.0701 |

# პოლიციელების ზურგს არ ვეფარები

მაია ჟალაგანიძე

*ჩვენს გაზეთში ბავშვების წერილები იბეჭდება ხოლმე. ერთი პატარა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსაც წერდა. ბარათი, დაახლოებით, ასეთი შინაარსის იყო: ძალიან არ მომწონს ტელევიზორში დაჭერებს რომ უჩვენებენ, მეშინია... მაგრამ, თურმე ეს კარგი ყოფილა, ამას რეფორმები ჰქვიაო... ბატონ გია ბარამიძესაც დავუსვით ეს შეკითხვა.*

**- დაპირებული რეფორმები ანტიკრიმინალური ოპერაციებიც არის?**

- რეფორმები, პრინციპში, დაწყებულია, მაგრამ ფართომასშტაბიანი რეფორმების დაწყებას სერიოზული პროგრამის მომზადება ესაჭიროება.

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# "ფერო"

## რუსული ბიზნესის მორიგი სამიზნე

რევაზ საყევარიშვილი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციამ მსოფლიო ფეროშენადნობთა ბაზრის 6 პროცენტი დაიკავა. ეს არის ისტორიული მაქსიმუმი, რისთვისაც ქართულ წარმოებას მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე მიუღწევია. თუმცა, ეს მიღწევა რამდენადაც სასურველია, იმდენად მომეტებული პრობლემების აღმძვრელი შეიძლება აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, "ფერო" კვლავაც მყარად დგას იმ საწარმოთა რიგში, რომელთა გარშემო არაჯანსაღი აჟიოტაჟი უკვე დიდი ხანია, გრძელდება და არც საიმისო პირი უჩანს, რომ ეს პროცესები მალე დასრულდება. საერთაშორისო ბაზარზე მიღწეული წარმატებები "ფეროსადმი" ინტერესს და, შესაბამისად, მისთვის ბრძოლაში ჩართულთა ჟინს მხოლოდ უმატებს ხოლმე. ასე იყო, როცა საწარმო კვლავ ამუშავდა, ასე იყო, როცა ხარისხის სერტიფიკატი მიიღო და ასეა ახლაც, როცა ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება და გაყიდვების გეოგრაფიაც ფართოვდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

# გახმაურებული ამბის გაუხმაურებელი დეტალები

ყველაფერი, თითქოს, მოულოდნელად დაიწყო. მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი აჭარაში. თუმცა, მას, ასე თუ ისე, იქ მაინც ელოდნენ, ან, უფრო სწორად, არ ელოდნენ, რადგან ჩოლოქზე გამავალი ადმინისტრაციული საზღვარი პრეზიდენტისა და მისი კორტეჟისთვის მოულოდნელად დაბლოკილი აღმოჩნდა. მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენების შემდგომი განვითარებაც. ამდენი მოულოდნელობა კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაძაბული მოლოდინის ხანგრძლივი დღეებით დასრულდა, რომლებიც ასევე მრავალი მოულოდნელობებით აღმოჩნდა აღსავსე. ამაზე შემდგომ, მანამდე კი - ვინ რას ელოდა.

უფრო მარტივი, ალბათ, იმის თქმა იქნებოდა, რომ ყველა თავისას ელოდა: მშვიდობის სადარაჯოზე ჩოლოქის საზღვართან ღამენათევი შეიარაღებული გუშაგები იმას, რომ სპეციალური მანქანებით შემოტანილი, მათთვის განკუთვნილი ცხელი პური დარიგდებოდა; აჭარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც დაუფიქრებლად დატოვა ტერიტორია - იმას, რომ სამოქალაქო ომი დაიწყებოდა;

გაგრძელება B6 გვერდზე




მდინარე ჩოლოქზე

# ევროკავშირი ტერორიზმის წინააღმდეგ

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ ბრიუსელში ტერორიზმის თემაზე სასაუბროდ შეიკრიბნენ. სამიტის წინ, ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ თქვა: **ტერორიზმის საფრთხე ყველა ევროპულ ქვეყანას თანაბრად ემუქრება და ჩვენ ერთობლივად უნდა ვიმოქმედოთ**. ერთობლივი მოქმედების უზრუნველყოფას კი ევროპის ლიდერები ანტიტერორისტულ პოლიტიკაში ევროკავშირის კოორდინატორის ინსტიტუტის შემოღებით აპირებენ.

გუშინდელ შეხვედრას წინ უსწრებდა გასული კვირის ერთდღიანი თათბირი, სადაც ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები ტერორიზმის საკითხებში კოორდინირებული მოქმედების აუცილებლობას აღნიშნავდნენ. ევროკავშირის ქვეყნებმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში თანამეგობრობის წარმომადგენელს, ჰავიერ სოლანას ტერორიზმთან ბრძოლისათვის ევროკავშირის ხელთ არსებული რესურსების შეფასება დაავალეს. ბრიუსელში არსებობს აზრი, რომ ანტიტერორისტული მოქმედებების კოორდინაციისათვის ინსტიტუციური ცვლილებებია საჭირო. სწორედ ასეთ ცვლილებად განიხილება ერთიანი კოორდინატორის ინსტიტუტის შემოღება. რამდენიმე ევროპულ დედაქალაქში მიიჩნევენ, რომ სასურველია ევროკავშირს საკუთარი სპეცსამსახურიც კი ჰქონდეს, რომელიც ეროვნული სპეცსამსახურების კოორდინაციას მოახდენდა.

საგარეო საქმეთა მინისტრების გუშინდელი შეხვედრა, თავის მხრივ, 26-27 მარტს დაგეგმილი ევროკავშირის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა სამიტის მომზადებას ითვალისწინებდა. საბოლოო გადაწყვეტილებები სწორედ ამ სამიტზე უნდა მიიღონ.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

რომანო პროდი ევროპას ერთიანობისკენ მოუწოდებს.

# ტიპური პროვოკაცია

### აბაშიძეს ახალი ეკონომიკური სანქციები ელის?

თამარ ხორბალაძე

უნიჭო სცენარისტის მიერ შექმნილი პროვოკაციული, საკმაოდ ტიპური გეგმის შესაბამისად მოქმედებს დღეს აჭარის ავტონომიის ლიდერი, რომელმაც, როგორც "24 საათი" უკვე იტყობინებოდა, კვირას ევროსაბჭოს კომისართან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მზად არის, ავტონომიის ტერიტორიაზე მოქმედი საგანგებო მდგომარეობა გააუქმოს, თუ საქართველოს გენერალური პროკურატურა შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეებს აჭარის მაღალჩინოსნების მიმართ, საზღვაო ბანკს საქართველოს ეროვნული ბანკი ლიცენზიას აღუდგენს და ასლან აბაშიძის წარმომადგენლები დაინიშნებიან ფოთის პორტსა და ვალეს საბაჟოზე.

გუშინ აბაშიძის განცხადებას ცენტრის ოფიციალური გამოხმაურება მოჰყვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# კიდევ ერთი ხელშეუხებელი პიროვნება დაპატიმრებულია

თამარ კაციტაძე

*ჩვენ დაუძინებელი ბრძოლა გამოვუცხადეთ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს და კანონიერ ქურდებს; მაგრამ, არიან ისეთებიც, რომლებსაც შავ სამყაროში არანაირი ხარისხი არ გააჩნიათ, თუმცა საშიშროების თვალსაზრისით უფრო მეტად დაუნდობლები არიან, ვიდრე რამდენიმე კანონიერი ქურდი ერთად, - ასეთი შესავალი გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, ვიდრე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის - ჯიმი ყიფიანის ძმისშვილის, ვახტანგ (ვატო) ყიფიანის დაპატიმრების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა მასმედიას.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# შიმშილობა ქიზიყში

ზვიად რუაძე

კახეთიდან

*წინასაარჩევნო დაძაბულობა კახეთის რეგიონში დღითიდღე მატულობს. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სიღნაღში. გუშინ ქიზიყელებმა უკვე პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართეს, მათ შიმშილობის აქცია დაიწყეს.*

კახეთის რეგიონში სავარძლებისთვის ბრძოლა ვარდების რევოლუციიდან ერთ კვირაში დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი უთანხმოებამ "ნაციონალური მოძრაობის" და "გაერთიანებული დემოკრატების" რაიონულ ორგანიზაციებში. პირველად კი ვითარება სიღნაღის რაიონში გამწვავდა. ამის შესახებ გაზეთი "24 საათი" უკვე წერდა. მდგომარეობის დაძაბვაში მაშინ ქიზიყელი ნაციონალები" რაიონის ექს-გამგებელს მალხაზ ბეგიაშვილს ადანაშაულებდნენ. როგორც ქიზიყელები ამბობდნენ, რაიონის გამგებლად მალხაზ მჭედლიშვილის დანიშვნა, ბეგიაშვილის ინიციატივით მოხდა. ნავთზე ცეცხლი კი მას შემდეგ დაესხა, როცა თავის დროზე კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა თამაზ ხიდაშელმა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად თენგიზ ბეჟაშვილი დანიშნა, რომელმაც, არც აცია, არც აცხელა და მალხაზ ბეგიაშვილი მიწის ურჩ გადამხდელთა სიაში ჩაწერა...

მართალია შემდეგ მოვლენები ჩაწყნარდა, მჭედლიშვილიც დროებით თანამდებობიდან წავიდა,

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რეალიები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "ედპ-ტრადიციონალისტებს" "პრემიერლიგა" არ ეთმობათ


აკაკი ასათიანი და ბაჩუკი ქარდავა იმედიანად არიან.

*ასეთი მშვიდი წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. საპარლამენტო არჩევნებამდე მხოლოდ ხუთი დღეა დარჩენილი, მაგრამ საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში არანაირი დაძაბულობა და ვნებათაღელვა არ იგრძნობა. ამ უჩვეულო "სტაბილურობას" ის ფაქტი განაპირობებს, რომ 28 მარტის არჩევნებში გამარჯვებულის ვინაობა, პრაქტიკულად, უკვე ცნობილია - "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" გაერთიანებული გუნდის "გაჩემპიონებაში" არავის ეპარება ეჭვი. ბრძოლა მხოლოდ ქართული პოლიტიკის "პრემიერლიგაში" ადგილ(ებ)ის შესანარჩუნებლად მიმდინარეობს - ოპოზიციური პარტიების ოცნების მწვერვალს შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა წარმოადგენს.*

პოლიტიკური ელიტიდან "გავარდნის" კანდიდატებს შორის ტრადიციონალისტებიც არიან. პარლამენტს გარეთ დარჩენის საფრთხის თავიდან ასაცილებლად მათ გარკვეულ ზომებს უკვე მიმართეს - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან დაწყვილდნენ. თუმცა, საეჭვოა, ამით ბევრი რამ შეიცვალოს: აკაკი ასათიანისა და ბაჩუკი ქარდავას პოლიტიკური ბლოკის შანსები მაინც მიზერულია. ამ მოსაზრებას ადასტურებს გასულ კვირას რამდენიმე ორგანიზაციის (ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი, სოროსის ფონდი, "ბისიჯი რისერჩი") მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, "ედპ-ტრადიციონალისტების" რეიტინგი 5,4 პროცენტს შეადგენს.

თუმცა, ბლოკის ლიდერები იხტიბარს არ იტეხენ და ხმამაღლა აცხადებენ, რომ ახლადარჩეულ საკანონმდებლო ორგანოში სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ. აკაკი ასათიანის თქმით, 28 მარტის არჩევნებში "ედპ-ტრადიციონალისტებს" 10 პროცენტის მოგროვება ხელეწიფება.

**"შევთანხმდეთ ამ ციფრზე, დავკრათ ხელი ხელს და გადავკოცნოთ ერთმანეთი,"** - ჟურნალისტებთან "გარიგებას" ცდილობს ასათიანი, რომელმაც, ბაჩუკი ქარდავასთან ერთად, გუშინ, სასტუმრო "მერიოტში" მასმედიის წარმომადგენლებს საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტები გააცნო.

იგივე საქმიანობით იყო დაკავებული ბლოკის კიდევ ორი სხვა ლიდერი, ირაკლი ქადაგიშვილი და ირაკლი მელაშვილი. გუშინ მათ ანალოგიური "პროცედურა" (საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია) "არჩევნების მედია-ცენტრში" ჩაატარეს.

"ედპ-ტრადიციონალისტების" საარჩევნო პროგრამაში წინა პლანზე ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხია წამოწეული.

**"დღეს არსებულ 70-80 ადმინისტრაციულ ერთეულს ცენტრი სრულყოფილად ვერ აკონტროლებს. რაიონების გამსხვილება კი მრავალი პრობლემის მოგვარებას გააიოლებს,"** - ამტკიცებს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე. ამასთან, იგი გამოდის ინიციატივით, რომ აფხაზებთან გაფორმდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც, კონსტიტუციური შეთანხმების სახით, დააფიქსირებს აფხაზეთის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში.

**"უნდა გავბედოთ და ვიფიქროთ ისეთ კომპრომისზე, რომლის საფუძველიც იქნება არა გაფართოებული ავტონომია, არამედ კონსტიტუციური შეთანხმება. საამისო ნიადაგი უკვე მოსინჯული გვაქვს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მიდგომას მხარს დაუჭერს როგორც აფხაზთა პოლიტიკური ელიტა, ისე ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი,"** - აღნიშნავს ასათიანი.

საარჩევნო პროგრამაში აქცენტი კეთდება რეგიონული თანამშრომლობის საკითხებზეც. კერძოდ, ჩაფიქრებულია რამდენიმე სტრუქტურის (კავკასიის ეკონომიკური საბჭო, კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის ცენტრი, კავკასიური პარლამენტი) შექმნა, რამაც, პროგრამის პრეზენტატორთა აზრით, ხელი უნდა შეუწყოს ქართული პოლიტიკის კავკასიური მიმართულების გააქტიურებას.

"ედპ-ტრადიციონალისტების" პროგრამაზე არცთუ მაღალი წარმოდგენა აქვს ექსპერტ დავით უსუფაშვილს. მისი თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტში სხვადასხვა საკითხები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის და არ ჩანს, ერთი ჩანაფიქრის რეალიზება სხვა სფეროებზე როგორ აისახება.

**"ეს არ არის კლასიკური პროგრამა. მასში ბევრი რამ სურვილებისა და აფორიზმების დონეზეა წარმოდგენილი. პროგრამაში საერთოდ არაფერია ნათქვამი ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროზე, როგორიც არის სასამართლო სისტემისა და, საერთოდ, სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირება,"** - დოკუმენტის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, თავის უკმაყოფილებას ვერ ფარავს უსუფაშვილი.

თუმცა, მემარჯვენე ოპოზიციონერების ოპტიმიზმს ეს ოდნავადაც ვერ ანელებს. **"ბევრ რეგიონში კარგი პოზიციები გვაქვს. ინტელიგენციისა და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მხარს გვიჭერენ. ამიტომ, 28 მარტს სერიოზულად ვიბრძოლებთ",** - არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე ამაღლებულ განწყობაზეა აკაკი ასათიანი.

*გიორგი ასანიშვილი*

## შიმშილობა ქიზიყში

პირველი გვერდიდან

მაგრამ 4 მარტს ვითარება ხელახლა გამწვავდა. მალხაზ ბეგიაშვილი ამჯერად ქიზიყელებს ახალ ამპლუაში, ნაციონალები-დემოკრატების" საარჩევნო შტაბის უფროსად ევლინება. ამ დროს ბრუნდება შვებულებიდან მალხაზ მჭედლიშვილიც და იგი გამგებლის თანამდებობაზე მუშაობას იწყებს, რაც ქიზიყელებისთვის მოულოდნელი იყო და ამის შემდეგ უჩნდება ბზარი სიღნაღში სახაელისუფლებო პარტიას.

მალხაზ ბეგიაშვილის და მალხაზ მჭედლიშვილის საწინააღმდეგო აქცია 8 მარტს დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქციის მონაწილეები, ძირითადად, მანდილოსნები არიან. ისინი ახალი გამგებლის მოსვლას და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში ბეგიაშვილის პარტიული სიით მონაწილეობას აპროტესტებენ და ამ ორი ჩინოვნიკის კორუმპირებულობაზე საუბრობენ.

არანკლებ ბრალდებას უყენებენ ქიზიყელები მალხაზ მჭედლიშვილს. მას აეროდრომის დაშლას და ჯართის სახით გაყიდვას აბრალებენ. როგორც აქციის წევრები აცხადებენ, ამის დამადასტურებელი ვიდეოფირიც კი ინახება მათთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქცია 8 მარტს დაიწყო, მაგრამ დღემდე აქციის წევრებს ხელისუფლების მხრიდან არავინ შეხვედრია. ამ ფაქტს ქიზიყელები ასე ხსნიან:

**ბეგიაშვილმაც და მჭედლიშვილმაც ასე გვითხრეს, ჩვენ ზურგს ჟვანია გვიმაგრებსო. და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ბატონ ზურაბს მივყავართ უფსკრულისკენ,"** - ამბობენ ორად გახლეჩილი ნაციონალური მოძრაობის წევრები. რაც შეეხება მალხაზ ბეგიაშვილს, როგორც ყოველთვის, იგი ახლაც მოუცლელი აღმოჩნდა, მის მაგივრად კი პოზიცია, შტაბის უფროსის მოადგილემ, მარიკა ჯანიაშვილმა დააფიქსირა: **თუ წარსულზე მიდგა საქმე, ყველამ თავისას გადახედოს. ყველამ კარგად იცის, თენგიზ ბეჟაშვილი რა სახელის პატრონი იყო და რატომ მოუხსნა დეპუტატის იმუნიტეტი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მას,"** - ამბობს იგი.

საგულისხმოა, რომ ამ დროისთვის სიღნაღის რაიონში 6 ქალბატონი შიმშილობს, ხოლო ოცდაათამდე ადამიანი მჯდომარე აქციას მართავს. **იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ ახლაც არ მოგვაქცია ყურადღება, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, რომ მიტინგი პარლამენტის შენობის წინ გავმართოთ, ხოლო არჩევნები ჩავშალოთ,"** - იმუქრებიან ქიზიყელები.

## ცესკო-მ აჭარაში წინასწარი რეგისტრაციის ვადა არ გააგრძელა

*გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა თხოვნა და რეგიონში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ვადა არ გააგრძელა. ასე რომ, ამომრჩეველთა რაოდენობა აჭარაში კვლავაც დაუდგენელია.*

ამავე დროს, ამ გადაწყვეტილებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი უნდობლობა იმ ოფიციალური მონაცემებისადმი, რომელიც აჭარის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინახება და რომლის თანახმადაც, რეგიონში 280 ათასი ამომრჩეველი ცხოვრობს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა კვლავ აცხადებს, რომ წინასწარი რეგისტრაცია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო და გამონაკლისი არც აჭარაა.

ცესკო-თვის მიუღებელი აღმოჩნდა ის არგუმენტი, რომლითაც რეგიონის ექვსი საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე საკუთარ თხოვნას ასაბუთებდა. შეგახსენებთ, რომ აჭარაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას კომისიების თავმჯდომარეები რეგიონში ერთი კვირის წინათ გავითარებული მოვლენების გამო ითხოვდნენ. მათი თქმით, დაძაბულმა პოლიტიკურმა ფონმა ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესი შეაფერხა.

ცესკო-მ, გადაწყვეტილების მიღებისას, ეს არგუმენტები არასაკმარისად მიიჩნია. მეტიც: კომისიის მდივნის, ნაციონალ დიმიტრი ქიტოშვილის თქმით, საოლქო კომისიებს საკმარისი დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ რეგისტრაცია ცესკო-ს მიერ დადგენილ ვადაში, ანუ 21 მარტამდე დაესრულებინათ. **ვადის გაგრძელების აუცილებლობა არ არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაცია კენჭისყრის დღესაც იქნება შესაძლებელი,** ამბობს ქიტოშვილი.

გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა აჭარის კიდევ ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დავით საფარიძეს ცესკო რამდენიმე ბრალდებას უყენებს.

ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ 21 მარტამდე რეგისტრირებული ამომრჩეველი ერთიან სიაში არ შეიყვანა. ამასთანავე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაწოდეს ხელვაჩაურის ერთ-ერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი ამომრჩევლის ყალბი მოწმობის ასლი.

ბუნებრივია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი გადაწყვეტილებები აჭარის ხელმძღვანელობის არაერთი მკვეთრი განცხადების საფუძველი გახდება. მით უფრო, რომ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ედნარ შამილიშვილის განცხადებით, აჭარაში 276 ათასი ამომრჩეველია, წინასწარი რეგისტრაცია კი მხოლოდ 40-მა პროცენტმა გაიარა. მისივე განცხადებით, წინასწარი რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, **საბოლოოდ შეწყდებოდა საუბრები იმის შესახებ, რომ აჭარაში სიები გაბერილია.**

სრულიად საპირისპიროს აცხადებენ რეგიონში მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები. ასე მაგალითად, გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარას ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე დიდ ტყუილს უწოდებს ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ედნარ შამილიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 276 ათასი ამომრჩეველია. მისი თქმით, აჭარაში, დაახლოებით, 200 ათასი ამომრჩეველია.

*თამარ ასათიანი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება

**2004 წლის 19 მარტი 129**

**თბილისი**

"საქართველოს საზღვაო ბანკისათვის" საბანკო ლიცენზიის გაუქმებისა და აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს ბანკების ფილიალების ფუნქციონირების შეჩერების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2004 წლის 16 მარტის №124 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2004 წლის 16 მარტის №124 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. განკარგულების მე-3 პუნქტში ლიკვიდატორი კობა თედორაძე შეიცვალოს ქეთევან ნოლაიდელით.
2. განკარგულებას დაემატოს მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. საქართველოს ეროვნული ბანკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა უზრუნველყოს სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" საკორესპონდენტო ანგარიშის სალიკვიდაციო ანგარიშად გარდაქმნა.

7. საქართველოს ეროვნული ბანკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა სს "საქართველოს საზღვაო ბანკს" დაუხუროს რეგულირების ფონდის ანგარიშები და ანგარიშებზე რიცხული თანხები ჩარიცხოს ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშზე.

8. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველომ და საქართველოს ეროვნული ბანკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა დაუხურონ სს "საქართველოს საზღვაო ბანკს" სავალუტო ანგარიშები და ანგარიშებზე რიცხული თანხები ჩაურიცხონ სალიკვიდაციო ანგარიშზე".

*ი. ვახტანგიშვილი*

## კონსტანტინე გამსახურდია იმუნიტეტის შენარჩუნების მომხრეა


კონსტანტინე გამსახურდია საარჩევნო კამპანიით კმაყოფილია.

კონსტანტინე გამსახურდიას გუშინ აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები ესაუბრნენ. ერთსაათიანი საუბრის დეტალებს პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლების ლიდერი არ ახმაურებს. **კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ზოგადად კი საუბარი ყველაფერზე იყო: პარტიის პროგრამაზე, საარჩევნო კამპანიაზე, ჩემზე და ჩემს წიგნებზე,** -აცხადებდა შეხვედრის შემდეგ გამსახურდია. თავად საელჩოს წარმომადგენლებისგან კი ჟურნალისტებს მსგავსი ძუნწი პასუხიც არ მიუღიათ, მათ უკომენტაროდ დატოვეს პარტიის ოფისი.

შეხვედრა საელჩოს წარმომადგენელთა ინიციატივით შედგა. კონსტანტინე გამსახურდიას ეს ფაქტი ნამდვილად არ აკვირვებს. მტკიცედ სწამს, რომ ამერიკელები მისი, როგორც ახალი პოლიტიკური სახის გარდა, მისი პოლიტიკური მოძრაობის საკმაოდ წარმატებული კამპანიის გამოც დაინტერესდნენ. ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი დარწმუნებულია, რომ მისი მოძრაობა, ამომრჩეველთა ხმების დაცულობის შემთხვევაში, შვიდპროცენტიან ბარიერს ნამდვილად გადალახავს. საკუთარი პარტიის საარჩევნო პიარ კამპანიას გამსახურდია ერთდროულად არატრადიციული და თავდაჭერილი ყაიდის კამპანიად მიიჩნევს. უფრო იმიტომ, რომ თავისუფლებას საარჩევნოდ სატელევიზიო კლიპები არ დაუტრიალებია და, ძირითადად, ამომრჩევლებთან უშუალო კონტაქტს მიმართავს. თავდაჭერილობა თავად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, მახასიათებელი ნიშანიც უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, მან მამამისის ყოფილ მხარდამჭერებსა თუ მოწინააღმდეგეებზე საუბარი არ ისურვა. როგორც თავად აცხადებს, რადიკალური განცხადებისგან თავის შეკავება მას საკმაოდ უჭირს, მაგრამ ამას იგი ახალი პოლიტიკური ეთიკის დასამკვიდრებლად აკეთებს. თუმცა, საქმე არც ისეა, რომ მისი მხრიდან კრიტიკა საერთოდ არ იყოს. ეს მსუბუქი კრიტიკა გუშინ ახალ ხელისუფლებას ერგო, რომელიც ბევრ რამეს პოპულიზმისთვის აკეთებს. მათ შორის - დეპუტატის იმუნიტეტის შეზღუდვის შესახებ დეპუტატობის კანდიდატების ხელმოწერების შეგროვებასაც. გამსახურდია ფიქრობს, რომ იმუნიტეტი, სხვა ქვეყნების მსგავსად, პარლამენტის წევრებს საქართველოშიც უნდა იცავდეს.

*24 საათი*

## ყველა პირველი ლედი ვერ იქნება


სანდრა რულოვსი შეკითხვებს ხალისიანად პასუხობდა.

*საქართველოს პირველი ლედი ქართველ ქალებს გუშინ საათნახევრის განმავლობაში ინტერნეტით ესაუბრებოდა. საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) მიერ ორგანიზებული ამ აქციის ფარგლებში, მას კითხვები ქვეყნის, თითქმის, ყველა მსხვილი ქალაქიდან მოუვიდა. თბილისი, ქუთაისი, ფოთი, თელავი, გორი, რუსთავი - ასეთი გახლდათ ამ საუბრის გეოგრაფია.*

პროექტი ქალთა დღესთან დაკავშირებით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ პირველი ლედი მეტად დაკავებული აღმოჩნდა. **"ასეთი ურთიერთობა ჩემთვის ახალი არ არის,** - განაცხადა მოგვიანებით სანდრა რულოვსმა, - **მე მჭიდრო კავშირი მაქვს ინტერნეტთან. ქალები მესაუბრებიან თავიანთი გაჭირვების, დისკრიმინაციისა და მათზე ძალადობის შესახებ. ვცდილობ, ყვლა პრობლემურ კითხვას პასუხი გავცე. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ."**

პირველი ლედისთვის გაგზავნილი კითხვები, ძირითადად, სოციალური შინაარსის აღმოჩნდა, თუმცა იყო გამონაკლისებიც. ყველაზე ორიგინალური კითხვის ავტორი ფოთელი ქალბატონი აღმოჩნდა - ქალბატონო სანდრა, ურჩევთ თუ არა ჰოლანდიელ ქალებს ქართველი მამაკაცების ცოლობას?

კი, რატომაც არა, - უპასუხა ქალბატონმა სანდრამ, - მაგრამ, მათ შორის, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს საქართველოს პირველი ლედი.

სანდრა რულოვსი საკუთარი პასუხებით კმაყოფილი იყო, თუმცა დასმულ საკითხებს შორის უფრო მნიშვნელოვანიც ამოარჩია. **"ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო საკითხი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასთან დაკავშირებით,** - თქვა მან, - **საჭიროა, შევისწავლოთ ერთმანეთის საქმიანობა და ერთად ვეძებოთ სპონსორები. ფინანსურად ჩემი ორგანიზაციაც სპონსორებზეა დამოკიდებული."**

პირველი ლედი მომავალშიც აპირებს მსგავს აქციებში მონაწილეობას. გუშინ კი სინანულით აღნიშნა, რომ მასთან საუბარი ვერ შეძლეს აჭარელმა ქალბატონებმა: **"იმედია, ეს პრობლემა მალე მოგვარდება. საერთოდ, სამწუხაროა, რომ ქალებს ამდენი სოციალური პრობლემა აქვთ. უმჯობესი იქნება, თუ მათი ფიქრები უფრო ქალური საკითხებით იქნება დაკავებული. იმედი ვიქონიოთ, რომ მალე ამასაც მოვახერხებთ."**

*ნინო ბერელიძე*

## სომხური ინვესტიციები

ერთ-ერთი სომხური შემნახველი ბანკი მზად არის, შეისყიდოს საქართველოს ბანკი. ეს ინფორმაცია გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მიხაილ ბაგდასაროვზე დაყრდნობით გაავრცელა.

სააგენტოსთან მიცემულ ინტერვიუში ბაგდასაროვი აცხადებს, რომ სომხეთის შემნახველი ბანკის რამდენიმე წარმომადგენელი სარევიზიოდ ამჟამად თბილისში იმყოფება. მისივე ინფორმაციით, ისინი რამდენიმე დღეში ერევანში დაბრუნდებიან, რის შემდეგაც ბაგდასაროვი უფრო დეტალურად ისაუბრებს. ამ ეტაპზე ბანკის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ეს იქნება პირველი ყველაზე დიდი სომხური ინვესტიცია საქართველოში.

"24 საათი" დაუკავშირდა საქართველოს ბანკს, სადაც განაცხადეს, რომ შესაძლოა, სომეხი ბანკირები მართლაც ცდილობენ ქართული ბანკის წილის ყიდვას, თუმცა ეს არ ეხება "საქართველოს ბანკს". "24 საათს" ეროვნულ ბანკშიც დაუდასტურეს, რომ სმენიათ მსგავსი ინტერესის შესახებ, თუმცა ოფიციალურად მათთან ამის თაობაზე კავშირი არავის დაუმყარებია.

*24 საათი*

## "ვიზა" უნაღდო ანგარიშსწორებისთვის

გუშინ კინოთეატრ ამირანში "ქართუ"-ბანკმა პლასტიკური ვიზა-ბარათების მომსახურე სავაჭრო ობიექტებისთვის საგანგებო პრეზენტაცია გამართა, სადაც სუპერმარკეტებისა და მომსახურე ობიექტების მფლობელ-მენეჯერებს VISA-ბარათით მომსახურების წესების მოკლე კურსი ჩაუტარა. იქვე ბანკმა საუკეთესო სავაჭრო და მომსახურების ობიექტები საგანგებო დიპლომებით დააჯილდოვა.

უნაღდო ანგარიშსწორების კულტურას საქართველოში არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მსოფლიოში კი პლასტიკური ბარათები ყველაზე პოპულარული საგადასახადო საშუალებაა, ჩვენთან ეს "ახალი ხილი" სულ რაღაც ოთხი წელია, შემოვიდა. თავიდან ანგარიშსწორების ეს სისტემა ყოფილმა "აბსოლუტ-ბანკმა" შემოიტანა, დღეისათვის კი საქართველოში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებას რამდენიმე ბანკი, მათ შორის - "ქართუ", "თი-ბი-სი" და "საქართველოს ბანკი" ემსახურება; მაგრამ, როგორც ბანკ "ქართუს" გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ჩრდილელმა განაცხადა, "ქართუ" ერთადერთია, რომელიც VISA-ინტერნეიშენალმა თავად შეარჩია, რათა ის სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტების VISA უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას ემსახუროს.

"ვიზას პრინციპიდან გამომდინარე, ბარათი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დონის მომხმარებლისთვის. დღეს მომხმარებლები VISA-ბარათებს ყველა იმ რეგიონში გამოიყენებენ, სადაც ფილიალები აქვთ გახსნილი იმ ბანკებს, რომლებიც ამ სისტემას ემსახურებიან. მომსახურების ეს სისტემა, სავარაუდოდ, მალე საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს," - იმედოვნებს ჩრდილელი.

*24 საათი*

## "ბრითიშ ეირვეისი" საქართველოს ტოვებს

ავიაკომპანია "ბრითიშ ეირვეისი" საქართველოში თავის საქმიანობას წყვეტს და ოფისს 2004 წლის 31 მარტს დახურავს. როგორც ავიაკომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ამის მიზეზი გახდა საჰაერო მიმოსვლის გაურკვეველი ვადით შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

**"მიუხედავად საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს, ბრიტანეთის მთავრობის, საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და თავად კომპანიის გამუდმებული მცდელობისა - გამოესწორებინათ მდგომარეობა, უცვლელი დარჩა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, არ დაეშვა "ბრითიშ ეირვეისის" ფრენების აღდგენა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის",** - ნათქვამია განცხადებაში.

კომპანიის თბილისის ოფისმა ასევე გაავრცელა აღმასრულებელი დირექტორის დეზ ჰეთერინგტონის კომენტარი: **"დიდი სინანულით აღვნიშნავ, რომ ჩვენ იძულებული გავხდით, შეგვეწყვიტა საჰაერო მიმოსვლა საქართველოსა და ბრიტანეთს შორის. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ დროთა განმავლობაში საქმიანი გარემოს გაუმჯობესება საჰაერო მიმოსვლის აღდგენის საშუალებას მოგვცემს",** - აცხადებს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი.

ყველა მგზავრი, რომელსაც "ბრითიშ ეირვეისის" ბილეთი აქვს შეძენილი, უნდა დაუკავშირდეს თბილისის ოფისს 2004 წლის 31 მარტამდე. 1 აპრილიდან კი მგზავრებმა მათთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად უნდა მიმართონ "ბრითიშ ეირვეისის" ერევნის ოფისს ტელეფონზე +374 1521383.

*მედია-ნიუსი*

## შს მინისტრი პირობას ასრულებს

პოლიციამ ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში ჩატარებული სპეცოპერაციისას პოლიციელების მკვლელობაში მონაწილე ეჭვმიტანილების - დიკო ბარქაიას და ზაზა თაკილაძის ლიკვიდაცია მოახდინა. ბოროტმოქმედთა ლიკვიდაცია აუცილებელი გახდა მათი აყვანისას პოლიციელებისთვის გაწეული შეიარაღებული წინააღმდეგობის გამო, - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

## კანონიერ ქურდებს გავლენა აღარ აქვთ

წყალტუბოს პოლიციამ "კანონიერი ქურდები" აღრიცხვაზე აიყვანა და მათ ბრძოლა გამოუცხადა. რაიონის პოლიციის უფროსის დავით ფანცხავას განცხადებით, რაიონში სულ 4 კანონიერი ქურდია, რომელთაგან ვერც ერთი ვერ ბედავს გამოჩენას. წყალტუბოელი კანონიერი ქურდები - მინდია ნიჟარაძე, ლაშა ნიჟარაძე, რეზო გვიშიანი და კონსტანტინე ბობოხიძე პოლიციას უკვე აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი. მათგან ერთ-ერთი - კონსტანტინე ბობოხიძე (მეტსახელად - "ძაკუნია") ძებნილად ითვლება. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ერთი თვის წინ, სამართალდამცველებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები ამოიღეს.

წყალტუბოს პოლიციის უფროსი დავით ფანცხავა აცხადებს, რომ ე.წ. კანონიერ ქურდებს გავლენა აღარა აქვთ და რაიონში ვერანაირ ბიზნესს ვერ აკონტროლებენ.

*ინტერ-პრესი*

## კრიმინალური ავტორიტეტი ფულის გამოძალვისთვის დააკავეს

ახალციხელი კრიმინალური ავტორიტეტი ვაჟა მაისურაძე სამართალდამცველებმა მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ ვაჟა მისურაძის მიერ შეწუხებულმა დაზარალებულმა დახმარება ითხოვა. როგორც გაირკვა, ვაჟა მაისურაძე, ჯერჯერობით დაუდგენელ ორ პირთან ერთად, ქალაქ ვალეში მცხოვრებ მერაბ გოზალიშვილს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის კომპენსაციიდან აღებული 80 ათასი ლარიდან 8000 ლარს სძალავდა. დაზარალებულის ოჯახის წევრმა ახალციხის პოლიციაში დარეკეს. სამართალდამცველებმა ვაჟა მაისურაძე დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ერთ საათში დააკავეს. პოლიცია ღონისძიებებს ატარებს მაისურაძის თანამზრახველი ორი პირის ვინაობის დასადგენად. გამომძალველი ამჟამად ახალციხის დროებით დაკავების იზოლატორში იმყოფება.

სამხარეო საგამოძიებო სამსახურში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 181-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ახალციხის რაიონულ სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხი, სავარაუდოდ, დღეს განიხილება.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კვირას, რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტების, ვლადიმირ პუტინის და მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი გაიმართა. საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერება გამოხატა საქართველოს და, მთლიანად, ამიერკავკასიის პრობლემების გადაწყვეტაში რუსეთის თანადგომის გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება, რათა პარლამენტში ერთპიროვნული მმართველობა მოიპოვოს, - აცხადებს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე. მისი თქმით, ხელისუფლება რეგიონებში სახელისუფლო რესურსს 90-პროცენტიანი შედეგის მოპოვების შეკვეთას აძლევს, ძლიერდება საარჩევნო კომისიების ოპოზიციონერ წევრებზა და დამკვირვებლებზე ზეწოლა, რათა მათ ხელი არ შეუშალონ უბნებზე, არჩევნების დღეს, არარეალური შედეგის დაფიქსირებისას სახელისუფლებო ბლოკის კომისიის წევრებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" გამოდის ინიციატივით, შეიქმნას აფხაზეთის დაბრუნების საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, ყველა პატრიოტი გაერთიანდება. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გელა დანელიას თქმით, აჭარის მოვლენების შემდეგ ლოზუნგი "გვახსოვდეს აფხაზეთი" რეალობად იქცა და კონფლიქტის მოგვარებაზე საუბარიც კი შორეულ პერსპექტივაში გადავიდა". მისივე თქმით, საჭიროა, ეს ლოზუნგი "აფხაზეთი ჩვენი დასაბრუნებელია"-თი შეიცვალოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარის კანდიდატურას უახლოეს ორ დღეში დაასახელებს. ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულტაციები ამ საკითხზე უკვე დაწყებულია და საბოლოო შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გაიმართება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. შესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადსხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




**ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი**

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# ტიპური პროვოკაცია

პირველი გვერდიდან

გუშინ დილით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ ვალესა და ფოთში ავტონომიის მეთაურის წარმომადგენელთა დანიშვნა სააკაშვილის ბათუმში ვიზიტის დროს შეთანხმებული არ ყოფილა.

შუადღით ამ საკითხთან დაკავშირებით თავად საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ თუ ასლან აბაშიძე მიღწეულ შეთანხმებას დაარღვევს, მის წინააღმდეგ ისევ ამოქმედდება ეკონომიკური სანქციები.

მოგვიანებით საკითხს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, რომელმაც აბაშიძეს ტონის შეცვლა ურჩია და "განუმარტა", რომ ცენტრი აბაშიძეს განიხილავს რეგიონის ხელმძღვანელად და არა მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტად.

საზღვაო ბანკთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ეროვნულმა ბანკმა და განაცხადა, რომ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ერთი კვირის წინათ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ "საზღვაო ბანკისთვის ჩამორთმეული ლიცენზიის აღდგენა შეუძლებელია. ეროვნულმა ბანკმა "საზღვაო ბანკი ლიკვიდაციის რეჟიმში გადაიყვანა და ბანკის ლიკვიდატორიც დანიშნა. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის - ასლან აბაშიძის მოთხოვნის შესრულება ბანკისთვის ლიცენზიის აღდგენის თაობაზე შეუძლებელია. **"ბანკის გაუქმების საფუძველი პოლიტიკური მიზეზი არ ყოფილა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ ეს პროცესი, უბრალოდ, დააჩქარა. "საზღვაო ბანკი ეროვნული ბანკის განსაკუთრებული ზედამხედველობის რეჟიმში იმყოფებოდა და მისი გაუქმების მიზეზი იურიდიული დარღვევები იყო,** - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

მოკლედ - ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა კვლავ ჩიხში ექცევა. ავტონომიის ხელმძღვანელი აშკარად ცდილობს შეთანხმების დარღვევას და ამ მცდელობას ცენტრისადმი საპასუხო ბრალდებების კორიანტელით "ნიღბავს". თუ სიტუაცია იმავე მიმართულებითა და იმავე ტემპებით განვითარდა, აჭარის ხელისუფლება (და, რაც ყველაზე სამწუხაროა - აჭარის მოსახლეობაც) მორიგი, სავარაუდოდ - გაცილებით ხანგრძლივი ეკონომიკური ბლოკადის თავიდან აცილებას უკვე ველარ შეძლებს.

# საბაჟო დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ბოლო რამდენიმე დღეა, რაც საბაჟო სამსახურის შეფის ლევან ქისტაურის სახელის გამუდმებული ხსენება პროკურატურის მიერ წარმოებული საქმის კონტექსტში გუშინ მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

თუმცა თათბირზე, რომელიც გუშინ ფინანსთა სამინისტროში "სახელდახელოდ" შეიკრიბა და რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გაცხადდა, პროკურატურა და მის მიერ აღძრული საქმე არავის უხსენებია.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიუხედავად, მიღწეული შედეგები და კონტრაბანდის ლეგალიზაციის დონე მთავრობისთვის მისაღები არ გახლავთ.

**"ნავთობპროდუქტები მხოლოდ 50 პროცენტითაა ლეგალიზებული, მათ შორის დიზელი - მხოლოდ 30 პროცენტით, აღარაფერს ვიტყვი ხორბალზე, ბურღულზე..."** - ბობოქრობდა გუშინ ზურაბ ჟვანია.

შედეგად, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ლევან ქისტაურს ამ თანამდებობაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე შეცვლის.



*საბაჟოს ახალ უფროსად გიორგი გოდაბრელიძე დანიშნეს.*

გოდაბრელიძე საკრებულოში გამოცდილი პარტიული კადრია, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე კი სულ რამდენიმე კვირაა, რაც მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჟვანიამ თავის თანაგუნდელ და თანაპარტიელ გიორგი გოდაბრელიძეს საბაჟო დეპარტამენტის მუშაობაში გარდატეხის შესატანად და ახალი ტიპის საბაჟო სამსახურის შესაქმნელად ორი თვის ვადა მისცა. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჟვანია გოდაბრელიძეს ქისტაურის ბედის გაზიარებას დაჰპირდა.

*24 საათი*

# "საუკუნის მშენებლობებს" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო მიხედავს

## ნავთობისა და გაზის კორპორაციები სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ქოლგის ქვეშ გაერთიანდებიან

*საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მისამართს იცვლის და კახეთის გზატკეცილზე, "ნავთობსადენის კომპანიის" ოფისში გადადის. თუმცა, როგორც გაირკვა, კორპორაცია არა მხოლოდ მისამართს, არამედ სტატუსსაც იცვლის და სულ მალე ის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაექვემდებარება. ჩანს, ხელისუფლებამ მტკიცედ განიზრახა, სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ყველა სტრუქტურას თავისი ადგილი მიუჩინოს. ამდენად, არ არის გამორიცხული, ნავთობკორპორაციასთან ერთად, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს გაზის საერთაშორისო კორპორაციაც გადააბარონ.*

მაია ურუშაძე

კულუარებში საუბრობენ საქართველოს ნავთობის კორპორაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის გიორგი ჭანტურიას სავარაუდო ჩანაცვლებაზეც. მის მემკვიდრედ კი, ამავე საუბრებში, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ძველ კადრს, ექს-ფინანსთა მინისტრ დავით ონოფრიშვილს განიხილავენ.

"24 საათი" ჯერ კიდევ წლის დასაწყისში წერდა, რომ სახელისუფლებო წრეებში ექსპერტები სექტორის მოწყობის რამდენიმე მოდელზე მსჯელობდნენ. მათ შორის, ერთ-ერთ ვარიანტად ინტენსიურად განიხილებოდა ნავთობისა და გაზის კორპორაციების სათბობ-ენერგეტიკულ ვერტიკალში ინტეგრირების საკითხი. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამ სექტორში ძირეული სტრუქტურული ცვლილებები მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე არ მოხდებოდა. ამ ორი დღის წინ კი ნავთობკორპორაციის შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს განთავსებამ ამ საკითხის წინ წამოწევა გამოიწვია.

ნავთობკორპორაციისა და მისი პრეზიდენტის, გია ჭანტურიას თემას გუშინ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა. ქვეყნის პირველი პირი კატეგორიულად აცხადებს, რომ ნავთობკორპორაციის სტატუსის შეცვლა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე არ აისახება და მილსადენის მშენებლობას არანაირი შეფერხება არ ემუქრება. **"ეს ნავთობსადენი საქართველოს არ ააშენებს, როგორც ამას ძველი ხელისუფლება აცხადებდა, მაგრამ მშენებლობის ბოლომდე მიყვანა აუცილებელია. უცხოელებს საქართველოში ინვესტიციების დაბანდების სურვილი არ უნდა ჩავუხშოთ,"** - ასე განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს პრეზიდენტმა. მისივე განცხადებით, გია ჭანტურიასა და მისი უწყების მომავალთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ უნდა მიიღოს.

თავად პრემიერ-მინისტრმა ნავთობკორპორაციის სათბობ-ენერგეტიკულ ვერტიკალში ინტეგრირება გუშინ ირიბად დაადასტურა. **"კორპორაციის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანა არ გამოირიცხება, რადგან მთავრობის თითოეულ წევრს პასუხისმგებლობის სფეროები გააჩნია და, შესაბამისად, რომელიმე მათგანი კორპორაციაზე პასუხისმგებელიც უნდა იყოს,"** - დააკონკრეტა მან.

სამაგიეროდ, ჟვანიამ არ დაადასტურა კულუარებში გავრცელებული ინფორმაცია გია ჭანტურიას სავარაუდო შემცვლელის ვინაობის თაობაზე. **"ონოფრიშვილს რეკომენდაციას ნებისმიერ თანამდებობაზე გავუწევდი, რადგან იგი არაჩვეულებრივი სპეციალისტია, მაგრამ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტად მისი კანდიდატურა არ განიხილება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, სინამდვილეს არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ხელისუფლებას გარკვეული პრეტენზიები და მაკომპრომეტირებელი მასალები აქვს თავად კორპორაციის პრეზიდენტის გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ. **"მე ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ და, ამდენად, ვერ დავადასტურებ,"** - განაცხადა ჟვანიამ.

კორპორაციას თავის განკარგულებაში, ჯერჯერობით, არ ელის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. **"ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის,"** - განაცხადა გუშინ გილაურმა.

კონკრეტული ვადები, თუ როდის გახმოვანდება ხელისუფლების გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით, არ სახელდება. თუმცა, სავარაუდოდ, ხელისუფლებამ ენერგოსექტორის ცენტრალიზება და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გაძლიერება უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა.

# ფინანსურმა პოლიციამ "უშბა" დალუქა

ნიკა მარიამიძე

გუშინ, შუადღისას, "უშბას" თბილისის ოფისსა და ქარხანაში ფინანსური პოლიცია შევიდა და ინვენტარიზაციას შეუდგა. უკვე დალუქულია "უშბას ქარხანა.

კომპანიის პრეზიდენტი, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია ფინანსური პოლიციის რეიდსა და საწარმოს შემოწმებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ მიიჩნევს, რომ აღნიშნული ღონისძიება ყოველგვარი გახმაურების გარეშე უნდა განხორციელებულიყო: "თუ შემოწმებისთვის შემოვიდნენ, ეს კანონიერია, მაგრამ ამის წინასწარ გაჟღერება და ტელევიზიებისთვის ასეთი ფორმით შეტყობინება კომპანიის იმიჯზე და ავტორიტეტზე ცუდად მოქმედებს." ის, რომ კომპანიის შემოწმების პროცედურა კანონის დაცვით მიმდინარეობდა, გუშინ "უშბას" ადვოკატმა ვაჟა მაისურაძემაც დაადასტურა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, საქმე დიდი ოდენობით გადასახადების დამალვას ეხება და გადაუდებელი ღონისძიების ჩატარება არსებული დოკუმენტაციის გადამალვა-განადგურების საფრთხემ განაპირობა. სპეცდანიშნულების რაზმმა ღონისძიების დროს გადაკეტა ქარხნის ყველა შესასვლელი, რათა კომპანიის თანამშრომლებს დოკუმენტაციის ფარული გზით გატანის საშუალება არ მისცემოდათ.

გარდა ამისა, ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, რომ მათ ქარხნის დალუქვა თავად "უშბას" ხელმძღვანელობამ შესთავაზა. ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და "უშბას" საბანკო ანგარიშები დაყადაღდება.

ფირმა "უშბას" ოფისსა და ქარხანაში ფინანსური პოლიციის შესვლა საგანგაშოდ არც ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს ეჩვენება. მისი თქმით, სახელმწიფოს კომპანიის მიმართ პრეტენზიები, დიდი ხანია, გააჩნია. "ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებთან დაკავშირებით, პრეტენზიები კომპანია "უშბას" მიმართ კარგა ხანია არსებობს, ამიტომ ეს სიტუაცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს," - მიიჩნევს ნოღაიდელი.

ჯერჯერობით, "უშბას" პრეზიდენტის გოჩა ფიფიას პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური პოლიციის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე ამ საკითხმა წამოიწია, ფიფიასთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად გადაწყდება.


# უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში

"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში ანგარიშვალდებული იქნება საოპერაციო მენეჯერის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში პასუხისმგებელი იქნება ადგილებზე მოქმედი ხელმძღვანელობისა და ზედამხედველებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, პროაქტიური კონსულტაციების სახით, ყველა საქმიანობის მონიტორინგის გზით, რათა საქართველოში მოქმედმა სამუშაო ძალებმა განაგრძონ გარემოს დაცვის კონტროლის ყველა საჭირო ზომების მიღება, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კომპანიის, ასევე საერთაშორისო, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოების გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის სამუშაო ადგილი საქართველოში იქნება, თუმცა მას მოეთხოვება აზერბაიჯანში მოგზაურობაც.

იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უფროს საოპერაციო კონსულტანტთან გარემოს დაცვის დარგში (აზერბაიჯანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მიმართ მიდგომათა შეთანხმებულობა.

**როლები და პასუხისმგებლობები**

ამჟამად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონსულტაციები გაუწიოს ადგილზე მომუშავე მენეჯერებსა და ზედამხედველებს და განახორციელოს იმ პროცედურების და პრაქტიკის მონიტორინგი, რომლებიც აუცილებელია ISO 14001-ის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საოპერაციო HSO მენეჯმენტის სისტემების და მარეგულირებელი ორგანოების და ბრითიშ პეტროლეუმის გარემოსდაცვითი სტანდარტების განხორციელებისთვის
- განახორციელოს გარემოში ნარჩენების დაცლის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და განიხილოს ბუნებრივი გარემოს გამოკვლევები, რათა საჭიროებისამებრ რეკომენდაცია გაუწიოს მაკორექტირებელ ღონისძიებებს
- ჩაატაროს ოფიციალური და არაოფიციალური ინსპექციები და შემოწმებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთებზე, შეთანხმებული პროცედურების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ინციდენტების შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში და მოამზადოს ანგარიშები ამ ინციდენტების შესახებ
- მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციო ჯგუფის მიერ მანქანა-დანადგარების სუსტი მუშაობის გამოკვლევაში, როდესაც ასეთი მუშაობა დაუშვებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მოამზადოს სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშები და შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ISO 14001 გარემოსდაცვითი დოკუმენტით
- მოამზადოს პრეზენტაციები საზოგადოების ინფორმირებისთვის, გარემოსდაცვითი ფორუმებისა და თანამშრომლებთან საუბრებისთვის და ჩაატაროს ტრენინგები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის სფეროში
- იმუშაოს ადგილზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და კონსულტაციები გაუწიოს მათ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ყველა სახის საოპერაციო ღონისძიების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება, მილსადენის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (მაგ. ნარჩენების მენეჯმენტი და გარემოში გამოტყორცნების კონტროლი)
- იყოს წამყვანი კოორდინატორი ადგილებზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და ნავთობის დაღვრის სფეროში კონტრაქტორებთან, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების შედგენისას, სწავლებისას და დასუფთავების ოპერაციების დროს.
- დაამყაროს ადგილობრივი კავშირები ოპერატორებთან, პროექტებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ეკოლოგიური ლობირების ჯგუფებთან და სხვა კომპანიებთან, გარემოს დაცვის სფეროში
- დაესწროს საჯარო შეხვედრებს, როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის წარმომადგენელი ბინებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სფეროში

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს დაცვის სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**



## სს "თელასს" ესაჭიროება შემდეგი სახის მასალები:

1. **РПН-ის ამძრავი МЗ-2;**
2. **რადიატორის ჩამკეტი (შიბერი) 50მმ;**
3. **რადიატორის ჩამკეტი (შიბერი) 7მმ;**
4. **რადიატორის ჩამკეტი (შიბერი) 100მ;**
5. **აკუმლატორის დატვირთვის ჩანგალი**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა 2004 წლის 29 მარტამდე მოგვმართონ: სს "თელასი"; III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19 ან შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში.

შენიშვნა: ანგარიშსწორება მოწოდებული საქონლისთვის იწარმობს საქონლის შემოტანის შემდეგ, 40 დღის განმავლობაში.



## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ**

**25 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

ჭიჭიკო ბენდელიანის, ცინცაძის, ცოტნე დადიანის II მიკრორაიონის, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), დიდი ჯიხაიშის, იმერეთის, კოხრეიძის, ლეჩხუმის, ნიკო მარის, რიონჰესის, სააკაძის, სანერგის, სვანეთის, ხევსურეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**25 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

ვაჟა-ფშაველას VI კვარტლის, შავიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.

# ევროკავშირი ტერორიზმის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

გუშინდელ შეხვედრამდე რომანო პროდი ამერიკული სამაუწყებლო კომპანია ფოქს-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ერაყის ომი და ტერორიზმთან ბრძოლა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. იგი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, დომინიკ დე ვილპენის პოზიციას გამოეხმაურა. დე ვილპენმა ერაყის ომთან დაკავშირებით თქვა, რომ მსოფლიო სადამის დამხობის შემდეგ უფრო უსაფრთხო სულაც არ გამხდარა.

**სადამის დროს ერაყში ტერორიზმის საფრთხე არ არსებობდა, ახლა კი ეს ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი აღიარებული ბუდეა**, ამბობს დე ვილპენი. საფრანგეთის ეს პოზიცია მიუთითებს, რომ აშშ-სა და ევროკავშირის რიგ ქვეყნებს შორის ერაყის ომით გამოწვეული უთანხმოება ჯერაც არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, რომანო პროდი აღნიშნავს, რომ ატლანტიკური ურთიერთობები ახლა ბევრად უკეთესია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო.

პროდის განცხადება იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ ევროპული ქვეყნები, რომელთაც ერაყის ომში მონაწილეობაზე უარი თქვეს, ტერორიზმთან ბრძოლაში სულაც არ აპირებენ პასიურობას. ევროპის დედაქალაქებში კარგად ესმით ისიც, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა ამერიკელებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია.

ტერორიზმის თემით ევროკავშირის დაინტერესება მადრიდის 11 მარტის ტერაქტის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. გუშინვე მადრიდში ტერაქტის გამოსაძიებლად იტალიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ესპანეთის სპეცსამსახურები შეიკრიბნენ. მადრიდის ტერაქტს, ბოლო მონაცემებით, 202 ადამიანი ემსხვერპლა. ესპანეთის სამართალდამცავებმა გუშინ ტერაქტთან კავშირში ეჭვმიტანილი კიდევ 4 პირი დააკავეს. სულ დაკავებულია 14 ადამიანი.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ ევროკავშირის ნაბიჯები უმეტეს შემთხვევაში დაგვიანებულია. გაერთიანების წევრებს ანტიტერორისტული ღონისძიების კოორდინაციაზე ზრუნვა მადრიდის ტრაგედიამდე ბევრად ადრე უნდა დაეწყოთ. ევროკავშირის რთული ბიუროკრატიული მექანიზმი და წევრი სახელმწიფოების ინტერესთა სხვაობა ხშირად კოორდინირებულ მოქმედებას ართულებს. ამდენად, ბევრი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ახალი ინსტიტუტების შემოღებით პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდება.

# შეიხ აჰმედ იასინი ლიკვიდირებულია

## ახლო აღმოსავლეთი შურისძიების მოლოდინში

*2004 წლის 22 მარტი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან თარიღად შევა. გუშინ ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ძალებმა, სარაკეტო დარტყმით, რადიკალური მოძრაობა ჰამასის სულიერი ლიდერი შეიხ აჰმედ იასინი გაანადგურეს. თუკი აქამდე სამშვიდობო გეგმის საგზაო რუკის რეალიზების მცირე იმედი მაინც არსებობდა, დღეიდან რეგიონს პალესტინური ინტიფადას ახალი და ყველაზე ძლიერი ტალღა ემუქრება. ღაზას ქუჩებში გამოსული ათი ათასობით პალესტინელი მხოლოდ შურისძიებაზე ლაპარაკობს. ჯიჰადი ეს არის სიტყვა, რომელიც ყველას პირზე აკერია. პალესტინელები შურისძიებისათვის ემზადებიან.*

ლევან ღირსიაშვილი

ისრაელის ხელისუფლებამ უკვე აიღო მომხდარზე პასუხისმგებლობა და დაადასტურა, რომ მოძრაობა ჰამასის დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი შეიხ აჰმედ იასინი სწორედ ისრაელის სამხედრო ძალების მიერ დაგეგმილი სპეცოპერაციის შედეგად განადგურდა. ოფიციალური თელ-ავივი აცხადებს, რომ ისრაელის ტერიტორიაზე მომხდარი ათობით ტერორისტული აქტი შეიხის მიერ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული.

როგორც ცნობილი გახდა, შეიხის მკვლელობის ბრძანება პირადად ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გასცა და სპეცოპერაციას თავადვე ხელმძღვანელობდა. ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ პალესტინელი ტერორისტების თავკაცების ლიკვიდაციას მომავალშიც წარმატებით გააგრძელებს. ისრაელის ფინანსთა მინისტრმა და ყოფილმა პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ იასინის მკვლელობის გამო აღფრთოვანება და სიხარული ვერ დამალა. იასინის სიკვდილი ნათლად გააგებინებს ტერორისტებს, რომ სხვა ლიდერებიც იგივე ბედს გაიზიარებენ, - განაცხადა ნეთანიაჰუმ.

როგორც იტყობინებიან, სარაკეტო თავდასხმა შეიხ აჰმედ იასინზე მაშინ განხორციელდა, როდესაც ის მეჩეთიდან გამოდიოდა და ავტომანქანაში ჯდებოდა. მისი მიმართულებით ისრაელის ვერტმფრენებიდან სამი რაკეტა გაუშვეს. ერთ-ერთი მათგანი იასინის ეტლს მოხვდა. ჰამასის ინვალიდი ლიდერი რაკეტამ ნაფლეთებად აქცია. სარაკეტო თავდასხმის დროს, შეიხთან ერთად, კიდევ 7 ადამიანი დაიღუპა და 15 დაიჭრა, მათ შორის - იასინის ორი შვილი.

იასინის სიკვდილის ამბავი ღაზას სექტორში ელვის სისწრაფით გავრცელდა. პალესტინის ეროვნული გმირის დაღუპვის შესახებ მეჩეთების ხმის გამაძლიერებლები აცხადებდნენ. მკვლელობიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილას ათიათასობით პალესტინელი შეიკრიბა. ზოგიერთი მათგანი შეიარაღებული იყო და ჰაერში ისროდა.

იასინი გუშინვე დიდი პატივით დაკრძალეს. მის ცხედარს 21 პალესტინელი პოლიციელი მიაცილებდა.

### შეიხ იასინი - პალესტინის ეროვნული გმირი

შეიხ აჰმედ იასინი 1936 წელს ბრიტანული პალესტინის ტერიტორიაზე დაიბადა. ის ბავშვობაში დაინვალიდდა. ისლამის შესწავლას მთელი თავისი ცხოვრება დაუთმო. უმაღლესი განათლება ქაიროში მიიღო და სწორედ მაშინ მივიდა იმ აზრამდე, რომ პალესტინის ტერიტორია ისლამურია და არ შეიძლება, რომ აქ, პალესტინელების გარდა, სხვა ვინმე ცხოვრობდეს.




ის მჭიდროდ დაუკავშირდა ორგანიზაცია მუსლიმთა ძმობის პალესტინურ ფრთას. თუმცა, დამოუკიდებელი მოღვაწეობა პალესტინის თავისუფლებისათვის მხოლოდ 1987 წელს დაიწყო, ინტიფადას პირველი ტალღის პერიოდში. სწორედ ამ დროს ჩამოაყალიბა რადიკალური მოძრაობა ჰამასი.

1989 წელს იასინი დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს იმ პალესტინელთა მკვლელობის ორგანიზებისათვის, რომლებიც ისრაელთან თანამშრომლობდნენ. თუმცა, 1997 წელს გაათავისუფლეს და იორდანიის მთავრობის მიერ დაპატიმრებულ, მოსადის ორ აგენტში გაცვალეს. შეიხ აჰმედ იასინი ციხიდან გამოსვლის შემდეგ უფრო აქტიურად ჩაუდგა სათავეში პალესტინურ წინააღმდეგობას. ის უარყოფდა ყოველგვარ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიურ მეთოდებს. სისხლისღვრის შეჩერების ერთადერთ პირობად კი პალესტინიდან ისრაელის ჯარების გაყვანას ასახელებდა.

### გამოხმაურებები

შეიხ იასინის მკვლელობას ფართო საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა. ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად არ მიიღებს მონაწილეობას იმ საზეიმო ცერემონიალში, რომელიც ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების 25 წლისთავს ეძღვნება. ჩვენ ვგმობთ ამ ლაჩრულ აგრესიას და ეგვიპტე ამ ცერემონიალში მონაწილეობას არ მიიღებს, - განაცხადა მუბარაქმა. ეგვიპტის საპარლამენტო დელეგაცია თელ-ავივში დღეს უნდა გამგზავრებულიყო.

ირანის ხელისუფლებამ იასინის მკვლელობას პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორიზმის კვალიფიკაცია მისცა. ეს დანაშაულებრივი აქტია და კიდევ ერთხელ მიუთითებს სიონისტური რეჟიმის ტერორისტულ და ბარბაროსულ ხასიათზე, - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა აზეფიმ.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა კი გამოთქვა შეშფოთება, რომ ამ აქტმა, შესაძლოა, რეგიონში სისხლისღვრის ესკალაცია გამოიწვიოს და, ამიტომ, მან ორივე მხარეს სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდა. ანალოგიური პოზიცია დაიკავა ავსტრალიამაც.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ჰავიერ სოლანამ კი იასინის მკვლელობას ძალიან, ძალიან ცუდი ცნობა უწოდა და განაცხადა, რომ ეს ხელს შეუშლის ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირების პროცესს.

ამავე პოზიციას იზიარებს ოფიციალური ლონდონიც. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ ისრაელს აქვს თავდაცვის უფლება, მაგრამ მან არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო კანონები. მისი თქმით, იასინის მკვლელობა ხელს შეუშლის მშვიდობის მიღწევას. ანალოგიურ პოზიციებს აფიქსირებენ დანიის და პოლონეთის მთავრობებიც.

### მშვიდობით მშვიდობავ!

ჩვენ სიკვდილს ისრაელის ყველა ოჯახში, ყველა ქალაქში და ყველა ქუჩაზე დავთესავთ, - ნათქვამია ჰამასის განცხადებაში, რომელიც პალესტინის მთელ ტერიტორიაზე მეჩეთებზე დაყენებული რადიოებით გადაიცემოდა. არიელ შარონმა ჯოჯოხეთის კარები გახსნა. ებრაელები წინასწარმეტყველთა მკვლელები არიან და მათ დღეს ისლამის სიმბოლო მოკლეს. შეიხ იასინის სული ალაჰმა მიიბარა. ებრაელებს კი აღარასოდეს ექნებათ მშვიდობა, - აცხადებენ ჰამასის აქტივისტები.

პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციამ შეიხის მკვლელობა სამარცხვინო აქტად გამოაცხადა და მას პოლიტიკური შეფასება მისცა. პალესტინის ტერიტორიაზე მოქმედმა ყველა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ: ჰამასმა, ალ-აქსას წამებულთა ბრიგადებმა, ფათხმა, და ისლამურმა ჯიჰადმა ისრაელს დაუნდობელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს. პალესტინელი მებრძოლების განცხადებით, ეს ომი ისრაელის ტერიტორიაზე რამდენიმე საათში დაიწყება. ისრაელის ხელისუფლება საკუთარ მიწაზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს მიმართავს. ებრაელები - თავდაცვისათვის, ხოლო პალესტინელები შურისძიებისათვის ემზადებიან.

# ტაივანზე კრიზისი მწვავდება

ნიკა თარაშვილი

უკანასკნელ დღეებში ტაივანზე მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება: ეთნიკური ჩინელებით დასახლებულ ამ კუნძულზე, ჯერ იყო და, პარასკევს პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა; მომდევნო დღეს საპრეზიდენტო არჩევნებში მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა ჩენ შუი ბინმა, რასაც იმავე დღეს დაწყებული ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები და მასობრივი არეულობა მოჰყვა; გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ კუნძულზე, შესაძლოა, ჩინეთის სამხედრო ოპერაცია დაიწყოს. ამ ინფორმაციის გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩინეთის სამხედრო ძალები გაძლიერებული მზადყოფნის პირობებში არიან გადაყვანილნი, ხოლო ტაივანის ზღვისპირა მოსაზღვრე პროვინციებში საგანგებო მზადყოფნაა გამოცხადებული. ვარაუდობენ, რომ ტაივანზე შეჭრის შესახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში იქნება მიღებული, თუ კუნძულზე შაბათს დაწყებული მასობრივი არეულობები არ შეწყდება. სამხედრო შეჭრის გეგმების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საუზ ჩაინა მორნინგ პოსტ-მა. ჰონგკონგში გამომავალი ეს გაზეთი იტყობინება, რომ სამხედრო ოპერაციისთვის მზადება უკვე დაწყებულია. დედაქალაქში და ჩინეთის პროვინციებში - ფუძიანი, გუანდუნი და ჩენძიანი - მომუშავე სახელმწიფო მოხელეები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე არიან გადაყვანილნი. სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში სწორედ ამ პროვინციებიდან განხორციელდება სარაკეტო დარტყმები, რასაც შემდეგ საოკუპაციო ძალების კუნძულზე გადასხმა მოჰყვება.

როგორც სააგენტო როიტერსი იუწყება, ჩინეთის ლიდერი ჰუ ძინტაუ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენებასა და ტაივანზე საგანგებო რეჟიმის გამოცხადებას აპირებს, რასაც სამხედრო ოკუპაცია უნდა მოჰყვეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მთავრობაში სამხედრო აქციას გარდაუვლად არ მიიჩნევენ. ჩინეთის საგარეო უწყების განცხადებით, პეკინში ყურადღებით ადევნებენ თვალს ტაივანზე განვითარებულ მოვლენებს და ჯარის შეყვანას მხოლოდ სიტუაციის შემდგომი დესტაბილიზაციის შემთხვევაში აპირებენ.

ამასობაში, სიტუაცია კუნძულზე უმართავი ხდება. შაბათის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. აქციების მიზეზად მოქმედი პრეზიდენტის მინიმალური უპირატესობით გამარჯვება იქცა. ნაციონალური პარტიის ლიდერმა ლინ ჩანმა, დაახლოებით, 29 ათასი ხმით წააგო მოქმედ პრეზიდენტთან და ეს მაშინ, როცა ამომრჩეველთა საერთო ოდენობა 13 მილიონი იყო. დამარცხებულმა კანდიდატმა ლინ ჩანმა არჩევნების შედეგების გაუქმება და ხმების ხელმეორედ გადათვლა მოითხოვა. მანიფესტანტთა შეტაკებების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. მასობრივი არეულობების შესაჩერებლად, ტაივანის უზენაესმა სასამართლომ გასცა განკარგულება, რომ საარჩევნო ურნები ბიულეტენების ხელმეორედ გადათვლისათვის დაელუქათ. თუმცა, ამ გადაწყვეტილებამ ოპოზიციონერები არ დააკმაყოფილა. არჩევნების შედეგების ხელმეორედ გადათვლის მოთხოვნას ახლა უკვე არჩევნების წინა დღეს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმის გამოძიების მოთხოვნაც დაემატა.





საპროტესტო გამოსვლები ტაიპეიში.

გასულ პარასკევს პრეზიდენტი ჩენ შუი ბინი და ვიცე-პრეზიდენტი ანეტ ლუ ცეცხლსასროლი იარაღით მსუბუქად დაიჭრნენ. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს თავდასხმა ინსცენირებული იყო და პრეზიდენტ ჩენის რეიტინგის გაზრდას ისახავდა მიზნად.

ტაივანის ოპოზიციის ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ლინ ჩანმა გუშინ პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრა ითხოვა. ლინის განცხადებით, მას პრეზიდენტთან ტაივანში შექმნილ ვითარებაზე სურდა საუბარი. აღსანიშნავია, რომ ეს ორი პოლიტიკოსი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვედრია, ისიც - საკმაოდ ოფიციალურ პირობებში. ეს შეხვედრა 2000 წლის არჩევნების შემდეგ შედგა, როცა ჩენმა ლინი დაამარცხა. გასულ პარასკევს, ჩენზე თავდასხმის შემდეგ, ლინ ჩანმა პრეზიდენტის მონახულება მოინდომა, მაგრამ მას განუცხადეს, რომ პრეზიდენტი ისვენებდა და მას ვერ მიიღებდა. უკვე მესამე დღეა და ჩვენ პრეზიდენტისაგან პასუხი საერთოდ არ მიგვიღია. მთავრობამ რაც შეიძლება მალე უნდა უპასუხოს ხალხს. ეს სახელმწიფოებრივი პრობლემაა, - აცხადებს ლინ ჩანი პრესკონფერენციაზე. არც პრეზიდენტი ჩენი და არც ვიცე-პრეზიდენტი ლუ არჩევნების შემდეგ საჯაროდ არ გამოსულან.

არჩევნების ირგვლივ დაწყებული კრიზისი რეალურ გამოცდას უწყობს ტაივანის დემოკრატიას, რომელსაც არა მარტო შიდაპოლიტიკური დაპირისპირება, არამედ ჩინეთთან კონფლიქტის პროვოცირებაც შეიძლება მოჰყვეს. განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ხელისუფლება უზურპირებულია, პირველ რიგში, ჩინეთს აძლევს ხელს. პეკინისთვის ეს კიდევ ერთი საბაბია, რათა სანუკვარი ოცნება აისრულოს და ტაივანზე შეიჭრას.

მასობრივი არეულობების გაგრძელების შემთხვევაში, პეკინს მშვენიერი საბაბი მიეცემა, რომ კუნძულზე წესრიგი დაამყაროს და ამით ტაივანის დამოუკიდებლობას ბოლო მოუღოს. აღსანიშნავია, რომ შაბათს, მომავალი პრეზიდენტის არჩევასთან ერთად, ტაივანელებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე - სურთ თუ არა ტაივანის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა, რაც პეკინში კუნძულის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვად განიხილებოდა. თუმცა, ეს საკითხი მაინც პეკინის სასარგებლოდ გადაწყდა. რეფერენდუმი, უბრალოდ, არ შედგა მასში ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა. ჩინეთი თავად რეფერენდუმის ჩატარების მცდელობამაც გააღიზიანა. ჩინეთის ხელისუფლებამ ამას სამშობლოს გახლეჩისკენ სწრაფვა დაარქვა.

ტაივანი, ჩინეთში 1949 წელს კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელია, თუმცა მას იურიდიულად საკუთარი დამოუკიდებლობა არასდროს გამოუცხადებია. დღემდე ტაივანის უსაფრთხოებას აშშ უზრუნველყოფდა. ვაშინგტონი კუნძულზე და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს ახლაც შეშფოთებით ადევნებს თვალს და, სავარაუდოდ, ტაივანზე ჩინეთის ინტერვენციის თავიდან აცილებას შეეცდება.

# საფრანგეთის მმართველი პარტია დამარცხდა

საფრანგეთში კვირას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ეტაპი გაიმართა, რომელიც მმართველი მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის მარცხით დასრულდა. ჟაკ შირაკის მომხრე კოალიციამ ხმების მხოლოდ 35 პროცენტი მოაგროვა, მაშინ, როცა ოპოზიციურ მემარცხენე პარტიებს არჩევნებში მონაწილეთა 40 პროცენტზე მეტმა დაუჭირა მხარი. ჟან-მარი ლე პენის რადიკალურმა ნაციონალისტურმა ფრონტმა ხმების 16 პროცენტი მიიღო. ეს მაჩვენებელი რადიკალი ნაციონალისტებისათვის ბოლო ოთხი წლის მანძილზე სტაბილური რჩება. აღსანიშნავია, რომ თავად ლე პენს არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენება აკრძალული ჰქონდა.

მმართველი კოალიციის მარცხი მიუთითებს, რომ მემარცხენეების ბოლოდროინდელი წარუმატებლობები დასასრულს მიუახლოვდა და საფრანგეთში მემარცხენე იდეოლოგია ისევ აღმავლობას იწყებს. შესაბამისად, პრეზიდენტ ჟაკ შირაკის პოპულარობა ძალიან დაეცა მას მერე, რაც იგი 2002 წელს პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ აირჩიეს. უფრო კონკრეტულად კი, მოსახლეობა უკმაყოფილოა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მთავრობის მიერ შეთავაზებული რეფორმით. ფრანგებს არც ის ფაქტი მოსწონთ, რომ ხელისუფლებამ უმუშევრობის მასშტაბების შემცირება ვერ შეძლო.

ადგილობრივი არჩევნები ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ერთგვარი ბარომეტრია. მისი შედეგები შემდგომი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არის საინტერესო. ადგილობრივი არჩევნების მეორე ეტაპი მომავალ კვირას გაიმართება და კონსერვატიულ მთავრობას ვითარების გამოსწორების შანსი ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხავენ, რომ პრემიერ-მინისტრი ჟან-პიერ რაფარენი თავის პოსტს გამოეთხოვოს.

# მწერალთა სახლი - ყველა მწერალს

*საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს*

*საქართველოს პრემიერ-
მინისტრს ბატონ
ზურაბ ჟვანიას*

*საქართველოს კულტურის
მინისტრს ბატონ
გიორგი გაბაშვილს*

მოგეხსენებათ, რომ მწერალთა კავშირის საბჭოური სტრუქტურა შეუფერებელი აღმოჩნდა განვითარების დემოკრატიულ გზაზე დამდგარი ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის ნათელი დასტური გახლავთ ის, რომ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში მწერალთა კავშირი დატოვა მრავალმა თვალსაჩინო მწერალმა, მათ შორის არიან: ოთარ ჩხეიძე, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ ჩხენკელი, რევაზ თვარაძე, ტარიელ ჭანტურია, ლია სტურუა, გურამ გვერდწითელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, იზა ორჯონიკიძე, ნაირა გელაშვილი, ნუგზარ შატაიძე, გივი ალხაზიშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, დათო მაღრაძე, გიგი სულაკაური, დავით მჭედლური, ბაადურ ბალარჯიშვილი, მამუკა წიკლაური, ლაშა თაბუკაშვილი, სოსო სიგუა, ვაჟა გიგაშვილი, ერლომ ახვლედიანი, ნოდარ წულეისკირი, ლერი ალიმონაკი.

ეს ის ხალხია, ვინც რამდენიმე სხვა მწერალთან ერთად, რომლებიც ფორმალურად ჯერ კიდევ ითვლებიან მწერალთა კავშირის წევრებად, აქტიურად მოღვაწეობენ სამწერლო ასპარეზზე და ქმნიან დღევანდელი ქართული ლიტერატურის სახეს.

ზემოთ დასახელებულ შემოქმედთა ცხოვრების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დავით სარაჯიშვილისეულ სახლთან (მაჩაბლის 13). მწერალთა კავშირის წევრობაზე უარის თქმამ მათ არ უნდა მოუსპოს შესაძლებლობა, კვლავაც იღვაწონ კულტურის ამ ცენტრში, რაც ამჟამად ვერ ხერხდება საბჭოური სტრუქტურის მომხრე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასთან მათი პრინციპული უთანხმოების გამო.

არ შეიძლება, ერთი რომელიმე, მით უფრო მოძველებულ სისტემას ჩაბღაუჭებული, სამწერლო ორგანიზაცია განაგებდეს ამ სახლს, მაშინ, როდესაც უკვე არსებობს და აქტიურადაც მონაწილეობს სალიტერატურო პროცესში არაერთი სამწერლო გაერთიანება: ქართული პენ-კლუბი, "კავკასიური სახლი", საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილი", "მერანის" კლუბი, "ომეგას" კლუბი...

ჩვენი თხოვნაა, მწერალთა კავშირის ისტორიული შენობა, კულტურის ძეგლი, გადაეცეს კულტურის სამინისტროს, გამოცხადდეს არა მწერალთა კავშირის, არამედ მწერალთა სახლად და თანაბრად მოემსახუროს ყველა მწერალს, მთელ ქართულ მწერლობას.

მოვითხოვთ, დროულად მიიღოთ მართებული გადაწყვეტილება, სასიცოცხლოდ აუცილებელი ჩვენი სამწერლო ცხოვრებისათვის.

***საქართველოს მწერალთა
ფედერაცია***

# ძველი ავტორების ახალი სატენდერო პირობები

*თბილისში მოძრავი სამარშრუტო ტაქსების გადამზიდავ ფირმებს სატენდერო ვადა 2004 წლის პირველ იანვარს გაუვიდა. ახალ საკონკურსო პირობებზე მუშაობა კი ქალაქის მერიამ მხოლოდ ერთი თვის წინათ დაიწყო. როგორც საკრებულოს ფრაქცია გაერთიანებული დემოკრატების წარმომადგენელი დავით ხუციშვილი აცხადებს, ქალაქის აღმასრულებელმა უწყებებმა სატენდერო პირობების მომზადება ჯერ განგებ გააჭიანურეს, ახლა კი აჩქარდნენ, საქმის მოგვარებას ქალაქის მთავრობის დამტკიცებამდე ცდილობენ. საკრებულოს გარდა, პრეტენზიები ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასა და მძღოლებსაც აქვთ.*

ნანა ქადაგიშვილი



*ქალაქის ხელისუფლება საქალაქო ტრანსპორტით დაინტერესდა.*

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა, პირველ ყოვლისა, გადამზიდავი ფირმების სატენდერო პირობები შეიმუშავა (სამარშრუტო სქემაზე მუშაობა ორი-სამი კვირის შემდეგ დაიწყება). თუმცა, პირობების საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ არ არსებობს.

საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნით, გადამზიდავი ფირმების სატენდერო პირობების შემუშავების პროცესში გადამზიდავი ფირმების, მძღოლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შექმნილი მუშა ჯგუფიც უნდა ჩართულიყო. ტრანსპორტის სამსახურმა ასეთი ჯგუფი შექმნა და ყოველი კვირის სამშაბათ-პარასკევს ამ ჯგუფის წარმომადგენლები სამსახურის ხელმძღვანელობას საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს აცნობენ. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანთა უფლებების დაცვა" - სამართლიანობის აღდგენისათვის" აცხადებს, რომ ამ შეხვედრებსა და გარჩევებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და საბოლოოდ ის ვარიანტი დარჩება, რაც მერიას აძლევს ხელს.

**სატენდერო პირობები მერიამ კი არ უნდა შესთავაზოს მძღოლებსა და ფირმებს, ინიციატივა ქვემოდან უნდა მოდიოდეს. მძღოლებსა და გადამზიდავი ფირმების წარმომადგენლებს ვთხოვეთ, სატენდერო პროექტის საკუთარი ვარიანტი მოგვაწოდონ. მათ ჩვენი წინადადება მოიწონეს. ყველაზე მთავარი, რაც მძღოლებს აწუხებთ, უამრავი პარალელური ხაზი და საშემოსავლო გადასახადის გადახდის ფორმაა. სატრანსპორტო სამსახურს რამდენჯერმე ვთხოვეთ, სატენდერო პიროებებში ჩაეწერათ, რომ ერთი სამარშრუტო ხაზი მეორეს 50 პროცენტზე მეტად არ უნდა ემთხვეოდეს, მაგრამ თავიდან მოგვიშორეს, გვითხრეს, - ამ საკითხს სამარშრუტო სქემების შედგენის დროს განვიხილავთო. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, მძღოლებს ურჩევნიათ, ფიქსირებული გადასახადი დაწესდეს, მაგრამ მერიას ეს ხელს არ აძლევს, რადგან ფიქსირებული გადასახადი კორუფციის წყარო ვეღარ იქნება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სატრანსპორტო კომისიაში, რომელმაც სატენდერო პირობები უნდა დაამტკიცოს, შევარდნაძისდროინდელი აღმასრულებელი უწყებების ხელმძღვანელები არიან შეყვანილნი, არასამთავრობო ორგანიზაციიდან კი - არავინ,** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ჯაბა ჯაიანი.

სატრანსპორტო კომისიის შემადგენლობის (ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული; საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ლეიბორისტის წარმომადგენელი პაატა ჯიბლაძე; ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ოთარ ჭიპაშვილი და სპეციალისტი ტერენტი ენდულაძე; ქალაქის არქიტექტურის სამსახურის უფროსი ირაკლი როსტომაშვილი; მეტროპოლიტენის უფროსი გურამ გაბუნია; ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსი გია ბერაძე და მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი თემურ ჯიჯიაშვილი) შესახებ ჯაიანის აზრს საკრებულოს ფრაქცია გაერთიანებული დემოკრატების თავმჯდომარე დავით ხუციშვილიც იზიარებს: **მუშა ჯგუფის შემადგენლობაში მეც ვარ, მაგრამ ჩემთვის შეკრებებზე არასოდეს დაუძახიათ. მერიის შესაბამის სამსახურებს სატენდერო პირობები 2004 წლის პირველ იანვრამდე უნდა შეემუშავებინათ, მაგრამ სპეციალურად გააჯანჯლეს, ქაოსი ერჩივნათ, ახლა კი აჩქარდნენ. სატენდერო პირობების დამტკიცებას ქალაქის ახალი მთავრობის მოსვლამდე ცდილობენ, რომ ეს პირობები საკუთარ ინტერესებს მოარგონ, მაგრამ საკრებულო აღმასრულებელ უწყებებს ამის საშუალებას არ მისცემს.**

საკრებულოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის გარდა, სატენდერო პირობების პირველადი ვარიანტის მიმართ პრეტენზიები მუშა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებსაც აქვთ. გადამზიდავი ფირმა ვაკე-9-ის ხელმძღვანელი გიორგი დარბაიძე სატენდერო პირობების კანონთან შეუსაბამობაზე ამახვილებს ყურადღებას: **ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილ პირველად ვარიანტში ტენდერის ჩატარების პერიოდულობა 2 წლის ვადით არის განსაზღვრული. სატრანსპორტო გადაზიდვებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ კანონის მიხედვით კი, კონკურსი 5 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს. ამის გარდა, საკონკურსო პირობების მეშვიდე თავის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ გადამზიდავმა ტრანსპორტის მარეგულირებელი საქალაქო სამსახურის ანგარიშზე რეგულირების საფასური უნდა გადაიხადოს. ასეთი საფასური კი კანონში საერთოდ არ არის აღნიშნული.**

ზოგიერთ საკითხში კი თვითონ მუშა ჯგუფიც ვერ თანხმდება. საშემოსავლო გადასახადის ფიქსირებული სახით გადახდის ფორმას ვაკე-9- ს ხელმძღვანელი არაეფექტურად მიიჩნევს და მერიას საკუთარ ვარიანტს სთავაზობს: **ინდმეწარმეები გადამზიდავ ფირმებში მეწილეებად უნდა შევიდნენ, ყოველდღიური შემოსავალი ფირმაში სრულად შეიტანონ, საბიუჯეტო გადასახადები ფირმამ გადაიხადოს, მეწილეებმა კუთვნილი დივიდენდები თვის ბოლოს მიიღონ. ამ გზით, საბიუჯეტო გადასახადების ამოღება უფრო გაიოლდება და გაიზრდება.**

სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ოთარ ჭიპაშვილი კი აცხადებს, - ჯერ ყველაფერი შემუშავების პროცესშია და მუშა ჯგუფი იმიტომ შეიქმნა, რომ მათ წინადადებებსაც გავითვალისწინებთო. **ჯერჯერობით შეთანხმება მხოლოდ სამ საკითხში მოვახერხეთ. მძღოლების გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, უმრავლესობა მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარშრუტები მუნიციპალური საკუთრება უნდა იყოს, გადამზიდავი ფირმების საკვალიფიკაციო კონკურსის ჩატარება აუცილებელია და ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა შესაბამის პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. დანარჩენ საკითხებზე მუშაობა გრძელდება,** - ამბობს ჭიპაშვილი. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის ფორმას, ჭიპაშვილის განმარტებით, ეს მძღოლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გადასაწყვეტი არ არის - ამაზე შესაბამისი უწყებები მუშაობენ.

*საფეხურები*

# ბავშვთა სახლში თუ დედის გვერდით

*არასამთავრობო ორგანიზაცია საფეხურების პროექტი მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით, აგრძელებს ნამდვილი ამბის სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

უსახლკაროდ დარჩენილი ქეთევან ვარსიმაშვილი (სახელი პირობითია) 33 წლისაა და, რამდენიმე წელია, თბილისში ცხოვრობს. წარმოშობით იგი კახეთის პატარა სოფელ გავაზიდანაა. 20 წლის იყო, როცა გათხოვდა და ორი შვილი ეყოლა. ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა: მისი ქმარი გალოთდა, ალკოჰოლიზმის მკურნალობაზე უარი თქვა, ცოლს ცუდად ექცეოდა... ქალბატონ ქეთევანს მასთან გაუთავებელი პრობლემები და სკანდალები ჰქონდა, ამიტომ, სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა მისგან წამოსვლა. საბოლოოდ ქეთევან ვარსიმაშვილი ძმისა და მამის სახლში ორი შვილით (გიორგი და სოფიკო) დაბრუნდა.

ცოტა ხანში ქეთევანმა შვილი სხვა კაცისგან გააჩინა. ძმამ და მამამ არ ისურვეს, მას გვერდზე დადგომოდნენ, ამიტომ იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა გავაზი და თბილისში წამოსულიყო. ცხოვრება არც თბილისში აეწყო, რის გამოც, მოუწია, გიორგი და სოფიკო ავლაბრის მომავლის სახლში ჩაებარებინა; თვითონ კი შვიდი თვის თორნიკესთან ერთად ქუჩაში დარჩა.

გარდა იმისა, რომ დიდ გაჭირვებაში, ელემენტარული პირობების გარეშე ცხოვრობენ, პრობლემა ისიცაა, რომ ბავშვი თვეში ერთხელ საავადმყოფოში ხვდება - გაუსაძლისი პირობების გამო, ის მუდმივად ავადაა. ერთი კვირის წინათ თორნიკეს ფილტვების ანთება ჰქონდა. საბედნიეროდ, გულისხმიერი ადამიანები მას საჭირო წამლებს აძლევდნენ. თიკა ციციშვილი - ორგანიზაცია საფეხურების თანამშრომელი, ოჯახს მედიკამენტებით, საჭმლითა და ტანსაცმლით ეხმარება ხოლმე. რამდენიმე ხნის წინათ მან ორგანიზაცია Every Child-ის თავშესაფარში დედა-შვილს დროებითი საცხოვრებელი მოუძებნა. წესით, თორნიკეს და მის მშობელს თავშესაფარში ყოფნა არ ეკუთვნოდათ, რადგან დედებს იქ მხოლოდ ჩვილ ბავშვებთან ერთად სამი თვის განმავლობაში აცხოვრებენ (მშობელთან მუშაობენ, რომ ბავშვი არ გააშვილოს და ეხმარებიან, რომ თავად შეძლოს მისი მატერიალურად უზრუნველყოფა). თორნიკე ჩვილი არ ყოფილა და არც დედამისს სურდა ბავშვის დატოვება, მაგრამ, გამოუვალი სიტუაციის გამო, ორგანიზაციამ თიკა ციციშვილს უფლება მისცა, დედაშვილი ცოტა ხნით შეეფარებინა. Every Child-მა ქალბატონ ქეთევანს ძროხა შეუძინა და მისი ძმა დაარწმუნა, დისთვის სოფელში ცხოვრების ნება დაერთო.

მოლაპარაკების თანახმად, ქეთევანი და თორნიკე თავიანთ სახლში დაბრუნდნენ, მაგრამ სულ ცოტა ხანს ათევდნენ იქ ღამეს - სულ მალე ძროხა მოკვდა და ქეთევანის ძმამ და და დისწული ისევ უკან გამოისტუმრა.

ქეთევანი და თორნიკე ისევ თბილისში აღმოჩნდნენ უსახლკაროდ. ქეთევანი ბავშვთან ერთად მოხუც, ინვალიდ ქალთან დასახლდა. საცხოვრებლის საფასურად, მოხუცს უვლიდა, თუმცა დიდხანს ეს ბედნიერებაც არ გაგრძელდა. მალე დიასახლისმა ქეთევანს 60 ლარის გადახდა მოსთხოვა. **ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით,** - ჰყვება ქეთევანი, **- სულ ჩხუბობდა. რას არ ვუკეთებდი, არ ვარეცხინებდი, საჭმელსაც მე ვუკეთებდი, მაგრამ კარს დამიკეტავდა ხოლმე; როცა უნდოდა გამიღებდა, როცა უნდოდა, დამიხურავდა. ახლა საერთოდ უარი გვითხრა და მე და თორნიკე ისევ მარტონი დავრჩით ქუჩაში.**

იმის გამო, რომ ქალბატონ ქეთევანს არც სახლი აქვს, არც - თავშესაფარი და არც ნაცნობები ჰყავს, ორ შვილზე უარის თქმა მოუწია და ბავშვთა სახლში ჩააბარა. მესამესაც გიორგის და სოფიკოს ბედის გაზიარება ემუქრება.

**თუკი ვინმეს ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის მარგინალური ჯგუფების ინტეგრირება საზოგადოებაში მედიის საშუალებით კოორდინატორს, ირინა სიგუას. ტელ: 899555113**

EUROPEAN COMMISSION
DELEGATION TO GEORGIA AND ARMENIA

2004 წლის 19 მარტი

**განაცხადების მიღება ევროკავშირის "ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში**

კოდი: EuropeAid /119-571/L/G/GE

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს მიკროპროექტებთან დაკავშირებული განაცხადების მიღებას. მიკროპროექტების დაფინანსება მოხდება ევროკავშირის პროგრამის "ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" ფარგლებში. ***ამ პროგრამით გამოყოფილი გრანტების საერთო თანხაა 1 მილიონი ევრო.***

აღნიშნული პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებზე, რომლებიც მოღვაწეობენ დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში. მიკროპროექტებთან დაკავშირებული წინადადებები შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

**ა. კანონის უზენაესობის მხარდაჭერა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**
**ბ. წამების წინააღმდეგ ბრძოლა**
**გ. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა**

პროექტის ხარჯების მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაფარვა შესაძლებელია გრანტებით, 80%-ია. გრანტებით დაფინანსდება პროექტები, რომელთა ფარგლებში სამუშაოები 18 თვემდე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

**გრანტების ოდენობაა 10 000 ევროდან 100 000 ევრომდე**

განმცხადებელი უნდა წარმოადგენდეს არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციას. განაცხადის შემოტანა შეუძლია, აგრეთვე, მედიის სფეროში მოღვაწე კომერციულ ორგანიზაციას, თუკი განაცხადში აღწერილი საქმიანობა არაკომერციულია. განაცხადების შემოტანა შეუძლია ორგანიზაციას, რომლის სათაო ოფისი საქართველოში მდებარეობს, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციას რომელსაც სათაო ოფისი სხვა ქვეყანაში აქვს, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი დამოუკიდებელი დანაყოფითაა წარმოდგენილი. განაცხადში აღწერილი საქმიანობა საქართველოში უნდა განხორციელდეს. განმცხადებელს შეუძლია წინადადებების ინდივიდუალურად და კონსორციუმის შემადგენელი ნაწილის სახით შემოტანა.

ამ გრანტისათვის სრული "სახელმძღვანელო მითითებების" მოსაპოვებლად იხილეთ ევროკომისიის წარმომადგენლობის ინტერნეტგვერდი http://www.delgeo.cec.eu.int ან მიმართეთ ევროკომისიის წარმომადგენლობას საქართველოში, მისამართი: თბილისი 0102, ნინო ჩხეიძის ქ. N38, ტელეფონი: +995(8)32 94 37 63, ფაქსი: +995(8)32 94 37 68.

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2004 წლის 14 ივნისი, 16 საათი თბილისის დროით.** დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

ნებისმიერი კითხვა განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებით უნდა გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით (აუცილებლად მიუთითეთ კოდი) შემდეგ მისამართზე: delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int

განმცხადებლებს ვთხოვთ განაცხადების მიღების საბოლოო ვადამდე რეგულარულად მიმართონ რჩევებისთვის ინტერნეტის აღნიშნულ გვერდს, რადგან ევროკომისია გამოაქვეყნებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს და მათზე პასუხებს.

*წინამდებარე ტექსტი ინგლისურიდან თარგმანია. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭება.*

# ინგლისური ენა სახელმწიფო პრიორიტეტია



*დაჯილდოების მეოთხე წელი.*

გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა საქართველოში ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების სფეროში წარმატებული 39 პედაგოგის დაჯილდოების ცერემონია.

ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პედაგოგთა დაჯილდოების პროგრამას ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები ამერიკის საელჩოსთან და განათლების სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობით.TEA პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ის განათლებისა და კულტურის დეპარტამენტის მიერ.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი ბატონი დენ დევიდსონი, აშშ- ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, საქართველოს განათლების მინისტრის მრჩეველი გიგი თევზაძე.

პროგრამა გაცვლითია და, უკვე მეოთხე წელია, აჯილდოებს ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების საუკეთესო პედაგოგებს რეგიონულ და ეროვნულ ეტაპებზე. გუშინ 39 რეგიონის გამარჯვებული პედაგოგი დაჯილდოვდა 2000 ამერიკული დოლარის ღირებულების სახელმძღვანელოებითა და ტექნიკური პრიზებით. ეროვნული ეტაპის შვიდი გამარჯვებული პედაგოგი კი მონაწილეობას მიიღებს პროფესიული განვითარების შვიდკვირიან პროგრამაში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლევანდელი გამარჯვებულები არიან: ინგლისური ენის პედაგოგები - მარინა ყიფიანი, მანანა გაგნიძე, თამარ კოპაძე, რუსუდან კოპალეიშვილი, ემზარ ნიკოლაძე, თამარ თეზელაშვილი.

*24 საათი*

# რიგით მეოთხე გენგეგმა

*დედაქალაქში მიმდინარე მშენებლობები გუშინ ერთბაშად გახდა თბილისის მთავრობისა და საკრებულოს ინტერესის საგანი. დილით, ტრადიციულ თათბირზე ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ თხოვნით მიმართა ქალაქის მთავარ არქიტექტორს, ადმინისტრაციული ზედამხედველობის ინსპექციას და გამგეობებს, მკაცრად გააკონტროლონ თბილისში მიმდინარე ყველა მშენებლობა. ხშირია შემთხვევა, როდესაც იცვლება თავდაპირველი, ოფიციალურად დამტკიცებული პროექტები და ხუთ, ექვსსართულიანი შენობა უფრო მაღალსართულიანად იქცევა; ახალაშენებული კორპუსის ირგვლივ სპონტანურად ჩნდება აუზები, ავტოსადგომები და ა.შ. ეს უკანონობა მშენებლობის პროცესშივე უნდა აილაგმოს. უკვე აშენებული კორპუსის დანგრევა საკმაოდ ძნელია. ამის პრეცედენტი არც არსებობს, - განაცხადა მან. ნაშუადღევს საკრებულოს სხდომათა დარბაზში თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მეოთხე გენერალური გეგმის განხილვა დაიწყო. უკანონო მშენებლობების მიზეზად ახალი სპეციალისტები, პირველი რიგში, გენგეგმის არარსებობას ასახელებდნენ. 1972 წელს პრეზიდენტის 211-ე განკარგულებით დამტკიცებულ გენერალურ გეგმას მოქმედების ვადა გასული წლის 31 დეკემბრს გაუვიდა. დღეისთვის თბილისს გენგეგმა საერთოდ აღარ აქვს - ძველი ვადაგასულია, ახალი გეგმა კი, სავარაუდოდ, 2006 წლისთვის იანვრისთვის იქნება მზად.*

თამარ დვალი

თბილისში მიმდინარე უკანონო მშენებლობების შეჩერებაზე საუბარი, დიდი ხანია, მიმდინარეობს. არქიტექტორთა ერთმა ნაწილმა ქალაქში ერთწლიანი მემორანდუმის გამოცხადებაც ითხოვა, თუმცა სპეციალისტთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. გუშინ საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ პაატა ჯიბლაძემ მოწვეულ სტუმრებსა და კოლეგებს განსახილველად ქალაქ თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მეოთხე გენერალური გეგმის პროექტი წარუდგინა, რომელზეც, უკვე რამდენიმე წელიწადია, მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა მისი დამტკიცება, გარკვეული მიზეზების გამო, ფერხდება.

ამის ერთ-ერთ მიზეზად საკრებულო იმას მიიჩნევს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქალაქმა შვიდი მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა და არქიტექტურის სამსახურის შვიდგზის რეორგანიზაციის მოწმე გახდა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის გადაწყვეტილი არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხები, არ არის განსაზღვრული ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვის ერთიანი სტრატეგია. ახალი გენერალური გეგმის დამუშავების კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად უფულობა სახელდება. ბოლო წლებში ამ საკითხის გადასაჭრელად ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ხარჯები, რეალურად, მხოლოდ 10 პროცენტითაა დაფინანსებული.

იქამდე, ვიდრე ახალი გენგეგმა შემუშავდება, თბილისის საკრებულო თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, მესამე გენგეგმის მოქმედებას ვადა გაუგრძელდეს. საკრებულო თხოვნით მიმართავს, ასევე, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს, ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაონ ქალაქის ახალი გენერალური გეგმის დამუშავებისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიური და ნორმატიული საფუძვლები, აგრეთვე - ქ. თბილისის განვითარების კონცეფცია და ახალი გენერალური გეგმის პროგრამადავალება.

როგორც ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრმა თამარ სულუხიამ გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში განაცხადა, არქიტექტორული თვალსაზრისით, თბილისში მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაბამისი უწყებების ახალ რეჟიმზე გადასვლაა საჭირო. **სირცხვილია, სულ ისტორიულ წარსულზე საუბარი. დღეს თბილისი არის საშინლად დამახინჯებული და ნაგავში ჩაძირული. რაც შეეხება ქალაქის გენგეგმას, იგი ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას. ძალიან რთულია დღეს რაიმე პროგრამისთვის სახსრების მოძიება. ჩვენს სამინისტროში ამჟამად 20 პროგრამაა წარდგენილი, მაგრამ, ფინანსთა სამინისტროს თქმით, მხოლოდ ორის დაფინანსება თუ მოხერხდება. ყველანაირად ვეცდებით, ამ პროგრამის დასაფინანსებლად სახსრები მოვიძიოთ. თუ ამას ჩვენი ძალებით ვერ შევძლებთ, დავიწყებთ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან,** - განაცხადა სულუხიამ.

საკრებულოს წევრებმა კიდევ ერთი თხოვნით მიმართეს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრს - ითხოვეს მიწისძვრით დაზარალებულთათვის ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ოთხი მილიონი ლარის ქალაქისთვის გადარიცხვა. ჯიბლაძის თქმით, კარგი იქნება, თუკი მინისტრი შუამდგომლობას გაუწევს კომისიას ქვეყნის მთავრობასთან ან შესაბამის სამინისტროსთან, რათა დაზარალებულთა დაკმაყოფილება დროულად მოხდეს.

# კიდევ ერთი ხელშეუხებელი პიროვნება დაპატიმრებულია

პირველი გვერდიდან

26 წლის ვატო ყიფიანი, რომელიც ძმასთან - კოტე ყიფიანთან ერთად ნიკალას ქსელის მფლობელია, თბილისში კარგად ცნობილი ავტორიტეტია, რომლის სახელსაც ოფიციალურად და არაოფიციალურად რამდენიმე მკვლელობა და ყაჩაღობა უკავშირდება. როგორც თავად შს მინისტრი და სხვა სამართალდამცველები ირწმუნებიან, მისი დაპატიმრება და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება დღემდე ვერ მოხერხდა გავლენიანი ახლობლებისა თუ დაშინებული კანონდამცველების დამსახურებით.

დღეს კი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვაში ეჭვმიტანილი ვატო ყიფიანი შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. როგორც გიორგი ბარამიძე გვპირდება, იგი სასჯელს არა მარტო ამჟამად წარდგენილი ბრალდებების გამო მოიხდის. თბილისის პროკურატურა, რომელიც ყიფიანის საქმეს იძიებს, იმ მკვლელობის გამოძიებასაც განაახლებს, რომელიც წლების წინ ყოფილი პროკურორის გადაწყვეტილებით შეწყდა.

ვატო ყიფიანის დაპატიმრებაში ლომის წილი თბილისის პოლიციის უფროსს ლევან მაისურაძეს და კრიმინალური პოლიციის უფროსს დავით კეკუას მიუძღვით. ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ყიფიანი თბილისის აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად თვითმფრინავის ბილეთებს იღებდა. გიორგი ბარამიძის განცხადებით, ყიფიანს ჩხრეკისას აღმოაჩნდა ორი სტეჩკინის ტიპის იარაღი და ერთიც უცხოური წარმოების, ლაზერის სამიზნიანი პისტოლეტი თავისი მჭიდებითა და ვაზნებით; ამოღებულია დიდი რაოდენობით თანხა (16 ათასი დოლარი და 2 ათასი ევრო) და ნარკოტიკული ნივთიერებებიც. როგორც შს მინისტრი ვარაუდობს, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ყიფიანს ნარკოტიკებით ვაჭრობაც დაუმტკიცდეს.

ეს ის მტკიცებულებებია, რომელიც გამოძიებას ყიფიანის წინააღმდეგ უკვე გააჩნია, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ და როგორც თავად ბარამიძემაც გაიხსენა, პროკურატურამ ყიფიანის წინააღმდეგ მკვლელობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეც განაახლა.



ვატო ყიფიანი

### ცოტა რამ ვატო ყიფიანის წარსულიდან

თავის დროზე ვატო ყიფიანი ნუცუბიძის საძმოს ერთ-ერთი წევრი იყო. საძმოს წევრებს სისხლიანი გარჩევები ჰქონდათ არა მარტო სხვა დაჯგუფებებთან, არამედ დაპირისპირებას საკუთარ საძმოშიც არ ერიდებოდნენ.

მოგვიანებით ვატო ყიფიანის გვარი დაუკავშირდა ცნობილი ავტორიტეტების - ძმები ბარამიძეების ძმისშვილის - თორნიკე ბარამიძის მკვლელობას. როგორც ამბობენ, ბარამიძე და ყიფიანი წარსულში ახლო მეგობრები იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით მათ შორის კონფლიქტი მოხდა, რის შემდეგაც ყოფილი მეგობრები ხშირად ჩხუბობდნენ-ხოლმე. თვითმხილველნი მკვლელობის დღეს ასე იხსენებენ:

**ექვსი მეგობარი ფალიაშვილის ქუჩაზე იდგა. მოულოდნელად გამოჩნდა ვატო ყიფიანი შოთა კავსაძესთან და კიდევ ერთ პიროვნებასთან ერთად და მეგობრებს მაკაროვიდან ცეცხლი გაუხსნა.**

აღნიშნული სროლებისას ადგილზევე გარდაიცვალა თორნიკე ბარამიძე, ხოლო ოთო გაგუა მძიმედ დაიჭრა. მომხდართან დაკავშირებით პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა; თუმცა ყიფიანის ბრალეულობა რომ დაფარულიყო, გამოძიება აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ დატრიალდა. მასალების თანახმად, თითქოს ექვსი მეგობარი თავს დაესხა ყიფიანს და მან ბარამიძე აუცილებელი მოგერიების გამო მოკლა. ამ საქმეში ბარამიძის ორი მეგობარი დაიჭირეს და აიძულებდნენ, სასურველი ჩვენება დაეწერათ, მაგრამ მათ წამებას გაუძლეს და მტკიცებულებებიც ვერ შეგროვდა. ამით დასრულდა თორნიკე ბარამიძის მკვლელობის გამოძიება.

მოგვიანებით ვატო ყიფიანის სახელმა გაიჟღერა დოლიძეზე მომხდარი ავარიის დროსაც. გავრცელებული ხმებით, ვატო ყიფიანი საკუთარი მანქანით ახალგაზრდა ბიჭს, ვინმე დანელიას დაეჯახა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ყიფიანს მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავი რომ დაეღწია, მანქანა გადამალა, ხოლო პოლიციაში განაცხადა, მანქანა მომპარესო. დღემდე გაუხსნელია დანელიას მკვლელობაც.

ასევე შეჩერებულია ვახტანგ ჯაფარიძის მკვლელობის საქმეც, რომელიც 2001 წლის 22 სექტემბერს ახვლედიანის (პეროვსკაიას) ქუჩაზე, მანქანაში ჩაცხრილეს.

ჩვენი ინფორმაციით, ჯაფარიძეს დაცვის სამსახური ჰქონდა და იგი ახვლედიანის ქუჩაზე განლაგებულ ობიექტებს იცავდა. გავრცელებული ხმებით, ვატო ყიფიანს აღნიშნული ობიექტების გაკონტროლება სურდა და ჯაფარიძე სწორედ ამიტომ მოკლა. მკვლელობის ღამეს ვახტანგ ჯაფარიძემ მეგობარი მანქანით მიიყვანა სახლში, თვითონ კი გზა ახვლედიანის ქუჩაზე გააგრძელა. ყიფიანმა სწორედ იქ ესროლა. სროლის ხმაზე ჯაფარიძის მეგობარმა ყიფიანი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. დაჭრილი ყიფიანი გაქცეულა, იარაღის მუქარით სამარშრუტო ტაქსი გაუჩერებია და საავადმყოფომდე მიუღწევია. იგი სწორედ საავადმყოფოში დააპატიმრეს. ყიფიანი ციხეში მხოლოდ ხუთი თვე იყო, ამის შემდეგ გამოძიებამ მისი ბრალეულობა ვერ დაამტკიცა და იგი გაათავისუფლეს. საქმე კი დამნაშავის დაუდგენლობის მოტივით შეჩერდა.

აღნიშნული მკვლელობის საქმის გამოძიება თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა ოთხი დღის წინათ განაახლა და პოლიციას ყიფიანის დაპატიმრება დაავალა.

შეძლებს თუ არა განახლებული გამოძიება ვახტანგ ჯაფარიძის რეალური მკვლელის დადგენას და ყიფიანის ბრალეულობის დამტკიცებას, ძნელი სათქმელია, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, საქმე უკვე საფუძვლიანადაა გაფუჭებული. სანდო წყაროს ცნობით, საქმის მასალების თანახმად, ყიფიანისა და ჯაფარიძის სხეულიდან ამოღებული ტყვიები ერთი და იმავე იარაღიდან არის გასროლილი, ანუ გამოძიების პროცესში მოხდა მთავარი მტკიცებულების - ტყვიის - ან დაზიანება, ან შეცვლა. ამის გამოსწორება კი არც ისე იოლი იქნება.

ვატო ყიფიანის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან ერთად გაუხსნელი დარჩა თავად ყიფიანის დაჭრის ფაქტიც. გასული წლის ზაფხულში, ღამის კლუბ ჯოიში დაწყებულმა დავამ ქუჩაში გადაინაცვლა და სისხლისღვრით დასრულდა. სროლის შედეგად ყელის არეში მძიმედ დაიჭრა ვახტანგ ყიფიანი. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი მასრებიც დეფორმირებული აღმოჩნდა და, აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა იარაღისა და მისი მესაკუთრის დადგენა.

ერთი სიტყვით, ყიფიანი დაპატიმრებულია და 48 საათის განმავლობაში პროკურატურა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს მისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. არადა, ვატო ყიფიანი გამოძებისთვის მართლაც საინტერესო პიროვნება იქნება; მით უმეტეს, თუ გამოძიება 1997 წელს იმერეთში მომხდარ ყაჩაღობებს, მათ შორის - ფეროშენადნობთა ქარხნის დაყაჩარების ფაქტსაც გაიხსენებს.

და კიდევ ერთი, როგორც ამბობენ, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე დუდუ დადიანისა და ვატო ყიფიანის ინტერესთა სფეროებიც გადაიკვეთა. დადიანის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია. არ არის გამორიცხული, რომ ყიფიანის სახელმა გაიჟღეროს კახი ასათიანის მკვლელობაში, რადგან დადიანის და ასათიანის მკვლელობები, საერთო ხელწერის გამო, გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ გააერთიანა.

# ელექტროგადამცემი ხაზის დამზიანებელს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება

**დანაშაული საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის ჩავიდინე,** - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო უშიშროებისა და პოლიციის თანამშრომლების მიერ გუშინ დილით დაკავებული, კავკასიონის 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის დაზიანებაში ეჭვმიტანილი, აფხაზეთიდან დევნილი, ადრე ყაჩაღობისათვის ნასამართლევი ბესიკ ჭარაია. დაკავებულის ჩვენების მიხედვით, მან წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში, ღამის საათებში გადახერხა ელექტროგადამცემი ხაზის ანძა, რამაც 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზის დაზიანება გამოიწვია.

როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, არ არის გამორიცხული, საქმეს დივერსიის კვალიფიკაცია მიეცეს, ვინაიდან ფაქტს საეჭვოდ ემთხვევა რამდენიმე გარემოება, მათ შორის - მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები და ისიც, რომ დანაშაულის ჩადენის წინა დღეებში უკვე გაფორმებული იყო ხელშეკრულება რუსეთის შესაბამის სამსახურებთან ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე, რომელიც პარასკევს უნდა დაწყებულიყო, ხუთშაბათს კი ხაზის დაზიანება მოხდა.

უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები შესაძლო დანაშაულებრივი კავშირების დასადგენად. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პირის უკან გარკვეული ძალებიც იდგნენ. **მსგავს ფაქტებზე უშიშროების სამინისტრო მკაცრ რეაგირებას მოახდენს და ყველა დამნაშავე კანონის**



*კავკასიონის დაზიანებაში ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა.*

**მთელი სიმკაცრით დაისჯება,** - აცხადებს მინისტრის მოადილე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მსგავსი დანაშაული 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება დაზიანებული ხაზის აღდგენით სამუშაოებს: როგორც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აცხადებს, აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ორ დღეში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდება.

*24 საათი*

# გენერალურმა პროკურატურამ აჭარაში საქმეების გადასინჯვის პირველი ეტაპი დაასრულა

## თენგიზ ასანიძის საქმის დავიწყება საქართველოს ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვება

*საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩოლოქის საზღვრის გადალახვას, აჭარაში გენერალური პროკურორის მოადგილის, მთავარი სამხედრო პროკურორის პაატა ჯახუტაშვილის ჩასვლა მოჰყვა. წლების მანძილზე აუღებელი ციხე-სიმაგრეები - აჭარის სამართალდამცველი სტრუქტურები, რომელთა წარმომადგენლებიც, ცენტრის - გენერალური პროკურორის - მითითებებსა თუ ბრძანებებს არად დაგიდევდნენ, ახლა აჭარის საპყრობილეში გამოკეტილ უკანონო პატიმართა საქმეებს ახალ სამართლებრივ შეფასებას გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთა გადაწყვეტილების საფუძველზე მისცემენ.*

ინგა ალავიძე

გენერალური პროკურორის დავალებით, მისი მოადგილე პაატა ჯახუტაშვილი და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია ბათუმში აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შესასწავლად იმყოფებოდნენ. ცენტრიდან გაგზავნილმა პროკურორებმა აჭარის პროკურატურაში იმ პირთა მიმართ აღძრული საქმეები შეისწავლეს, რომლებიც შესაძლოა, პოლიტიკური მოტივით იყვნენ დაკავებული. გენერალური პროკურორის დავალება შესრულებულია. პაატა ჯახუტაშვილმა და როლანდ ახალაიამ სამ საქმეზე მომზადებული რეკომენდაციები გენერალურ პროკურორს უკვე წარუდგინეს. საუბარია, ბათუმში 20 თებერვალს იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებულ სამ პირზე - ჯემალ ქიქავაზე, ვაჟა თავართქილაძესა და დავით ოსეფაიშვილზე.

ერთი სიტყვით, რეკომენდაცია მათი გათავისუფლების შესახებ უკვე არსებობს და საბოლოო გადაწყვეტილება გენერალურმა პროკურორმა უნდა მიიღოს. **საქმეების გადასინჯვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორებთან ერთად მოხდა. შევთანხმდით, რომ მიღებული სამართლებრივი გადაწყვეტილება, ანუ რეკომენდაციები ობიექტური იქნებოდა და ასეც მოხდა,** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ბათუმიდან დაბრუნებულმა მთავარმა სამხედრო პროკურორმა.

არსებული ინფორმაციით, საქმეების გადასინჯვა გაგრძელდება და პატიმართა ყველა საჩივარს რეაგირება მოყვება. მით უმეტეს, რომ არსებული ინფორმაციით, ბათუმის მე-3 საპყრობილეში მხოლოდ ბოლო დროს დაპატიმრებული ოპოზიციური მოძრაობის აქტივისტები და მათი ახლობლები არ არიან. ამ საპყრობილეში მრავლადაა ადამიანები, რომლებიც მათ მიმართ აჭარელი სამართალდამცველების მიერ პოლიტიკური მოტივით განხორციელებულ ზეწოლაზე და უკანონო პატიმრობაზე საუბრობენ და გენერალურ პროკურორს მათი საქმეების შესწავლას, კარგა ხანია, სთხოვენ.

ბათუმის №3 საპყრობილეში იმყოფებიან ბათუმელები ნური ანანიძე და ვაჟა კახიძე, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან და მათი დაპატიმრების მიზეზი სწორედ პარტიული მოტივი გახდა. ანანიძე და კახიძე 18 იანვარს ბათუმი-თბილისის მატარებელში დააკავეს და ხელყუმბარა ჩაუდეს. სამართალდამცველებმა ბრალი მათ მატარებლის აფეთქების მცდელობისთვის წარუდგინეს. პატიმრებმა გენერალურ პროკურორს რამდენიმე კვირის წინ თხოვნით მიმართეს, რომ მათი საქმე კონტროლზე აიყვანონ და ობიექტურად გამოიძიონ.

დღემდე ბათუმის №3 საპყრობილეში არიან გამოკეტილი თენგიზ ასანიძის საქმესთან დაკავშირებით წლების წინ დაპატიმრებული ძმები იოსებ და მამია ქოქოლაძეები და ბიძაშვილები ნოდარ, ზაურ და ვახტანგ შოთაძეები. მათ 10-11 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი და აქედან ცხრა წელი - ბათუმის მე-3 საპყრობილეში გაატარეს. არადა, კანონით, ისინი სასჯელს კოლონიაში უნდა იხდიდნენ.

**ასანიძის საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულები სასჯელს კოლონიაში უნდა იხდიდნენ, ამას კანონი ითვალისწინებს, მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა წლების მანძილზე არ სრულდება,** - განაცხადა უშიშროების სამინისტროს ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა სოსო თოფურიძემ, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბათუმის საპყრობილის რევიზია ჩაატარა და იქ გამეფებული უკანონობის გამო აღშფოთებას ვერ მალავდა.

რაც შეეხება თენგიზ ასანიძეს, მოხდება თუ არა მისი საქმის გადახედვა ამის შესახებ გენერალური პროკურორის მოადგილე ვერაფერს ამბობს, თუმცა თვლის, რომ: **თენგიზ ასანიძის საქმეს გადახედვაც არ სჭირდება, ის უნდა გაათავისუფლონ. ფაქტია, ის თავის დროზე ყოფილმა პრეზიდენტმა შეიწყალა, შემდეგ კი უზენაესმა სასამართლომ გაამართლა, მაგრამ კვლავ პატიმრობაშია,** - აცხადებს პაატა ჯახუტაშვილი.

თენგიზ ასანიძის ახლობლები უახლოეს დღეებში გენერალურ პროკურორს წერილით მიმართავენ და ასლან აბაშიძის მიერ დატყვევებულ თენგიზ ასანიძეს კიდევ ერთხელ შეახსენებენ. **ვაპირებთ, რომ გენერალურ პროკურორს წერილით მივმართოთ. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ გამოვიდა აჭარის პროკურორი რესან კონცელიძე და განაცხადა, თენგიზ ასანიძეს პირადად მე არ ვუშვებო. ანუ, გამოდის, რომ თენგიზ ასანიძე 11 წელია, აჭარის პროკურორს ჰყავს დატყვევებული და ამის გამო მას არავინ სთხოვს პასუხს, ის კვლავ პროკურორია,** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა თენგიზ ასანიძის ვაჟიშვილმა დავით ასანიძემ.

თენგიზ ასანიძის საქმესთან დაკავშირებით საბოლოო განაჩენი, ჯერჯერობით, სტრასბურგის სასამართლოსაც არ გამოუტანია. როგორც ცნობილია, თენგიზ ასანიძის საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ისტორიაში პირველი პრეცედენტული საქმის სახით შევიდა.

ასანიძის ადვოკატთა და ოჯახის წევრთა განცხადებით, "თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" საქმის არსებითმა განხილვამ მათ დაანახა ის, რაც აქამდეც ფაქტი იყო - სამართალი თენგიზ ასანიძის მხარესაა და განაჩენიც შესაბამისი იქნება.

ასანიძის ახლობლები ევროსასამართლოს განაჩენს უახლოეს მომავალში ელიან. დაასწრებს თუ არა საქართველოს გენერალური პროკურატურა სტრასბურგელ მოსამართლეთა უმაღლეს ვერდიქტს, ძნელი სათქმელია, რადგან, მიუხედავად საქმეთა გადასინჯვის პროცესის დაწყებისა, ასანიძის საქმე, ჯერჯერობით, არავის გახსენებია. არადა, ეს დავიწყება საქართველოს ბიუჯეტს ძალზე მძიმე ტვირთად დააწვება. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებების დამცველი უმაღლესი სასამართლო უფლებების დამრღვევ ქვეყანას სერიოზულ სანქციებს აკისრებს. სტრასბურგის სასამართლოს პირის ერთდღიანი უკანონო პატიმრობა ძალზე ძვირად აქვს შეფასებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სტრასბურგის დიდმა პალატამ "თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" საქმეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მხარედ არ ცნო. შესაბამისად, უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობა და ფინანსური სანქციებიც საქართველოს ხელისუფლებას დაეკისრება.

აჭარის ლიდერის მძევალი ევროსასამართლოსგან ყოფილი პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტის ამოქმედებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების (რომლითაც ის გამართლდა) აღსრულებას, უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას და წლების მანძილზე უკანონო პატიმრობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის - 3 მილიონ დოლარს ითხოვს.


# კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს ობიექტზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამშენებლო ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძელზე. საველე მეთვალყურე ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიურ და მიწისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობას დაამყარებს გარეშე დაწესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- მშენებლობისას მიწის სამუშაოების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
- სამშენებლო სამუშაოების მიწისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
- ობიექტის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი საველე ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
- გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრეინინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
- პროექტის სხვა საველე პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
- ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორის მიერ კონატრაქტის პირობების შეუსრულებლობის ირგვლივ, რათა მან კონატრაქტორს ამის შესახებ სპეციალური გაფრთხილებები მისცეს.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება მარშრუტის სპეციფიკურ/ლოკალურ საკითხებზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალიზებული ინსტრუქციული და სახელმძღვანელო მასალების მომზადებაში.
- შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
- "არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა" და "ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღნოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმისადმი ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# ვამაყობ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ამგვარი კვალიფიკაციის მინისტრი

## საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგენაზე

მოგესალმებით!

როგორც წესი, მინისტრების წარდგენა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ.

მე გავაკეთე განსაკუთრებული გამონაკლისი ქალბატონ სალომესთან დაკავშირებით, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ეს არის მართლაც ისტორიული დღე ქართული საგარეო პოლიტიკისთვის!

ჩვენი გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულიყო ქალბატონი სალომე, ერთ დღეში არ მომზადებულა.

ამისთვის ქვეყანას უნდა გაევლო განვითარების ეტაპები.

ქალბატონი სალომე წარმოადგენს იმ ნაწილს საქართველოსი, რომელიც ბოლშევიკური ოკუპაციის დროს საქართველოსთვის პრაქტიკულად დაკარგული იყო.

საქართველოს უკანასკნელი თორმეტი წელი მართავდა თაობა, რომლისთვისაც ქართული ემიგრაცია იყო მტრის ხატთან გაიგივებული!

მე მინდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო!

ქალბატონ სალომესთან დაკავშირებით, პირველად 1996 წლის ბოლოს ვესაუბრე პრეზიდენტ შევარდნაძეს და ვთხოვე, რომ განეხილა მისი საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში გამოყენების საკითხი, მაგრამ მაშინ შევხვდი უკიდურესად ცივ რეაქციას და უკიდურესად გულგრილ დამოკიდებულებას.

მე მივხვდი, რომ პრინციპში ეს მთავრობა თავისი მენტალიტეტით იყო ძველი მთავრობის სამართალმემკვიდრე!

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტ შირაკთან საუბრის შემდეგ მიღებული იქნა ეს გადაწყვეტილება!

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალბატონი სალომე არა მხოლოდ ფრანგულ დიპლომატიას წარმოადგენს ზოგადად, არამედ ძალიან კარგად იცნობს მთავარ მიმართულებას დღევანდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა. ეს არის ევროპაში ინტეგრაცია. იგი კარგად იცნობს მეორე მთავარ მიმართულებას. ეს არის რუსეთთან მჭიდრო და მეგობრული დამოკიდებულება და კარგად იცნობს ჩვენს მთავარ მოკავშირესთან - აშშ-სთან ურთიერთობის პრობლემატიკას!

იგი ჩემსავით სწავლობდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, მუშაობდა ვაშინგტონში, საელჩოში.

მე ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს საგარეო საქმეთა წინა მინისტრებს, განსაკუთრებით ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამინისტროს. მიმაჩნია, რომ მან ძალიან ბევრი გააკეთა, რათა ქართული დიპლომატიური კორპუსი ჩამოყალიბებულიყო!

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ თედო ჯაფარიძეს. მიმაჩნია, რომ ბატონმა თედომ ჯერ კიდევ 1992 წელს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული დიპლომატიის პირველი ნაბიჯების გადადგმაში, შემდეგ მან ვაშინგტონში უნიკალური როლი ითამაშა საქართველო-ამერიკის დაახლოებაში და ახლა ბოლო დღეებშიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ აქ სამინისტროში არიან ძალიან მაღალი კლასის პროფესიონალები.

სამინისტრო უნდა ჩამოყალიბდეს ბევრად უფრო მოქნილ სტრუქტურად, რეალურად უნდა ავამუშავოთ როტაციის მექანიზმი, უნდა გაიზარდოს ხელფასები! მიუხედავად იმისა, რომ არიან მართლაც პროფესიონალები, მე შემიძლია ვიმსჯელო სამინისტროს დონით და იმ დოკუმენტაციით, რომელსაც მიმზადებენ ოფიციალური შეხვედრებისთვის. ხშირად ამ დოკუმენტაციის დონე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს! ხშირ შემთხვევაში ეს არის ფორმალურად მომზადებული დოკუმენტი.

მე კარგად მახსოვს, როდესაც პირველად წავედი დავოსში ვიზიტით, როდესაც ოფიციალურად ჯერ არ ვიყავი პრეზიდენტი, მომაწოდეს რამდენიმე დოკუმენტი და ყველაში ეწერა ერთი და იგივე: "ჩვენ გვინდა კარგი და მეგობრული ურთიერთობები რუსეთთან".

ეს არ არის ის, რასაც ამზადებენ შეხვედრებისთვის.

მე მაინტერესებს, კონკრეტულად რა პრობლემები გვაქვს ნავთობისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში.

ასე ჩვენ ვერ ვიმუშავებთ!

ისევე როგორც მე არ მჭირდება მომზადებული ფრაზები, რა უნდა ვილაპარაკო!

გარწმუნებთ, ლაპარაკი არავიზე ნაკლებად არ ვიცი!

მე მჭირდება კონკრეტული თემატიკა, დაკონკრეტება იმისა, თუ რა მიმართულებებია და რა პრიორიტეტებია!

საბავშვო ბაღი საგარეო პოლიტიკაში უნდა დამთავრდეს!

მართალი გითხრათ, მე მიმაჩნია, რომ, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ფასდებოდნენ ის პროფესიონალები, რომლებიც იყვნენ სამინისტროში. ამ პროფესიონალებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ უკეთესად გამოხატონ თავისი პოლიტიკა.

რა არის ჩვენი პოლიტიკის მთავარი მიმართულებები?

ეს არის, პირველ რიგში, საქართველოს ინტეგრაცია ევროპის კავშირში და ევროპულ სტრუქტურებში!

ჩვენ ახლახან გახლდით ბრატისლავაში და უნდა გითხრათ, რომ არავის ამდენი არ ულაპარაკია არც ერთ ქვეყანაზე, რამდენიც საქართველოზე.

დღეს დღის წესრიგში დგას მთავარი თემა - ზოგადად დაინტერესება სამხრეთ კავკასიით. ჩვენი რევოლუციის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ სამხრეთ კავკასია ერთვება ფართო ევროპის სამეგობრო ინიციატივაში, ევროკავშირის გაფართოების გეგმაში, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი მთავარი ამოცანა არის ის, რომ შევძლოთ საქართველოს საკითხის დაყენება!

და დღეს ევროკავშირში სრულიად ნათლად დგას საქართველოს საკითხი!

რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის?

ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ჩვენ მოვახერხებთ 6-7 წლის განმავლობაში ამ საკითხის გადაწყვეტას, საქართველო გახდება ჩვეულებრივი, ნორმალური და განვითარებული ევროპული სახელმწიფო!

რითი მიიღწევა ეს?

პირველ რიგში ჩვენ შიდა პოლიტიკური სტაბილურობა უნდა მოვიპოვოთ, უნდა მოვახერხოთ ყველა საკამათო საკითხის ქვეყნის შიგნით გადაწყვეტა, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი კონტურების მოხაზვა, ეკონომიკის განვითარება!

ჩვენ აღარ ვკრიფავთ გადასახადებს ქაღალდზე, როგორც ამას წინა მთავრობა აკეთებდა, ჩვენ ვითხოვთ ყველგან ფულს, ფულის ნიშნებს.

შემდეგ ამ ფულის ნიშნებს ვანაწილებთ პენსიებში, ხელფასებში და ეს გვაძლევს საშუალებას, რომ სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებს და არა ცალკეულ მინისტრებს, უკვე შემდეგი თვიდან ხელფასები გავუზარდოთ - ზოგს შვიდჯერ და ზოგს რვაჯერ.

მეორე საკითხი არის, რაღა თქმა უნდა, აშშ-სთან ჩვენი მეგობრობა, ვინაიდან აშშ მხარში დაგვიდგა სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა საქართველოს!

ამიტომ ქართველ ხალხს ეს არასოდეს უნდა დაავიწყდეს!

დღეს აშშ საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურების ჩამოყალიბებაში და შეიარაღებული ძალების შექმნაში ეხმარება!

აშშ გვეხმარება ენერგეტიკის რეფორმირებაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში!

პრეზიდენტმა ბუშმა მიწოდა პირადი მეგობარი და ეს დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, მე პოლიტიკაში, განსხვავებით ჩემი წინამორბედისგან, პირად მეგობრებს არ ვეძებ. მე ყველგან ვეძებ საქართველოს მეგობრებს!

დღეს საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი!

ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან:

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ძალიან კეთილგანწყობილი და თბილი დამოკიდებულება რუსეთის პრეზიდენტთან!

მიმაჩნია, რომ ეს არის უნიჭიერესი ხელმძღვანელი და ფართო მასშტაბის პოლიტიკოსი!

ჩვენი ურთიერთობის პირველი სერიოზული გამოცდა იყო ის მოვლენები, რომელიც განვითარდა აჭარაში!

მინდა გითხრათ, რომ რუსეთის თავშეკავებულმა პოზიციამ ბევრწილად განსაზღვრა ის, რომ, პრაქტიკულად, თავგასულმა ადგილობრივმა ჩინოვნიკმა დაიხია უკან და აღიარა ის, რაც არის სადიარებელი, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება უნდა აკონტროლებდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას!

ეს იყო დავა იმაზე, იქნება თუ არა საქართველოში ერთიანი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, იქნება თუ არა ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურები და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება.

ამ სიტუაციაში რუსეთის კეთილგონივრული და თავშეკავებული დამოკიდებულება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი იყო იმისა, რომ პრაქტიკულად გაჩნდა შესაძლებლობა სრულიად ახალი რუსულ-ქართული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა!

პრობლემა იყო ჩვენს წინა ხელისუფლებასთან ის, რომ არც ერთ შეთანხმებას ჩვენი მხრიდან არ ვასრულებდით!

მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღებული ვალდებულება საქართველომ შეასრულოს, მაგრამ, ასევე, რა თქმა უნდა, ჩვენ ველით, რომ რუსეთის მხარე ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკის და ახალი მიდგომების ქართული მხარის მიმართ!

რუსეთი არის ჩვენი დიდი პარტნიორი, რუსეთი არის ჩვენი მთავარი ბაზარი, რომლის გარეშეც ქართული ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია!

ამის გამოუყენებლობა დანაშაულია საქართველოს ნებისმიერი ხელმძღვანელისთვის!

ჩვენი ურთიერთობები სხვა მეზობლებთან:

ეს არის ურთიერთობები თურქეთთან!

მაგალითად, აჭარის სიტუაციამ სრულიად ნათლად დაგვანახა, ჩვენი რა დონის მეგობარია თურქეთი!

თურქეთის მთავრობამ იმავე დღეს თქვა, რომ ყველანაირ სიტუაციაში ის იქნება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარეს!

ადგილობრივი რეგიონის ყველანაირი ურთიერთობა გავა მხოლოდ თბილისის გავლით და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით!

თურქეთმა განაცხადა, რომ როგორი ნაბიჯიც უნდა გადავდგათ აჭარაში, ყველა ნაბიჯს იგი გაგებით შეხვდება!

ეს არის ნამდვილი მეგობრობა და ნამდვილი თანადგომა!

თურქეთში უზარმაზარი კაპიტალია, რომელიც უნდა შემოვიდეს ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესში!

თურქეთი გვეხმარება უსაფრთხოების სტრუქტურების ჩამოყალიბებაში!

ყველაზე კარგი სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც საქართველოში მინახავს, კოჯრის ბატალიონია, რომელიც თავიდან ბოლომდე თურქების ეკიპირებული და მომზადებულია, ისევე, როგორც საქართველოს შინაგანი ჯარის სპეციალური ბრიგადა!

ასეთივეა ჩვენი ურთიერთობები სომხეთთან და აზერბაიჯანთან!

მე მართლაც ბედნიერი ვარ იმ კონტაქტებით, რომელიც ჩამომიყალიბდა ამ ქვეყნის პრეზიდენტებთან!

ჩვენ ვართ ერთი რეგიონი. თუ სამხრეთ კავკასია არ გაერთიანდა, ყოველგვარ ევროპაზე საუბარი ზედმეტი იქნება!

ჩვენ გვინდა ერთიანი ტარიფები, ერთნაირი საკანონმდებლო სივრცე; ის, რომ საწარმო, რომელიც რეგისტრირებული იქნება სომხეთში, ავტომატურად ჩაითვალოს რეგისტრირებულად საქართველოში და პირიქით!

თავისუფლად უნდა შეეძლოს ოპერირება მთელს ეკონომიკურ სივრცეს, იმისთვის, რომ დამყარდეს კავშირი ინვესტიციებს შორის. ფული, რომელიც ჩაიდება საქართველოში, ჩაიდოს სომხეთსა და აზერბაიჯანში და პირიქით!

ხალხი თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდეს!

ტვირთები თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდეს!

მნიშვნელოვანია ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები ევროპულ ქვეყნებთან! მთავარი არის ის, რომ ჩვენ შევძლოთ მომავალი ურთიერთობების აწყობა!

რა იყო ჩვენი პრობლემა?

ჩავდივართ, მოველაპარაკებით, ერთმანეთს გადავკოცნით, ყველაფერზე შევთანხმდებით და მერე იგივეს ვაგრძელებთ!

სწორედ ამიტომ ჩემი ვიზიტების წყება გაცნობითი იყო და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა!

შემდეგ წელიწადში იქნება 4-5 ოფიციალური ვიზიტი და დანარჩენი იქნება ამ ვიზიტების შედეგების რეალიზება!

ყოველი სპეციალური რეისი, დაახლოებით, 80 ათასი დოლარი ჯდება, მაგრამ რამდენი თანხა ჩამოვიტანეთ ამის ხარჯზე.

ბერლინიდან 12 მილიონი ევრო, ამერიკაში ჩაფრენა დაგვიჯდა 150 ათასი დოლარი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში 170-200 მილიონი დოლარის დახმარებას მივიღებთ.

ხალხს იმის დანახვა კი არ სურს, რომ ტაში დაუკრეს სააკაშვილს საერთაშორისო არენაზე, ხალხს სურს დაინახოს ის, თუ რამდენი ლარით მოემატება პენსია, რამდენი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, რამდენი ახალი ბიზნესი შეიქმნება!

ეს არის ის, რისი დანახვაც ქართულ საზოგადოებას უნდა!

ზღაპრები, რომ გავა ნავთობსადენი და ავშენდებით, ხალხს არ აინტერესებს!

გადის ნავთობსადენი, რატომ არ მუშავდება?

ნავთობსადენი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მას უნდა მოჰყვეს ინვესტიციები და ეს განხორციელდება, თუ საქართველო არ იქნება კორუმპირებული გარემო.

ის, რომ გადის ნავთობსადენი, არაფერს ნიშნავს!

მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები მიდიოდეს ბოლომდე და ამისთვის ყველაფერი გავაკეთოთ!

ვიცი, რომ ხელის შეშლაც მრავლად იქნება, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ხელი ვერ შეგვიშალონ!

ამავე დროს უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მშიერ ბავშვს ნავთობით ვერ გააძღობ.

ეს ყველაფერი ქვეყნის ფუნქციონირებაზე დამოკიდებული!

ჩვენ ვართ ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, რომელსაც ძალიან მძიმე მემკვიდრეობა ერგო. უნდა გავძლოთ და გავიმარჯვოთ!

მაგრამ, ამ საკითხში გვჭირდება ყველა მეზობლებთან, ყველა ჩვენს პარტნიორთან მჭიდრო ურთიერთობები!

საქართველო ხდება მოთამაშე საერთაშორისო ურთიერთობებში! ამის ნათელი დასტურია ის, რომ სადაც ვიყავი, ყველაზე მეტს საქართველოზე საუბრობდნენ.

იმისთვის, რომ საქართველოში ტურისტები მოვიზიდოთ, ქვეყნის ტურისტული მარშრუტები უნდა იყოს მსოფლიოს ტურისტული სააგენტოების მესამედის მხედველობის არეში მაინც.

ჩვენთვის მთავარია, რომ შევქმნათ ეს ინფრასტრუქტურა, შევინარჩუნოთ სტაბილურობა, მოვიზიდოთ ინვესტიციები და თითოეულმა საელჩომ იცოდეს, რომ ის ცალკე ფეოდალური სამეგობრო კი არ არის, თითოეული საელჩო - ეს არის საქართველოს ინტერესების დამცველი!

თითოეულმა საელჩომ უნდა თქვას, რამდენი ტურისტის შემოყვანა შეუძლია, რამდენის შემოყვანა შეგვიძლია, სიტყვაზე, სვანეთში, აჭარაში, რამდენი ადამიანი შეგვიძლია დავაინტერესოთ ბუნებრივი და მინერალური რესურსების განვითარებით.

თუ ეს არ იქნა, მაშინ საერთოდ მუშაობა შეფასდება ცუდად. იმიტომ, რომ უბრალოდ ქაღალდების შეგროვება არ მაინტერესებს! მე უნდა ვიცოდე, რამდენი ბიზნესმენი ჩამოვა საქართველოში, ამ ბიზნესმენებს რამდენი ფულის ჩადება მოუნდებათ! აქამდე ამ ყველაფერს ერთეულები აკეთებდნენ!

ასე მაგალითად: ჩამოსული იყო ამერიკელი ინვესტორების ჯგუფი, შევახვედრეთ ჩვენს მინისტრებს და რა მოხდა - ჩვენი მინისტრები ერთ კუთხეში დადგნენ სასაუბროდ, კიდევ კარგი იქ აღმოჩნდა ჩემი თანაშემწე ნატო ყანჩელი, რომელიც მათ ესაუბრა და ამის შედეგად 15-20 მილიონის ჩადების გარანტიები მივიღეთ და რამდენიმე მილიონი უკვე წამოსულია!

მაგრამ ეს მინისტრები, რომლებიც კუთხეში დადგნენ, დიდ ხანს მინისტრებად არ უნდა დარჩნენ, თუ არ ისწავლიან სხვანაირად მუშაობას! ის დიპლომატები, რომლებიც ამაზე არ მუშაობენ, ვერ დარჩებიან საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში!

ამიტომ, მე მინდა, რომ ყველამ გავითვალისწინოთ: იწყება სრულიად ახალი ერა მთლიანად ქართული დიპლომატიის ისტორიაში!

ჩვენ დიდი დრო არ გვაქვს!

ის შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც ახლა გაიღო, შეიძლება ისე მიიკეტოს, რომ შიგნით მოგვყვეს ხელიც, ფეხიც და თავიც!

ამას ყოველდღიური მუშაობა სჭირდება!

ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ საქართველოს ჰქონდეს ასიმეტრიული სავაჭრო ბერკეტები, რათა ჩვენი პოზიციის შენარჩუნება შევძლოთ!

შემდეგი ეტაპი არის ის, რომ პარტნიორებთან გავაფორმოთ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შეგვეძლოს ეკონომიკური დახმარების მიღება, შეგვეძლოს ინტეგრაცია.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, ჩვენი საიდუმლო იარაღი არის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს!

ვიცი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ჭორი და ვარაუდი დადიოდა. მაგალითად, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ გავუუცხოვდებით რუსეთს, იმიტომ, რომ საგარეო საქმიანობაში მთლიანად ევროპული ვექტორი იქნება.

მინდა გითხრათ, რომ ქალბატონი სალომე არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. იგი არის ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ოჯახის წარმომადგენელი. ქალბატონი სალომეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა ნამდვილი ქართული ოცნების აღსრულებაა!

ამიტომ მისი პოლიტიკა საქართველოს მომავალისკენ მიმართული პოლიტიკა იქნება!

მე ვამაყობ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ამგვარი კვალიფიკაციის მინისტრი, ნამდვილი საერთაშორისო ვარსკვლავი!

ვამაყობ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც დაიწყო მოძრაობა პროგრესისკენ, ქვეყანა, რომელსაც გაუჩნდა განვითარების პერსპექტივები.

ეს არის, რისი თქმაც დღეს მსურდა და ჩემთვის დიდი პატივია ამ კედლებში ყოფნა!

ვაპირებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს შევუცვალოთ შენობა, იმიტომ, რომ ამ სამინისტროს უნდა ჰქონდეს საუკეთესო შენობა, ვინაიდან ეს არის საქართველოს სახე, აქ არიან საუკეთესო კადრები, ამ ხალხს უნდა საუკეთესო პირობების შექმნა!

ჩვენი ამოცანაა, საქართველოს სახე იყოს ყოველთვის ამაყი და საქართველო, როგორც ყოველთვის, იწვევდეს აღფრთოვანებას გარე სამყაროში!

ჩემთვის დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ქალბატონი სალომე მინისტრად!

მინდა, მივესალმო უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს! დიდი მადლობა, რომ ასე სწრაფად გამოეხმაურეთ ჩვენს თხოვნას და მობრძანდით. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენთვის ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან ძალიან მნიშვნელოვანია!

ასე რომ, ქალბატონო სალომე, ახლა ყველაფერი თქვენზეა, თქვენს მარიფათზე, თქვენს გამბედაობაზე, თქვენს არაორდინალურ გადაწყვეტილებაზე!

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

## რაც არ მჯერა, არ ვაკეთებ

### სალომე ზურაბიშვილის წარდგენა



სალომე ზურაბიშვილმა უკვე იცის, რომ მის უწყებაში ის ხალხი იმუშავებს, ვისაც ენდობა და ვის პროფესიონალიზმშიც ეჭვი არ ეპარება. ზურაბიშვილმა დიპლომატიური კორპუსის, საგარეო უწყების კოლექტივისა და, რაც მთავარია, პრეზიდენტის წინაშე გუშინ საზეიმო პირობა დადო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ ამიერიდან ხალხი ჩაწყობითა და ფულით ველარ მოხვდება. ახალმა მინისტრმა პრეზიდენტს საკადრო პოლიტიკაში ჩაურევლობის პირობაც ჩამოართვა. ძნელი სათქმელია, რამდენად უდანაკარგოდ გაიგეს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის საპროგრამო გამოსვლა ან პრეზიდენტის საკმაოდ ხანგრძლივი გამოსვლის შინაარსი. სინქრონული თარგმანის უქონლობის გამო, დიპლომატების ნაწილი, წარდგენის ცერემონიალის დასრულების შემდეგ უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებთან არკვევდა გამომსვლების შინაარსს (მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის სრულ ტექსტს ამავე ნომერში გთავაზობთ).

**"ეს არის უბედნიერესი დღე ჩემს ცხოვრებაში, რომელზეც ოცნებასაც კი ვერ გავბედავდი. დიდი იმედი მაქვს, რომ ამიერიდან მეც შევიტან ჩემს მოკრძალებულ წვლილს საქართველოს ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. სწორედ იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის მშენებლობის სურვილი დაინახა, მან საფრანგეთში საკმაოდ აწყობილი ცხოვრება და ოჯახი დატოვა. ზურაბიშვილს, როგორც "თავისუფალ ქვეყანაში აღზრდილ თავისუფალ ადამიანს", ამ ნაბიჯის გადადგმა ყველაზე მეტად ჟაკ შირაკმა ურჩია. იმ ქათინაურების ფონზე, რომელიც გუშინ ახალი მინისტრისთვის ყველაზე მეტად პრეზიდენტმა არ დაიშურა, სალომე ზურაბიშვილის თვითშეფასება ასე ჟღერდა: **საკმაოდ ცუდი ხასიათი მაქვს.** და როგორც თავად დააკონკრეტა, ცუდი იმიტომ, რომ **რაც არ მჯერა, არ ვაკეთებ**.

გასაკეთებელი კი ყოფილ ელჩს მართლაც ბევრი აქვს. პრეზიდენტმა მას და საქართველოს საგარეო უწყების მთელ შემადგენლობას საკმაოდ ბევრი დავალება მისცა: უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისთვის მაქსიმალური მუშაობა; მეზობელ რუსეთთან, როგორც პარტნიორთან, კარგი ურთიერთობის დამყარება; შეერთებულ შტატებთან შესაბამისი ურთიერთობის განმტკიცება შესაბამისი პოლიტიკური ბალანსის დაცვით. სააკაშვილს სჯერა, რომ ქალბატონი მინისტრი, როგორც თავად პრეზიდენტმა დაარქვა - საერთაშორისო ვარსკვლავი, ამ მძიმე ტვირთს გაუმკლავდება. სააკაშვილს ასეთი იმედის საფუძველს, გამოცდილი დიპლომატის - ზურაბიშვილის სამსახურებრივი დოსიეს გარდა, მისი წარმომავლობაც აძლევს. ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილის - სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე შევარდნაძისთვის სააკაშვილს ჯერ კიდევ 1996 წელს შეუთავაზებია, მაგრამ მისგან ცივი უარი მიუღია. ახლა კი მიხეილ სააკაშვილმა საგრეო უწყების ხელმძღვანელად საქართველოში საფრანგეთის ყოფილი ელჩის დანიშვნაზე თანხმობა თავად ჟაკ შირაკისგან მიიღო.

*ლელა მჭედლიძე*

# ფერო" - რუსული ბიზნესის მორიგი სამიზნე

პირველი გვერდიდან

"ფეროდან" მხედრიონული კალიბრის სილიკომანგანუმის მაფიის განდევნისა და ქარხნის ხელახალი ამუშავების შემდეგ, რაც 90-იანი წლების შუახანებიდან დაიწყო, ქარხანა საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა საფინანსო-პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესების არეშია მოქცეული. ისევე როგორც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, "მადნეულის" კომპლექსში, "ჭიათურმანგანუმში" თუ მრეწველობის სხვა გიგანტებში, "ფეროშიც" არც ერთ დაჯგუფებას ცდა არ დაუკლია, რომ როგორმე ფეხი მოეკიდებინა და საბანი სათავისოდ გადაეთრია.

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინ აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ საწარმოს სახელმწიფოს გამგებლობაში დატოვება ამ პროცესებს დაუსრულებელ ხასიათს შესძენდა. თუმცა, მის გაყიდვაზე ყველა მისაღები თუ მიუღებელი მოტივით მთელი ამ ხნის მანძილზე ემბარგო იყო დადებული.

შარშან ივლისში "ფეროს" აქციების საკონტროლო პაკეტის გაყიდვა შევარდნაძემ, როგორც იქნა, გადაწყვიტა. მისივე განკარგულებით, "ფეროს" საკონტროლო პაკეტი პირდაპირი მიყიდვის წესით ავსტრიულ კომპანია "დეკომეტალ თრეიდინგს" მიეყიდა. თავად ამ კომპანიის საწინააღმდეგო, ალბათ, არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს, რადგან "დეკომეტალი" მსოფლიო ბაზარზე ჯერ კიდევ 1846 წლიდან მოღვაწეობს და მეტალურგიულ სექტორში საკმაო წონა და ავტორიტეტი გააჩნია. თუმცა, ის იდუმალება, რომლის პირობებშიც შევარდნაძემ "ფეროს" აქციები გაასხვისა, ცხადია, არ შეიძლებოდა, უამრავი ეჭვისა და მითქმა-მოთქმის საბაბი არ გამხდარიყო. როგორც წესი, შევარდნაძის ხელისუფლება ყველა მსგავს გარიგებას საკუთარი სარგებლის გათვალისწინებით დებდა. დიდია ალბათობა, რომ გამონაკლისი არც "ფეროს" შემთხვევაშია დაშვებული. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანა ავსტრიელებს ოფიციალურად ნამდვილად სასაცილო თანხად - სულ რაღაც 7 მილიონ დოლარად მიეყიდათ. პარალელურად, ისიც აღსანიშნავია, რომ შევარდნაძემ პირდაპირი მიყიდვა საკუთარი განკარგულებით და არა ბრძანებულებით გააფორმა. იურიდიულ ენაზე ეს სხვაობა ძალიან მნიშვნელოვანია: ბრძანებულების გასაჩივრება მის ავტომატურ შეჩერებას იწვევს, განკარგულების გასაჩივრება კი მის მოქმედებას არ აჩერებს. ერთი სიტყვით, შევარდნაძემ ყველა მიმართულებით საფუძვლიანად დაიჭირა თადარიგი.

სწორედ ამ და სხვა საეჭვო გარემოებების გამო იყო, რომ განკარგულების კანონიერების შესწავლის და "დეკომეტალისთვის" "ფეროს" მიყიდვის გადახედვის მოთხოვნა უკვე არაერთხელ გაისმა. თუმცა, ეს პროცედურა ამჯერადაც ისეთივე ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს, როგორც ყველა სხვა საპრივატიზებო გარიგება, სადაც უცხოელები მონაწილეობენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიც დავის გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო (ამ შემთხვევაში, ჟენევის) არბიტრაჟია დადგენილი, რომელიც შიდა ქართულ თავისებურებებს ნაკლებად მიაქცევს ყურადღებას, რაც ავსტრიელების გამარჯვების შანსს შეუდარებლად ზრდის. მეორეც, ეს კონკრეტული ფაქტი, შესაძლოა, საკმაოდ ცუდი სტარტი აღმოჩნდეს იმ ახალ საინვესტიციო ისტორიაში, რომლის დაწერასაც მონდომებით ცდილობს საქართველოს ახალი ხელისუფლება.

მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში "დეკომეტალმა" აქტიური საზოგადოებრივი კამპანია იწყო და ცდილობს, მის გარშემო ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი გაანეიტრალოს. შესაბამისად, დღეს ყურადღების მეტი კონცენტრირებაც ავსტრიელების მიმართულებით ხდება. თუმცა, გაცილებით საინტერესოა ის ახალი გარემოება, რომელიც ამ საქმეში ჩახედულებს თუ ჩაუხედავებს აბსოლუტურად უყურადღებოდ აქვთ დატოვებული. პირდაპირი მიყიდვის შესახებ შევარდნაძის გამოცემული განკარგულებით უკმაყოფილოთა შორის რუსული კომპანია "Промышленные инвесторы"-ც აღმოჩნდა. მისი აქტივობა კი, როგორც ჩანს, იმდენად საგრძნობია, რომ რუსების პრეტენზიებზე საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში თვით იმერეთის ამჟამინდელი გუბერნატორი დავით მუმლაძეც მიუთითებს (საყურადღებოა, რომ ამ საკითხზე რუსულ კომპანიას უკვე პრეზიდენტისთვისაც მოუსწრია წერილის მიწერა). და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, მუმლაძის წერილიდან ირკვევა კიდევ ერთი სიახლე: კერძოდ, ის, რომ კომპანიათა ჯგუფი "Промышленные инвесторы" სადღეისოდ, არც მეტი, არც ნაკლები, "ფეროს" აქციების 25 პროცენტის მფლობელია.

რას წარმოადგენს კომპანია "Промышленные инвесторы" და ვინ დგას მის უკან? საიდან აღმოჩნდნენ ისინი საქართველოს მეტალურგიულ კომპლექსში და რა ინტერესები ამოძრავებთ საბოლოოდ? რამდენად შეიძლება ეს დაბანდება წმინდა ბიზნეს-გარიგებად მივიჩნიოთ და მისი აპოლიტიკურობა ვამტკიცოთ?

თვით რუსეთშიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ "Промышленные инвесторы"-ს საკონტროლო პაკეტის მფლობელი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ბოლო დრომდე კი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგეი გენერალოვი გახლავთ. ის გენერალოვი, რომელიც რუსეთის ენერგეტიკულ უწყებას 1998-1999 წლებში ხელმძღვანელობდა და ცდა არ დაუკლია, რათა დიდი ნავთობსადენის დასავლური მარშრუტი (ბაქო-თბილის-ჯეიჰანი) როგორმე მიწასთან გაესწორებინა და რუსული მარშრუტის (ბაქო-ნოვოროსიისკი) უპირატესობა რუსული მუშტის ძალით გაეტანა.

მართალია, ეს ცდა გენერალოვს აშკარად ჩაუვარდა, მაგრამ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან ის არავის მოუხსნია. წინა მოწვევის სათათბიროში გენერალოვი "მემარჯვენე ძალთა კავშირის" კვოტით აღმოჩნდა და დღესაც თავის იდეურ თანამებრძოლთან - ანატოლი ჩუბაისთან ერთად ლიბერალური რუსული "იმპერიის" იდეის ერთ-ერთი იდეოლოგია. მისი ბიზნესი უკვე კარგა ხანია, გასცდა მხოლოდ ენერგეტიკულ სექტორს და სადღეისოდ უამრავ სხვა მიმართულებასაც მოიცავს: ალკოჰოლური სასმელების წარმოებას, საზღვაო სანაოსნო მეურნეობას, მანქანათმშენებლობას, ბიოტექნოლოგიების სექტორს და უამრავ სხვასაც.

ერთი სიტყვით, რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ჩუმ ოლიგარქს, რომელთანაც კრემლს უაღრესად ლოიალური დამოკიდებულება აქვს, საკმაოდ დივერსიფიცირებული ბიზნესი აქვს. თუმცა, გარკვეულ პერიოდამდე ის, ძირითადად, მხოლოდ რუსული ბაზრით იყო დაინტერესებული. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ, პრაქტიკულად, ყველა ყიდვა-გაყიდვითი ოპერაცია, რომელიც მის სახელს უკავშირდება, აფიშირებულია ხოლმე, რასაც ვერ ვიტყვით "ფეროს" აქციების ყიდვაზე: გენერალოვი და მისი "Промышленные инвесторы" ისე გახდნენ ზესტაფონის ქარხნის 25 პროცენტის მფლობელები, არსად ერთი ბწკარი ინფორმაციაც კი არ გაუციათ.

თუმცა, საამისოდ შესაბამისი ფონი წინასწარ იყო შემზადებული. ის, რომ რუსულ კომპანიებს დაინტერესება აქვთ "ფეროში", ამის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში თბილისში გამართული ბიზნეს-ფორუმის მსვლელობისას დაუფარავად განაცხადა რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ არკადი ვოლსკიმ (შეგახსენებთ, რომ ფორუმის ყველაზე აქტიური მასპინძლები პრეზიდენტ შევარდნაძის მძახალი გურამ ახვლედიანი და მაშინდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი იყვნენ). მაშინ მეტი დეტალიზება არ მომხდარა. დღეს კი უკვე ცხადია, რომ ვოლსკის ამ განაცხადს კომპანია "Промышленные инвесторы"-ს გააქტიურება მოჰყვა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ "ფეროში" ახალი მეპატრონის გამოჩენის მიუხედავად, რუსები დანებებას არ აპირებენ და საამისოდ უკვე ახალ ხელისუფლებაში ცდილობენ მოკავშირეების მოძებნას. ძველში მათი პარტნიორი მრავალმხრივ სახელგანთქმული გურამ ახვლედიანი გახლდათ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოფილი ხელმძღვანელი ზესტაფონის ქარხნაში უკვე კარგა ხნის "გამაგრებული" იყო. სწორედ მისი პალატის გაცემული სერტიფიკატებით ხდებოდა ზესტაფონიდან წიდის გატანა. სადღეისოდ ახვლედიანის პოზიციები, გასაგები მიზეზების გამო, თავიდან ბოლომდე შერყეულია. ამიტომაც, რუსები უფრო მდგრადი პარტნიორის მოძებნას ცდილობენ.

ჯერ ამ ბრძოლაში მათ ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ბევრი რამ სწორედ ქართული მხარის პრინციპულობასა და გონივრულობაზეა დამოკიდებული, რომელსაც რუს ინვესტორებთან ურთიერთობაში ორი ნიშანდობლივი მაგალითი აქვს: ერთი "რაო ეეს"-ის შემოსვლა, რომელმაც ყველა დასაშვები და დაუშვებელი გზებით გაიწმინდა გზა, საქართველოს უნებისყოფო ხელისუფლებას სტრატეგიული ინვესტორი გააძევებინა და ქვეყნის ენერგეტიკა მთლიანად ზედ მიიბა; მეორე "იტერას" ინტერვენცია, რომელმაც კომბინატი "აზოტი" თითქმის უსასყიდლოდ დაისაკუთრა, საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში კი უმოქმედოდ გააჩერა და ქართული აგროსექტორი სწორედ რუსეთიდან შემოსული სასუქების იმედადღა დატოვა.

ქართულ ბიზნეს-სივრცეში კიდევ ერთხელ დგება მსგავსი ალტერნატივა - უნდა გაკეთდეს არჩევანი უკვე მოქმედ დასავლელ ინვესტორსა და ქვეყანაში დამკვიდრების მსურველ რუსულ კომპანიას შორის. ფსონად კი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი აქტივი, მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქარხანაა დადებული, რომელსაც ამჟამად საკმაოდ პოზიტიური გარე და საშინაო ეკონომიკური ფაქტორებით სარგებლობის შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევა შეუძლია.

შესაბამისად, ამ ეტაპზე საქართველოში კიდევ ერთი საინვესტიციო ისტორია იწერება. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია გადაწყვეტს, იქნება ეს ინვესტორთან არაცივილური დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითი თუ იმ დეკლარირებული კურსის ერთგულება, რომელიც ინვესტიციების დაცვას და ეკონომიკური პროცესების პოლიტიკური ზეწოლისგან მაქსიმალურ განთავისუფლებას გულისხმობს.

www.24hours.ge
24 B

# პოლიციელების ზურგს არ ვეფარები

პირველი გვერდიდან

კონცეფცია ჩამოყალიბებულია, ვიცით, რა მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ, მაგრამ ყველაფერი ასაწონ-დასაწონია - კონკრეტულად რამდენი და რა სტრუქტურა უნდა დარჩეს, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს. პროგრამის სახით ამის ჩამოყალიბებას ქართველი და უცხოელი სპეციალისტების კონკრეტული რეკომენდაციები სჭირდება.

**- ამ პროგრამის პრეზენტაციას როდის აპირებთ?**

- ერთ-ორ თვეში. რეფორმის პირველი ნაწილი ორი წლის განმავლობაში განხორციელდება.

**- საერთაშორისო ორგანიზაციამ, human rights watch-მა გამოაქვეყნა წერილი, სადაც დეკემბრიდან მარტის დასაწყისამდე ცემა-წამების 20 ფაქტია აღრიცხული. კონკრეტულად ვინ დაისაჯა ამის გამო?**

- კარგად ვიცით, რომ წამება ამ სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. ჯერჯერობით არის და სტრუქტურის მთლიან რეფორმამდე ასე იქნება. პოლიციელებს ქუჩიდან ვერ მოვიყვანთ. ოპერატიულ მუშაკებს, საგამოძიებო სტრუქტურების წარმომადგენლებს შესაბამისი უნარ-ჩვევები, განათლება და გამოცდილება უნდა ჰქონდეთ. შუბლზე არავის აწერია, ვინ ვის აწამებდა, მაგრამ ვინც ამ საქმეში შემჩნეული და საზოგადოებრივი აზრისთვის მიუღებელი იყო, ვთხოვეთ, განცხადებები დაწერეს და წავიდნენ, ასეთი ათეულობით ადამიანია და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

გარდა ამისა, ჩვენი შიდა კონტროლის სამსახური გავაძლიერეთ, უფრო ქმედუნარიანი გავხადეთ, შევმატეთ სტრუქტურები, მეტი უფლებები და გასაქანი მივეცით და მეტიც მოვთხოვეთ. ყველა სახის დანაშაულისთვის, მათ შორის, ცემა-წამებისთვის ორი თვის განმავლობაში იმდენი პოლიციელი დაისაჯა, რამდენიც ადრე მთელი წლის განმავლობაში ისჯებოდა.

ხანდახან ცოტა უცნაურად იქცევიან ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები. თუ ვინმეს რაიმე ფაქტი აქვს, პირდაპირ ტელევიზიით გამოდიან და აცხადებენ, რომ ჩემთან დაკავშირება რთულია. ამ საკითხში ქალბატონი ნანა კაკაბაძე გამოირჩევა, არც ერთხელ არ მოუმართავს ჩემთვის. ჩემთან დაკავშირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მით უფრო, ამგვარი ორგანიზაციებისთვის და იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა სიმპათიით განწყობილი ჩვენდამი. პირიქით, დაინტერესებული ვარ, რომ ამ კუთხით მინიმალური პრეტენზიები არსებობდეს.

არ მაქვს ილუზია, რომ ორ თვეში და, გნებავთ, წელიწადნახევარში ეს პრობლემა მოიხსნება. მინდა ტენდენციებმა იკლოს და, ამიტომაც, თითოეულ ფაქტს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ამ შენობაში მდებარე იზოლატორში ადამიანმა თავი ჩამოიხრჩო. ყველა ხელმძღვანელი პირი გავათავისუფლეთ, საქმე პროკურატურას გადავეცით და ჩვენს შენობაში არსებული დროებითი დაკავების იზოლატორი იუსტიციის სამინისტროს გადავეცით.

**- სიახლე არ იქნება თქვენთვის, თუ ვიტყვი, რომ აქამდე ეს სისტემა კორუფციაზე იდგა. დღეს ძველი კადრები ისევ მუშაობენ. მათი გამოცდილება, კი, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითია. როდემდე გამოიყენებთ ამ კადრებს და გადგებათ თუ არა მათი გამოცდილება?**

- ჩემი მოადგილეები და საკვანძო საკითხებში ხელმძღვანელი პირები, პრაქტიკულად, ახლები არიან. ძველი პლეადის თანამშრომლებიდან ჩვენს გუნდში ბატონი გურამ ქარქაშაძე ჩავწერეთ. ის ადრე მინისტრის მოადგილე და შემდეგ პოლიციის აკადემიის რექტორი იყო, დღეს კი საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელია და ერთ-ერთი გამორჩეული არაკორუმპირებული პოლიციელია. ვინც ძველი ხელმძღვანელობის დროს მუშაობდა, ყველა ცუდი პოლიციელი არ არის...

**- როდემდე იქნება თქვენთვის საჭირო მათი გამოცდილება?**

- გამოცდილი ადამიანები მუდმივად იქნებიან საჭირო. ახალი პლეადის საკმარისი რაოდენობით აღზრდას ათი წელი მაინც დასჭირდება.

**- აკადემიაში ახალი რექტორი დანიშნეთ, თუმცა მარტო ის ვერაფერს გახდება. ვინ და რა პროგრამით უნდა ასწავლოს პოლიციის აკადემიაში?**

- განათლების სისტემის ძირფესვიანად შეცვლას ვაპირებთ. პოლიციის აკადემია სამართალმცოდნეებს არ უნდა ამზადებდეს, ეს ნონსენსია. აკადემია პოლიციის ოფიცრებს უნდა უშვებდეს და არა იურისტებს. ეს ორი სხვადასხვა რამ არის, ამიტომ 4-5 წლიანი კურსების ნაცვლად ახალგაზრდები ერთწლიან კურსებზე მოემზადებიან.

**- სად იპოვით პედაგოგებს?**

- საქართველოში საკმარისი პოტენციალია. ამ თემაზე რეფორმების ჯგუფი მუშაობს. ჩვენ სისტემაში გვაქვს პრობლემა და არა პედაგოგებსა და სპეციალისტებში. სისტემას ყველაფერი ფორმალობამდე დაჰყავს. იქ კი არ ასწავლიან, დიპლომებს და ოფიცრებს შტამპავენ. არ შეიძლება პოლიციაში დაწინაურების საკითხი, თუნდაც, მინისტრის შეხედულებით წყდებოდეს. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა პოლიციის კადრების სამსახურში მიღების, დაწინაურების, დაქვეითების და სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური კრიტერიუმის სისტემის შექმნაა. სისტემა, რომელიც დღეს მუშაობს, შეიძლება, იგივე მინისტრისთვისაც კომფორტული, მაგრამ ქვეყნისთვის საჭირო არ იყოს. ორიენტირებული არ ვარ, პირადი სიმპათიით მოვიყვანო ხალხი. მინდა, ობიექტურად ვიცოდე, ვის რა შეუძლია. ჩემამდე მოსული ინფორმაცია კი ყოველთვის ობიექტური არ არის. ობიექტურობის აბსოლუტური დაცვა შეუძლებელია, მაგრამ ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, სადაც თითოეულ დაწინაურებას წინ გადამზადების ეტაპი ექნება.



გიორგი ბარამიძე

ლევან ხერხეულიძე ფოტო

*ღიად ვაცხადებ - ქურდებს, ყაჩაღებსა და ბანდიტებს შორის დაპირისპირებას ყველანაირად წავახალისებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ ერთმანეთი დაჭამონ და არა ჩვენი საზოგადოება.*

დღეს ეს ყველაფერი ქაღალდზეა... აკადემიაში საშინელი მდგომარეობაა - ეს არის ნანგრევები, მიწისძვრისგან დაზარალებული შენობა, სადაც ხუთიოდე ნორმალურ კომპიუტერს თუ ნახავთ.

**- პოლიციის უფულობა პირდაპირ აისახება მოსახლეობაზე. საიდან ელით თანხებს?**

- ბიუჯეტიდან და რეფორმების ფონდიდან. ეს ხელფასი, ჯერჯერობით, მაღალი რანგის და მაღალი კორუფციული რისკის პოლიციელებზე გაგვწვდა...

**- ვინ მუშაობს კორუფციის მაღალი რისკის ზონაში?**

- მინისტრიდან დაწყებული ყველა ხელმძღვანელი პირი - მთავარი სამმართველოს, დეპარტამენტების უფროსები, მათი მოადგილეები - ის ხალხი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და სადაც ადრე საზოგადოებისგან ფულის გამოწოვის პირამიდები კეთდებოდა. თუ პიროვნებას ბევრი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, ბევრი კორუფციული ქმედების ჩადენაც შეუძლია - ეს არის რისკი.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია იმ სტრუქტურების დაფინანსება, რომელთაც ყოველდღიური შეხება აქვს საზოგადოებასთან. პირველ რიგში, საგზაო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მძღოლებს ფულს სთხოვენ. სანამ კარდინალურად არ შევცვლით სიტუაციას, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, არის და იქნება. თუმცა, ერთ ხანს მკვეთრად შემცირეს ამგვარი ქმედებები, მაგრამ ახლა მომდის ინფორმაცია, რომ ისევ დაიწყო.

**- უკანასკნელ დროს თითქმის ყველა ხმაურიანი დაკავება პროკურატურამ განახორციელა. რატომ არ აქტიურობდა შსს?**

- ეს პროკურატურის კომპეტენციაა და არა შსს- სი.

**- ქუთაისის სპეცოპერაციამ დიდი ხმაური გამოიწვია. უდანაშაულო ადამიანები დაიღუპნენ. დაისაჯა თუ არა ვინმე ამისთვის?**

- არათუ არ დაისაჯა, არამედ იმ ადამიანებს მადლობა გამოეცხადათ და პატივი მივაგეთ.

შეიძლება, ჩვენ შეცდომაც მოგვივიდეს და მოგვივა კიდეც - როცა მუშაობ, შეცდომაც მოგივა. თუ ასეთი რამ მოხდება, ვიტყვით კიდეც, მაგრამ ეს არ იყო შეცდომა და არც სპეცოპერაცია არ იყო.

მარტივად გიამბობთ: ყაჩაღებმა მანქანები გაიტაცეს. მფლობელებმა ინფორმაცია გადასცეს პოლიციას, პოლიციამ კი ეს ინფორმაცია რეგიონში უცაბედად გაავრცელა. როდესაც ეს მანქანები ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავდათ, თერჯოლის პოლიციამ აღმოაჩინა და გამტაცებლებს გაჩერება მოსთხოვა. ისინი არ გაჩერდნენ და პოლიციის თანამშრომლები გამოეკიდნენ. გამტაცებლები ქუთაისში, ერთ-ერთ უბანში შევიდნენ. ეს უბანი თავისი კრიმინალური მენტალიტეტით არის ცნობილი - თუ იქ ვინმე შეაღწევდა, პოლიციელი ცხვირს ველარ ჰყოფდა. თერჯოლის პოლიციელები გამტაცებლებს ბოლომდე მიჰყვნენ, მათ კი ავტომატებით აუტეხეს სროლა. ბანდიტები ჯავშანჟილეტებით იყვნენ აღჭურვილნი, მათი იარაღის უზარმაზარი რაოდენობა ჰქონდათ და მანქანაში მჯდომ პოლიციელებს ესროდნენ. პოლიციელები ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ვისაც გადარჩენის შანსი ჰქონდა, მსროლელს სროლით უპასუხა. ეს ყველაფერი დაგეგმილი არ იყო, ასე რომ ყოფილიყო, იქ არა თერჯოლის, არამედ ქუთაისის და სამხარეო პოლიცია იქნებოდა.

სკანდალი, ალბათ, ვიღაცას უნდოდა და ეს დევნა წარუმატებლობად იმიტომ მონათლეს. რა თქმა უნდა, როცა საქმეს აკეთებ, შეცდომაც იქნება და წარუმატებლობაც

და თუ შეცდომაა, უნდა აღიარო კიდეც. შესაბამისად, დაისჯება ხალხი, ვინც შეცდომას დაუშვებს და ვინმეს ხელის დაფარებას არ ვაპირებ. ამ ადამიანებს ასე თავგამოდებით იმიტომ ვიცავ, რომ არ შეიძლება, ისინი დამნაშავეებად და არაკომპეტენტურებად გამოაცხადო...

**- დაღუპულებს არავინ ადანაშაულებს.**

- აბა, სხვა არც არავინ ერია ამ საქმეში, ამ ლონისძიებაში ეს საწყალი ხალხი იღებდა მონაწილეობას, რომელთაც თავი გასწირეს. სამხარეო და ქუთაისის პოლიცია მხოლოდ მას შემდეგ ჩაერია, რაც ქუთაისის ერთ-ერთ უბანში სროლის შესახებ ინფორმაცია მიიღო. როცა ისინი მივიდნენ, სამწუხაროდ, მოსახდენი მომხდარი იყო. ზუსტად ვიცოდით, რომელი სახლიდან ისროდნენ. ხალხმა ნახა, როგორ აგრესიულად გამოჰყავდათ ადამიანები სახლიდან, ძირს აწვენდნენ და ზოგიერთს ფეხსაც ადგამდნენ. პოლიციელებმა იმ მომენტში არ იცოდნენ, ვინ მოგვიკლა სამი პოლიციელი... როცა ადამიანის მსხვერპლზეა საუბარი, ნებისმიერ ქვეყანაში ასე მოხდება. თერჯოლელი პოლიციელები დაუცველები იყვნენ იმიტომ, რომ ეს დაუგეგმავი ოპერაცია იყო და მაკაროვის სისტემის პისტოლეტებით, ჯავშანჟილეტების გარეშე იყვნენ. ერთ-ერთ ლიკვიდირებულ ყაჩაღს ავტომატი და 200 ტყვია ამოვუღეთ – ეს, დაახლოებით, ავტომატის შვიდი მჭიდია. ამხელა რაოდენობით შეტევაზე ომშიც არ მიდიან. ეს საომრად გამოსული ხალხი იყო, რომელთაც პოლიციელები არ შეუშინდნენ, არ გაურიგდნენ, უკან არ დაიხიეს... მგონია, რომ მთელი აჟიოტაჟი ვიღაცას წინასაარჩევნოდ სჭირდებოდა, ვიღაცას ძალიან უნდოდა პოლიციაზე კბილის გაკვრა და ჩვენი რეაქცია აინტერესებდა. როდესაც უსამართლოდ აკრიტიკებენ პოლიციელებს და, მით უფრო, ვაჟკაც გმირებს, ჩემი რეაქცია მკვეთრი იქნება.

ტრაბახად არ ჩამომართვათ, ჩვენი მხრიდან წარმატებული იყო აკაკი ჩხაიძის აყვანის ოპერაცია. არა მგონია, არათუ საქართველოში, პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი რამ გაკეთებულიყო. იგივე ეხება თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლებასაც. ეს ერთი ამოსუნთქვით ჩატარებული ოპერაცია იყო - დავიჭირეთ გამტაცებელთა ძირითადი ჯგუფი ისე, რომ სიცოცხლე შევუნარჩუნეთ ტყვეს, ამავდროულად, ერთ-ერთ დაკავებულთან თანამშრომლობით მივაგენით ტყვის ადგილსამყოფელს. ჩვენ გამოვძებნეთ კანონიერი საშუალებები და დაკავებული თანამშრომლობაში დავაინტერესეთ. ადრე ეს არასდროს ხდებოდა - გატაცებულს ათავისუფლებდნენ და გამტაცებლების კვალი არსად ჩანდა. წარმატებული იყო ასევე ყიფიანის აყვანის ოპერაცია, სამეგრელოს ოპერაცია და ა.შ.

**- ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში პოლიციელები იყვნენ, როგორ გაიქცა ბენიძე?**

- იქ პროკურატურის თანამშრომლები იყვნენ და არა პოლიციელები. თანამდებობის პირთა დანაშაულობების გამოვლენას და გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს. ჩვენ ამ საქმეების დაწყება შეგვიძლია და ძალიან ბევრი საქმე (მინისტრებთან, მირცხულავასთან, კაკო ჩხაიძესთან დაკავშირებით) ჩვენგან წასული მასალებია. ცუდი პოლიციელების დასჯის მთავარი მექანიზმიც პროკურატურას გააჩნია.

**- რატომ ხდება საჭირო ოპერაციაზე ძალოვანთა პირველი პირების ერთობლივი დასწრება, მაგალითად, მკალავიშვილის აყვანისას? რას ემსახურება ეს?**

- მკალავიშვილის აყვანის ოპერაცია წარმატებულად მიმაჩნია. ჩვენ ოპერაციის დამთავრების შემდეგ მივედით და ამით საკუთარ თავზე ავიღეთ პასუხისმგებლობა. არ ვაპირებ, რომ ჩემს თანამშრომლებს ზურგსუკან ამოვეფარო. იქ მისვლით დემონსტრაციულად ვაჩვენეთ, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ და პასუხისმგებლობაც ჩვენზეა.

რაც შეეხება მაღლაკელიძეს - აქ სპონტანურად მოხდა იმიტომ, რომ სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები და გადაწყვეტილებების მიღება ადგილზევე იყო საჭირო. ბევრი რამ იმდენად სარისკო იყო, რომ პირადად უნდა მიმეღო გადაწყვეტილებები. იმ ადამიანისთვის, ვინც ჩვენთან თანამშრომლობდა, მინისტრს უნდა მიეცა გარკვეული გარანტიები. იმ ღამით გამტაცებლებს ფული უნდა აეღოთ და დილამდე დაგვიანება მძევალს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. მე მივეცი გარანტიები, რომ დანაშაულს შევუმსუბუქებდით და სასამართლო ამას გაითვალისწინებდა - კანონის ფარგლებში ამის საშუალება არის. ამიტომ იყო საჭირო მინისტრი და იმისთვისაც, რომ სწრაფი გადაწყვეტილებები მიღებულიყო.

მკალავიშვილი საქართველოს სირცხვილია. ამ ბოლო დროს რამდენი გინახავთ მოკვეთილი მართლმადიდებლური ეკლესიიდან?! როგორი შეუწყნარებელი უნდა იყოს მისი ცოდვა, რომ პატრიარქი და სინოდი ასეთ ნაბიჯზე წავიდეს?! ეს კაცი, რომელიც ასეთ მიუტევებელ ცოდვას ჩადიოდა, შევარდნაძის ხელისუფლების წყალობით მოგვევლინა მართლმადიდებლობის ვაიდამცველად. მართლმადიდებლობის სახელით განსხვავებული რელიგიის ადამიანებს ჯვრებს ურტყამდნენ, არბევდნენ. ხომ გახსოვთ, პოლიციელები გააშიშვლეს და ეს აქტი კამერით გადაიღეს. ააშენეს შენობა, რომელსაც ეკლესია დაარქვეს - ეს არის აგრესიული სექტა. თუნდაც, სექტა იყოს, თუ აგრესიული არ იქნება და კანონს არ დაარღვევს, ეს მათი საქმეა, მაგრამ ეს სექტა მართლმადიდებლობის მთავარი დამცველი გახდა... საპატრიარქოს არაერთხელ გაუცია მათთვის პასუხი და კიდევ გასცემს, მაგრამ ჩვენი პრობლემა იმიტომ გახდა, რომ ისინი ადამიანებს ესხმოდნენ თავს და შეურაცხყოფას აყენებდნენ. მთელ ევროპაში ვაცხადებთ, რომ უდიდესი ცივილიზაციის ერი და უძველესი ევროპელები ვართ. ვამაყობთ ჩვენი ტოლერანტობითა და შემწყნარებლობით, ვამაყობთ დავით აღმაშენებლით, რომელიც ყველა რელიგიას სცემდა პატივს და ხანდახან, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა რელიგიებს ათამამებდა კიდეც. მკალავიშვილი გამოგვივიდა მესია, რომელმაც უნდა განსაზღვროს, ვინ უნდა დაისაჯოს და ვინ არა, ამის უფლება არავის აქვს. ამიტომ ყველას დასანახად ძალის საპირისპიროდ ძალის გამოყენებას არ მოვერიდეთ.

სხვათა შორის, წინა საღამოს პოლიციის გლდანის სამმართველოს უფროსი თანამშრომელთან ერთად მივიდა მკალავიშვილთან და ამცნო, რომ სამართალდამცავი ორგანოები ეძებდნენ და გამოცხადებას თხოვა. ისიც აუწყა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, დააკავებდნენ... ყველა პროცედურა ქრესტომათიულად გაკეთდა. არანაირი ფსევდორელიგიური მოძღვრება არ უშველის კრიმინალს და დამნაშავეს. მკალავიშვილი ბრალეულია კრიმინალში. ვამაყობ, რომ არ გავურბივარ პასუხისმგებლობას და პოლიციელების ზურგს არ ვეფარები. თუ საჭირო იქნება, მომავალშიც მათთან ერთად და მათზე წინაც ვიქნები.

თუმცა, პოლიციელებისადმი კრიტიკულად ვარ განწყობილი, ბევრი საქმე გადავეცით პროკურატურას და ამ კუთხით მუშაობას კიდევ ვაპირებთ. მინდა, პოლიციელებმა იცოდნენ, რომ სამტროდ კი არ ვარ, ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის მოყვარე ვარ. ამის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და გარანტი შინაგან საქმეთა სამინისტროა. ამ ყველაზე კორუმპირებულ სისტემაში წესრიგი უნდა დამყარდეს. ამ სისტემას დანაშაულთან ბრძოლის არა მხოლოდ იურიდიული, მორალური უფლებაც უნდა ჰქონდეს. მინდა, პოლიციელებმა დაინახონ - როცა ისინი თავის საქმეს ალალად აკეთებენ, დავიცავ და მათ გვერდით ვიქნები, მაგრამ თუ დააშავებენ, პირველ რიგში ვიქნები მათი დამსჯელი.

**- წინა ხელისუფლებისგან სხვა სიმძიმეებთან ერთად სახელმწიფო იდეოლოგიად ქცეული ქურდული მენტალიტეტიც გადაიბარეთ...**

- მე არ გადავიბარე, საზოგადოებამ გადაიბარა.

**- როგორ აპირებთ იმის წინააღმდეგ ბრძოლას, სადაც დიდი ფული და საფრთხეებია? ამასწინ, ხმა გამოვიდა, რომ იზოლატორში, სადაც ახლახან დაკავებული კანონიერი ქურდი ბაიკოა, ქურდების შეკრება და საქმის გარჩევა შედგა. როგორ მოხდა ეს იზოლატორში?**

- საპყრობილეების თაობაზე, ალბათ, უფრო იუსტიციის სამინისტროს უნდა ჰკითხოთ, ეს მათი კომპეტენციაა.

როგორც ვიცი, სროლას ნამდვილად არ ჰქონია ადგილი. გარჩევები კი ჯერ არ ყოფილა, კიდევ მოსალოდნელია. ალბათ, ერთმანეთს გაურჩევენ საქმეს იმიტომ, რომ ზოგი ახალი ყაიდის ქურდია და ზოგიც - ძველი.

ძალიან ბევრი შაყირობდა და ბევრი კიდევ იშაყირებს ჩვენს ინიციატივაზე, ე.წ. "რიკოს კანონზე" - თუკი ადამიანი აღიარებს, რომ ის არის კრიმინალური დაჯგუფების წევრი, ან, ამ შემთხვევაში, ქურდი - მისი პასუხისგებაში მიცემა უკვე იყოს შესაძლებელი. ოპონენტები მსჯელობენ - რომელი ქურდი აღიარებს ამასო...

**- ასეთი აღიარებები გაქვთ?**

- ძველი, ქურდული კანონების მიხედვით, თუ ქურდს ეკითხები, ხარ თუ არა ქურდი და ის უარით გპასუხობს, უკვე ქურდი აღარ არის, ავტორიტეტად აღარ ჩაითვლება და იმ სამყაროში სერიოზულ ბერკეტებს კარგავს. ეს კი ბევრს, ვინც იდეურად ადგას ამ გზას, დიდი წვალების შედეგად აქვს მოპოვებული.

გვინდა, რომ ამ სამყაროში დისონანსი შევიტანოთ, თუნდაც დისკომფორტი ჰქონდეთ, თუნდაც ერთმანეთთან დაიწყონ კამათი... ჩვენი ოპონენტები ამბობენ - ქურდები შეთანხმდებიან და პროკურორს ეტყვიან, ქურდი არ ვარო... - ესეც ხელს მაძლევს იმიტომ, რომ მათ ესეც დისკომფორტს უქმნის.

**- ანუ, მათივე მეთოდებს იყენებთ?**

- არა, კანონიერ მეთოდებს ვიყენებთ. ვიყენებთ მათივე იდეოლოგიაში არსებულ მომენტებს. აქამდე ამას არ იყენებდნენ. თავის დროზე ამერიკელებმა ეს მეთოდი მაფიის წინააღმდეგ გამოიყენეს. ჩვენ გვაქვს ეს იდეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, 100 ქურდიდან 5 მაინც ძველ ჭკუაზე დარჩება. ამათ დანარჩენებთან მოუვათ კონფლიქტი, ერთმანეთთან არჩიონ საქმეები, რაღა ხალხს ეკონფლიქტონ?

ბაიკოს ეპიზოდში კამათი იყო იმაზე, ვინ რამდენად სამართლიანად გახდა ქურდი, ვინ რამდენად ცხოვრობს ქურდული წესებით და ა.შ. ის საკმაოდ ავტორიტეტულ ქურდად ითვლება.

ღიად ვაცხადებ - ქურდებს, ყაჩაღებსა და ბანდიტებს შორის დაპირისპირებას ყველანაირად წავახალისებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ ერთმანეთი დაჭამონ და არა ჩვენი საზოგადოება.

**- აქტიურად იყავით ჩართული აჭარის კრიზისის დაძლევაში. პირველ ეტაპზე დაძაბულობა შეჩერდა, ახლა ახალი გარემოებებია. როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება?**

- სამწუხაროდ, ეს კრიზისი პრეზიდენტისა და აბაშიძის ერთი შეხვედრით ვერ გადაწყდა და ამის დასტური აბაშიძის უკანასკნელი განცხადებებიც არის. აბაშიძემ რაღაც აურია - პრეზიდენტს აქვს უფლება მისი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმომადგენელი დანიშნოს...

**- აბაშიძეს ეს არ ეშლება...**

- ასლან აბაშიძის კომპეტენცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს ველარ სცილდება. არაფერი შეეშალოს აბაშიძეს - ეს პროვოკაციული განცხადებაა და ძალზე სამწუხაროა, თუ ეს ვინმემ ურჩია. ასლან აბაშიძეს, როგორც ავტონომიის ხელმძღვანელს, ამას არავინ ჰკითხავს, თორემ, ახალი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერი მოქალაქის უფლებაა.

რა თქმა უნდა, სიტუაცია სახარბიელო არ არის, მაგრამ კვლავ ყველაფერს გავაკეთებთ, და გავაკეთეთ კიდეც, რომ თოფი არ გავარდნილიყო. თუმცა, არც თოფის სროლა დაგვაკლეს, როცა საგუშაგოების შემოწმებაზე ვიყავით, სწორედ მე მომიწყვეს პროვოკაცია. ჩვენი ბრძანება ერთია - არ დაუშვათ სისხლისღვრა. ეს იყო ანტიკრიზისული ცენტრის და პრეზიდენტის სულისკვეთება... ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ არ ვაპირებთ, ვუყუროთ, როგორ შეეცდებიან, აჭარა საქართველოს გამოაცალონ - ეს საქართველოს დაშლის უპირობო გარანტიას ნიშნავს.

**- სწორედ ჩოლოქის საგუშაგოზე დაგხვდათ და არ შეგიშვათ ქობულეთის გამგებელმა ხალვაშმა, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. რა შეგრძნება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს, როცა ძებნილს ესაუბრება და ვერ აკავებს?**

- ძალიან რთული შეგრძნებაა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ვერც დაკავებას შევძლებდით და არც უნდა გვეცადა, რადგან სისხლი დაიღვრებოდა. ეს იქნებოდა კონფლიქტის დაწყების წინაპირობა. ჩვენ ყოველთვის უნდა განვსაზღვროთ საზოგადოებრივი საშიშროება და საჭიროება.

**- მაშინ ასე დეტალურად ფიქრობდით?**

- რა თქმა უნდა, მქონდა განცდა, რომ არასწორი საქციელი კონფლიქტამდე მიგვიყვანდა და ჩემი, როგორც მინისტრის პასუხისმგებლობა იყო და არის ის, რომ ქვეყანა სისხლიან კონფლიქტამდე არ მივიყვანოთ - ყოველთვის მექნება ეს პასუხისმგებლობა და შეგრძნება.

მიმაჩნია, რომ ამ კაბინეტში შემოსვლის მერეც არ შევცვლილვარ. იმედი მაქვს, რომ როცა ამ კაბინეტს და სავარძელს დავტოვებ, მაშინაც ასეთივე ვიქნები. ნამდვილად არ ვაპირებ აქ დაბერებას და არ ვაპირებ, რომ თუნდაც ერთი ადამიანის თვალებში შეხედვის შემრცხვეს. შეიძლება, მოკლული პოლიციელის შვილის, მეუღლის და ახლობლის თვალებში შეხედვა, დამნაშავის მიერ მოკლული ადამიანის ახლობლების თვალებში შეხედვა გამიჭირდეს... ვგულისხმობ უბრალო დამნაშავესაც და პოლიციელ დამნაშავესაც - პოლიციელებშიც არიან დამნაშავეებიც, ნარკომანებიც, ყაჩაღებიც და მკვლელებიც და ასეთებისგან პოლიცია უნდა გაიწმინდოს.

იმედი მაქვს, რომ ჩემი მოღვაწეობის გამო სირცხვილის განცდა არ მექნება, ამისი ყოველთვის მეშინია - არ შევრცხვე და სინდისის წინაშე სანანებელი არ მქონდეს.

დანარჩენი პასუხისმგებლობა კი ძალიან კარგად მაქვს გაცნობიერებული და ვეცდები, ამ პასუხისმგებლობით ვიარო.

შენება დავიწყეთ და თუ ასე გავაგრძელეთ, ყველა დამნაშავე, მსხვილკალიბრიანი მაინც - თავის ადგილს იპოვის.




## საკონცერტო დარბაზები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
მუსკულების ზღაპარი
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**ძველი სახლი**
პრემიერა
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
"ბელურები"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი.
დას: 19:00 სთ.

## გამოფენა

**კოპალა**
უცნობი გუდიაშვილი

**New Art**
"ნიუ არტისა" და კოდაკ "ფოტოსამყაროს" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა

**"ჰობი"**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გაიხსნება გამოფენა "ექიმები ხატავენ"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ჩიმაროზას "ფარული ქორწინება" აშკარა წარმატებით

თეონა ჯაფარიძე

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი სპეციფიკური მსმენელით შეივსო. ჩემთვის, არაპროფესიონალისა და არამუსიკათმცოდნისათვის კი, იტალიური ოპერა, მსუბუქი ლიბრეტოს თანხლებით, მარტივი და სასიამოვნო აღსაქმელი აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, დიდი დარბაზის სცენაზე ჩიმაროზას კომიკური ორაქტიანი ოპერა "ფარული ქორწინება" კონსერვატორიის სტუდენტებმა წარმოადგინეს.

პირდაპირ გეტყვით, რომ არაპროფესიონალი მსმენელისათვის, პირველ რიგში, თვალში საცემი იყო შემსრულებელთა პლასტიკა და არტისტულობა, აგრეთვე მოჭარბებული რეჟისურა და, რა თქმა უნდა, საინტერესო, ახალგაზრდული ხმები. დამდგმელი რეჟისორი ზაზა აღლაძე გახლავთ. მუსიკალური წრეები მას, ჯერჯერობით, ოპერის თეატრის სცენაზე "სევილიელი დალაქის" დადგმით იცნობენ. "ეს სტუდიური სპექტაკლია, სადაც გამოსახვის საშუალებები უსახსრობით გამოწვეულმა პრობლემებმა მოგვაძებნინა. მაგრამ, მაქსიმალურად შევეცადეთ, პატიოსნები დავრჩენილიყავით ჩიმაროზას მუსიკის მიმართ," – გამაფრთხილა რეჟისორმა სპექტაკლის წინ. ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლის მისეულ მხატვრულ გადაწყვეტას წმინდა სპეციფიკურ-პრაქტიკული თვალსაზრისითაც ამართლებს. ის თვლის, რომ "სპექტაკლში გამოყენებული მხატვრული ხერხი, სტუდენტურ-ლაბორატორიულ პირობებში, მომღერალ სტუდენტთა მასალათმცოდნეობის დემონსტრირების საუკეთესო საშუალებაა. მათ საშუალება ეძლევათ, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები ბგერის, ინტონაციისა და ფიზიკური ქმედების ერთიანობის მომენტში".

დომენიკო ჩიმაროზას "ფარული ქორწინება" თბილისში გუშინ პირველად გაჟღერდა. მანამდე კი 80-იან წლებში ის გორის საოპერო სცენაზე კონსერვატორიის პროფესორს ბატონ რევაზ ტაკიძეს დაუდგამს. "მისი დადგმა, პირველ რიგში, იმიტომ გადავწყვიტე, რომ თავდაპირველად მუსიკა მომეწონა. ეს მუსიკა კი გარკვეულ ვოკალურ და სცენურ მომზადებას საჭიროებს. ჯერ შემსრულებლები შევარჩიე საოპერო სტუდიიდან - საოპერო მომზადების კათედრიდან მაგისტრები, ბაკალავრები და მეოთხე კურსელები. სწავლების პროცესი ერთი წელი გაგრძელდა, მერე სარეპეტიციოში გადავინაცვლეთ, ბოლოს კი - სარეპეტიციოდან სცენაზე," – აღწერს ოპერაზე მუშაობის პროცესს ზაზა აღლაძე.



*ნინო დოლენჯიშვილი, მადი სერებრიაკოვა და ზაზა ხელაია*

პირველი აქტის შემდეგ ბატონ ნოდარ ანდღულაძეს გავესაუბრე. "საოპერო სტუდიის ორკესტრმა და მისმა დირიჟორმა შავლეგ შილაკაძემ, ვფიქრობ, სწორი გეზი აირჩიეს მუსიკის შესრულების თვალსაზრისით. ზაზა აღლაძის რეჟისურისათვის კი ეს სპექტაკლი გარკვეული ეტაპია. სპექტაკლი ცოცხალი გამოვიდა - ისმინება და სანახაობრივიცაა. ოპერის მომავალი მომღერლები კი - ორი სოპრანო და ერთი მეცოსოპრანო – ნატალია ბოგდანოვა, მადი სერებრიაკოვა და ნინო დოლენჯიშვილი, ტენორი – თემურ ფარულავა, ბარიტონი – კობა სარდალაშვილი და სპექტაკლში დაკავებული ოპერის თეატრის ერთადერთი მომღერალი – ზაზა ხელაია (ბანი), მოჭარბებული პლასტიკისა და არტისტიზმის მიუხედავად, ოსტატურად ინარჩუნებენ რიტმსა და ინტონაციას," – ასე შეაფასა ძალები მაესტრომ.

"ბედნიერები ვიქნებით, თუ ჩვენი ნამუშევარი არ დაარღვევს დომენიკო ჩიმაროზას ელვარე მუსიკის გრძნობათა ბუნებას," – ასე მიმართავდა სპექტაკლის რეჟისორი საპრემიერო პროგრამის ფურცლებიდან მსმენელს. პრემიერაზე მისულმა მსმენელმა კი, დარწმუნებული ვარ, გულში სიტყვა "ელვარეს" "ტემპერამენტიანიც" დაამატა - რეჟისურის, ორკესტრის, დირიჟორისა და, რა თქმა უნდა, მომღერალთა წყალობით.

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 25 მარტს 17 საათზე** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება", სტუმარი ლაშა ბუღაძე, თემა: "ლაშა ბუღაძე დრამატურგიის შესახებ".

**პარასკევს, 26 მარტს 17 საათზე** პაატა ამონაშვილის წიგნის "სხივთა კონა" პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ლექსზე. ლექსის აგებულება უნდა შეესაბამებოდეს 1998 წლის კონკურსში გამარჯვებულ ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მუსიკის პროექტს.

კონკურსზე დაიშვება როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ასევე კომპილაცია კლასიკური მემკვიდრეობიდან.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნის აგებულებიდან გამომდინარე, ლექსი უნდა იყოს:

1. ორსტროფიანი:
- სტროფში სტრიქონების რაოდენობა – 4
- სტრიქონში მარცვლების რაოდენობა – 8

2. მეორე სტროფის პირველი სიტყვა – "თავისუფლება"

ლექსი უნდა გამოხატავდეს საქართველოს ხალხის პატრიოტიზმს, მის სწრაფვას ერთობისა და თავისუფლებისაკენ.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. გადაბეჭდილი ლექსი – ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარზე აღნიშნული უნდა იყოს დევიზი, ავტორის მონაცემების გარეშე.
2. დახურული კონვერტი, იმავე დევიზით. კონვერტში მითითებული უნდა იყოს: ავტორის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი.

საკონკურსო ნამუშევრები მიიღება კონკურსის გამოცხადებისთანავე. ნაწარმოების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 5 აპრილი.

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. N 37, III სართ., საერთო განყოფილება.

# იუბილარი მსახიობი

### დღეს გიზო სიხარულიძე 75 წლის გახდა

დიმიტრი როგავა



75 წელი ის ასაკია, როდესაც შეიძლება განვლილი გზის ერთგვარი შეჯამება მოახდინო, ფასეული წინ წამოწიო და, თან ამ ეკლიან გზაზე, რაც ყოველი შემოქმედი ადამიანის ცხოვრებას ახლავს, არ გამოტოვო არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც შეიძლება მისი სიდიადითა და განსაკუთრებულობით ვერ დაიკვეხნის, თუმცა მსახიობის შემოქმედებითი ტრამპლინებისათვის აუცილებელ დასაძლევ სიმაღლეებად იქცევა ხოლმე.

სულ თავიდან გიზო სიხარულიძისათვის თეატრით აღფრთოვანების პროცესი სკოლის პერიოდში დაიწყო; მაშინდელ პიონერთა სასახლის საკმაოდ პოპულარულ დრამატულ წრეს ისტორიაში გიზო სიხარულიძე – ყმაწვილის მოკრძალებული "შემოქმედებაც" აქვს ჩაწერილი. შემდეგ იყო თეატრალური ინსტიტუტი, სადაც მრავალი საინტერესო და ნიჭიერი პედაგოგის ხელში გაიარა მისი დაოსტატების წლებმა. პირველი როლი – ჟადოვი "შემოსავლიან ადგილში" დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ სტუდენტებში და მაყურებელში. პედაგოგი და რეჟისორი ლილი იოსელიანი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს იმ ჯგუფს, სადაც ბატონი გიზო სწავლობდა. იმ ჯგუფიდან ბევრი სახელოვანი მსახიობი დადგა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული თეატრის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე. "გიზო ჩემთვის გამორჩეულად ნიჭიერი და საინტერესო არტისტია. "პროვინციული ამბავი" ზეიმი იყო მისი შესაძლებლობების კონცენტრაციისა, მაგალითი იყო პატარა როლით უდიდესი აქტიორული სიმაღლის დაძლევისა და, თუ გნებავთ, პიესისა და რეჟისორის მთავარი სათქმელის ტვირთის ზიდვისა" პირველივე როლში განისაზღვრა მისი აქტიორული ბუნებისათვის ყველაზე ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანი ნიუანსები: სცენური სიმართლე, უბრალოება, ლირიზმი, რომანტიზმი...

გიზო სიხარულიძემ მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში დაიწყო, შემდეგ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოსინჯა ძალები და უკვე გარკვეული გამოცდილებით ჩაირიცხა მარჯანიშვილელთა დასში. შემდეგ რუსთავის თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად იქცა; ბოლოს კი კვლავ მარჯანიშვილის თეატრში დამკვიდრდა და აქ მოღვაწეობს დღესაც.

არტური "კრაზანადან", პაპა გაბო "შავთვალა გოგონადან", გია "ჩემი ყვავილეთიდან", ყრუ "დამოკლეს მახვილიდან", აგიტატორი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან", ინკვიზიტორი "ჟანა დ'არკიდან", როსტომ ბრძენი "კახაბერის ხმალიდან", ფოსტალიონი "მე ვხედავ მზედან", გლოსტერი "მეფე ლირიდან", მესაფლავე "ჰამლეტიდან", ისიდორე "თეთრი ბაირაღებიდან", ზოსიმე "გმირთა ვარამიდან", ერმილი "ანა კარენინადან", სტუმარი "პროვინციული ამბავიდან", ნენი "გვირილადან", მოხუცი პატრიციუსი "კალიგულადან", ლილეი "ლილეიდან", ბექირბი ჩაჩბა "ჰაკი აძბადან", იორამი "მარადისობის კანონიდან", ლევან ქამუშაძე "ქამუშაძის გაჭირვებიდან", მიშა "საპოვნელადან", მეცნიერი "შიშიდან", ბონდო "სახლის ანგელოზებიდან"... ეს არის ბატონი გიზოს ინდივილუალობითა და ნიჭიერებით ქართულ სცენაზე შესრულებული როლების არასრული სია.

გიზო სიხარულიძე გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი; დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიითაც.

## მსახიობებმა შიმშილობა შეწყვიტეს

ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის დასის ხუთმა წევრმა შიმშილობა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც იქ კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი მივიდა.

დასის წევრები თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად გიორგი ვასაძის დანიშვნას აპროტესტებდნენ. მინიტრმა მსახიობებს განუცხადა, თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნა მინისტრის პრეროგატივაა; მინისტრი კი ამ უფლებას დასთან შეთანხმების შემდეგ გამოიყენებს.

ამჟამად სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე განიხილება რამდენიმე კანდიდატურა, რომელთაც სამინისტროს სათანადო პროექტი უნდა წარუდგინონ.

მუსიკალურ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით უთანხმოება ამ თანამდებობიდან ცნობილი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის წასვლის შემდეგ დაიწყო. *მედია-ნიუსი*

## თეატრი მკვდარ მსახიობებს ეძებს

ბრიტანეთის ერთ-ერთმა ექსპერიმენტულმა თეატრმა თავისებური კასტინგი გამოაცხადა. თეატრი მსურველებს კასტინგის ორიგინალურ პირობას უყენებს – სპექტაკლის დროს კასტინგში გამარჯვებული მსახიობი აუცილებლად მკვდარი უნდა იყოს. პიესის მიხედვით, რომელიც ლონდონის აღმოსავლეთში მდებარე ექსპერიმენტულმა თეატრმა უნდა ითამაშოს, სცენაზე ნამდვილი გვამები დასჭირდებათ. თეატრალური დასი იმედოვნებს, რომ წარმატებით მოილაპარაკებს რომელიმე სიკვდილის პირას მყოფ ავადმყოფთან, რომელიც თანახმა იქნება, რომ სპექტაკლის განმავლობაში მისი გვამი სცენაზე იდოს.

## პირისპირ ფარაონთან

კვირას ეგვიპტეში საზოგადოებას წარუდგინეს რამზეს VI-ის სარკოფაგი, რომელიც 250 ცალკეულ ფრაგმენტს აერთიანებს. სარკოფაგის აღდგენაზე ათი ამერიკელი, კანადელი და ეგვიპტელი ექსპერტი მუშაობდა. აქამდე დამთვალიერებლები მხოლოდ სარკოფაგის გატეხილ ნაწილებს ნახულობდნენ, ახლა კი შესაძლებელი გახდა იმ ფარაონის სახის ნახვაც, რომელიც ეგვიპტეს 3 100 წლის წინათ მართავდა.

# 1920-იანი წლები ლონდონში

### ლენინი, ელექტროუთო და კოკაინი

ნანა ბასილაშვილი

"1920-იანი წლები: ლონდონის ცვლილებების ათწლეული" – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ლონდონის მუზეუმში გაიხსნა.

ცათამბჯენი, მოლაპარაკე სურათები (კინემატოგრაფი), ღამის კლუბები, ჯაზი, შუქნიშნები – ყველა ეს რეალია თავის გამოჩენას 1920-იან წლებს უნდა უმადლოდეს. სწორედ ეს კაშკაშა, მშფოთვარე ათწლეული გახდა ლონდონისთვის XX საუკუნის ნამდვილი დასაწყისი", - ამბობს გამოფენის კურატორი, პროფესორი კეტი როსი.

ამ ეპოქაში ამერიკიდან ლონდონში შედის ჯაზის ექსცენტრიკა და მომხმარებლური კულტი, რუსეთიდან – ბალეტი და ბოლშევიზმი; ინდოეთი და ირლანდია ბრიტანულ იმპერიას მისი ახლებურად აღქმით უპირისპირდებიან.

როგორ იმოქმედა თანამედროვე ლონდონზე ამ მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა?

1921 და 1931 წლებში ლონდონის მოსახლეობა 7-დან 8 მილიონამდე გაიზარდა. ეს იყო დასავლეთ მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქი, რომელიც რიცხობრივად ნიუ იორკის მოსახლეობას დაეწია.

დადგა საფუძვლიანი ცვლილებების დრო: ქალებმა მიაღწიეს თანასწორუფლებიანობას, მოიპოვეს გაყრის ინიციატორობისა და ხმის მიცემის უფლება. მათ შეეძლოთ, დაუფლებოდნენ პროფესიებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ მამაკაცების კომპეტენციაში შედიოდა.

თანასწორუფლებიანობას სექსუალური ემანსიპაციაც მოჰყვა, რომელმაც მოდაც შეცვალა. ამ დროიდან ქალის სხეულის მომხიბლავი დეტალები აღარ იფარებოდა და პირველად მრავალი საუკუნის მანძილზე "დაინტერესებულ თვალს" ქალის მუხლის დანახვაც შეეძლო.


*პირველი ფენი*



*ფილმ "მეტროპოლისის" პლაკატი*

გამოფენაზე წარმოდგენილია ფილმ "მეტროპოლისის" აფიშა, რომელიც 1926 წელს რეჟისორმა ფრიცემ ლანგომ ლონდონში გადაიღო. ეს ფუტურისტული უტოპიაა, რომლის მთავარი გმირი – ფოლადის რობოტი მარია განასახიერებს ფემინიზმს და 1920 წლის ახალი ქალის სახეს. იგი თავისუფალია, ძლიერი, მკაცრი ხასიათის; მასში აბსოლუტურად აღმოფხვრილია ტრადიციული, ქალური ნიშნები.

1920-იან წლებში ლონდონმა მასობრივი მექანიზაციის და ავტომატიზაციის პერიოდი გაიარა. გაჩნდა ისეთი ტექნოლოგიური სიახლეები, როგორიცაა ელექტრო ჩაიდანი, უთო და თმის საშრობი ფენი, რამაც საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნიუ იორკის ფირმის "ჰოლიუელის" პირველი ელქტროფენი შუასაუკუნეების ინკვიზიციის იარაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავის გასალამაზებელ საშუალებას, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა 1920-იანი წლების ლონდონის სოჰოს სალონებში.

ამავე პერიოდში ქუჩებში გაჩნდა ავტომატური ტელეფონები; ადამიანებმა თავისუფალ დროს რადიომიმღების სმენა დაიწყეს, გზებზე კი სულ უფრო მეტი ავტომობილი გაჩნდა.

თუმცა, გაცილებით რადიკალური ცვლილება განიცადა თავად ლონდონელების ცხოვრების სტილმა, რომელიც სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ამერიკულს. ატლანტიკის გადაღმიდან შემოვიდა ახალი მუსიკა, ახლებური მანერები, ახალი ცეკვები და გამოთქმები.

ლონდონში დიდი მაღაზიების გახსნას თან ახლდა მასობრივი მოხმარების საგნების გარდაუვალი კულტი, რომელიც, რა თქმა უნდა, რეკლამას ეფუძნებოდა. ცნობილი პლაკატი Guinness is Good for You (გინესი სასარგებლოა) დღემდე საერთაშორისო პოპულარობით სარგებლობს და ისევ ამშვენებს ლუდის ბარებს.

რეკლამის გავლენის შედეგი იყო ე.წ. "უესტ-ენდის ბუმი." ახალი მაღაზიები, მაგალითად, "სელფრიჯი" და სატრანსპორტო აჟიოტაჟი მას მოდურ რაიონად აქცევდა და მისკენ უამრავ ადამიანს იზიდავდა.

ახალი სადგური "პიკადილი", რომელიც 1928 წელს აშენდა, გათავალისწინებული იყო წელიწადში 50 მილიონ მგზავრზე. ეს იყო ტრიუმფი: "არათუ საუკეთესო მეტროს სადგური ლონდონში, არამედ – მთელს მსოფლიოში, რომელიც ნიუ იორკის ნებისმიერ სადგურს გაუწევდა კონკურენციას".

1920 წლიდან გახსნილი ღამის ჯაზის კლუბები ქალაქს მძაფრ შეგრძნებებს ჰმატებდა. ათწლეულის ბოლოს ლონდონში 50 კლუბი არსებობდა – ჯაზის, საცეკვაო და კაბარეები. სოჰოსა და ჩერინგ-კროს როუდის გასართობ დაწესებულებებში კი კოკაინის ანდერგრაუნდის ატმოსფერო სუფევდა.

# პეტერბურგი ზაჰა ჰადიდის მოლოდინში

ნინო ჭანიშვილი

ზაჰა ჰადიდი - პირველი ქალი და თანაც პირველი ერაყელია, რომელიც პრესტიჟული არქიტექტურული ჯილდოს პრიტცკერის ლაურეატი გახდა. 53 წლის ერაყელ ქალბატონს, ამჟამად ბრიტანეთის მოქალაქეს, მომავალი ათწლეულის ყველაზე პერსპექტიულ არქიტექტორად მიიჩნევენ.

## პრიტცკერის ისტორია

პრიტცკერის პრემია ყოველ წელს, 1979 წლიდან გაიცემა. იმის გამო, რომ ნობელის პრემია არქიტექტურაში არ გაიცემა, პრიტცკერების ოჯახმა, ცნობილმა საქველმოქმედო საქმიანობით, გადაწყვიტა არქიტექტორული პრემიის დაარსება. "ჩემი მშობლები ფიქრობდნენ, რომ პრემიის დაარსება სამშენებლო საქმიანობისადმი მეტ ინტერესს გამოიწვევდა და სტიმული იქნებოდა არქიტექტურული შემოქმედებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ოჯახი კარგად იცნობდა არქიტექტურას. ისინი ჩიკაგოში, ცათამბჯენების სამშობლოში გაიზარდნენ. ამ ქალაქში არქიტექტურული საოცრებები ლუის სალივანმა, ფრანკ ლოიდ რაიტმა და მის ვან დე როემ შექმნეს" – ამბობს ტომას პრიტცკერი. პრიტცკერების ოჯახი ფლობს სასტუმრო Hyatt-ის ქსელს მთელს მსოფლიოში.

100 ათასი დოლარის გარდა გამარჯვებულ არქიტექტორს გადაეცემა ბრინჯაოს მედალი, გაფორმებული ლუის სალივანის ორნამენტებით. წელს პრიტცკერის პრემიაზე 500 კანდიდატი იყო წარდგენილი 47 ქვეყნიდან.

საერთაშორისო ჟიური ყოველ წელს იცვლება. ჟიურიში მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორები, არქიტექტურის კრიტიკოსები და ბიზნესმენები შედიან. წლევანდელი ჟიურის თავმჯდომარე ლორდი როტშილდია. ჟიურის ერთ-ერთი წევრი კი ცნობილი ამერიკელი არქიტექტორი ფრენკ გერი.


ცინცინატის ხელოვნების მუზეუმი

ზაჰა ჰადიდის დაჯილდოების ცერემონიალი 31 მაისს, პეტერბურგში გაიმართება. "არქიტექტორული ნობელი" ყოველ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ტარდება. სხვადასხვა წლებში პრიტცკერის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა ვაშინგტონის ნაციონალურ გალერეაში, მეტროპოლიტენ მუზეუმში, ვერსალის სასახლეში, თეთრ სახლში, კაპიტოლიუმის მოედანზე რომში. ასე რომ ცერემონიალი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს. მას თან ახლავს ხოლმე გამოფენა, რომელიც პრიტცკერის ყველა ლაურეატის შემოქმედებას ასახავს. ეს მოძრავი გამოფენა, ფაქტობრივად, თანამედროვე არქიტექტურის ანთოლოგიად იქცა.

ცერემოანიალს თან ახლავს ხოლმე არა მარტო არქიტექტორთა, არამედ სახელმწიფო მოღვაწეთა გრძელი გამოსვლები. შესაძლოა, წელს მისასალმებელი სიტყვით პუტინი გამოვიდეს. 1998 წელს რენცო პიანოს თეთრ სახლში ბილ კლინტონი მიესალმა; შარშან კი დანიელ არქიტექტორს, სიდნეის ოპერის ავტორს იორნ ატცონს, გამარჯვება ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა მიულოცა.

## ზაჰა ჰადიდი

1950 წელს ბაღდადში, მდიდარ, არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. სწავლობდა უმაღლეს მათემატიკას ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში. 1977 წელს დაამთავრა ლონდონის არქიტექტორული ასოციაცია, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული და ინოვაციური არქიტექტორული სკოლა. 1979 წელს გახსნა საკუთარი ოფისი ლონდონში. თავად ასწავლიდა იელის, კოლუმბიის, ჰარვარდის, ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. თავის საუკეთესო პროექტად თვლის სახანძრო სადგურს "ვიტრა" სამხრეთ გერმანიაში. ნაგებობა გაშეშებულ ქორეოგრაფიას წააგავს, რომელიც მზად არის ნებისმიერ წუთს ამოძრავდეს.

## მომავლის არქიტექტურა

მისი არქიტექტურა უცხოპლანეტელთა ობიექტებს წააგავს. ზაჰა ჰადიდის ობიექტები ყოველთვის არაჩვეულებრივად ერწყმის ლანდშაფტს – გარემომცველი ბუნების დაბოლოებად აღიქმება. საერთოდ, გარემოსთან შეხამება თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის უმთავრესი ამოცანაა (კარგი იქნებოდა, ქართველ არქიტექტორებსაც გაეთვალისწინებინათ ეს დეტალი). ზაჰა ჰადიდის ობიექტები არასდროს არის სტატიკური. მის ნაგებობებში ყველაფერი ცოცხალი ორგანიზმივით მოძრაობს, არქიტექტორული დეტალები და ხაზები კი უსასრულობაში იკარგება; ზაჰა ჰადიდის პროექტები უცნაური, აღმოსავლური იეროგლიფებია, ახალი ტექნოლოგიებით გაცოცხლებული.

არქიტექტურის გარდა, ზაჰა ჰადიდი ცნობილია საგამოფენო დიზაინით. მისი ყველაზე ცნობილი გამოფენაა "დიდი უტოპია" ნიუ იორკის გუგენჰაიმის მუზეუმში. ეს იყო რუსული ავანგარდის ყველაზე მასშტაბური ექსპოზიცია. ზაჰა ჰადიდმა სადიპლომო ნამუშევარიც "მალევიჩის ტექტონიკა" რუსულ ავანგარდს მიუძღვნა. "ეს ბედნიერი დამთხვევაა, რომ დაჯილდოების ცერემონიალი პეტერბურგში ჩატარდება – ქალაქში, სადაც მალევიჩი ცხოვრობდა და მუშაობდა," – ამბობს ლორდი როტშილდი, ჟიურის თავმჯდომარე და ერმიტაჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ამჟამად ზაჰა ჰადი მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ რამდენიმე პროექტზე ერთდროულად მუშაობს: ხელოვნების ცენტრი რომში; მეცნიერების მუზეუმი ვოლფსბურგში; კინოთეატრი ბარსელონაში; ხიდი აბუ დაბიში; საცხოვრებელი რაიონი სინგაპურში; ხელოვნების მუზეუმი ოკლაჰომაში; BMW-ს ცენტრი ლაიფციგში. ზაჰა ჰადიდის მიწვევას პატარა და ნაკლებად ცნობილი ქალაქები ცდილობენ, რადგან რადიკალური არქიტექტურა ტურისტების მიზიდვის კარგი საშუალებაა. ფრენკ გერის გუგენჰაიმის სანახავად ხომ ბილბაოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ჩადის.

# ცხოვრების კვალდაკვალ

რობერტ ლებეკი 75 წლის გახდა, როცა რუსებმა ტანკებით აიღეს ლიოკნიცის ეკლესია, 15 წლის რობერტ ლებეკი მიხვდა, რომ მეორე მსოფლიო ომი წაგებული იყო. მან თავისი ძველი, ბელგიური ავტომატი გადააგდო და დასავლეთისკენ აიღო გეზი. გზად მას ცხენოსანთა ქარავნები ხვდებოდა, ჯარისკაცები, რომლებსაც დაფლეთილი ტანსაცმლიდან დაწყლულებული სხეული მოუჩანდათ. მას შეხვდნენ ნაცისტი დეზერტირები, რომელთაგან მრავალი 1945 წლის აპრილში დახვრიტეს. მაშინ, როცა ბერლინისკენ ფეხით მიდიოდა, ის მიხვდა, რომ "უარესი ველარაფერი მოხდება; რომ საკუთარი თავის გადარჩენის გარდა, არაფერი არსებობს, და ასეთ დროს არანაირი წესი არ მოქმედებს. თუ რამე დაწესებულია, ამასაც გვერდი უნდა აუარო, და ეს თანაბრად ეხება მეომარსაც და ფოტოგრაფსაც". შემდგომ, როცა რეპორტიორი გახდა, ის ომში არასოდეს წასულა: "მე ყოველთვის სიცოცხლეს მივსდევდი კვალდაკვალ, და არა - სიკვდილს".

სიცოცხლის კვალდაკვალ მიმავალ ლებეკს საოცარი უნარი ჰქონდა, მომხიბვლელი ღიმილით და უწყინარი გამომეტყველებით შეეღწია იქ, სადაც ვერც ერთი რეპორტიორი ვერ ახერხებდა შეღწევას, მრავალი გალავნის მიღმა, სადაც მდიდარი და ძლევამოსილი ხალხი იმალებოდა. ორიოდე წლის წინათ, როცა გერჰარდ შრიოდერი კოსოვოში იმყოფებოდა, უკვე სამოცდაათს გადაცილებულმა ლებეკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი შეუცვლელობა. ჟურნალისტებს კანცლერის შვეულმფრენში ასვლის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ლებეკმა გულზე მთავრობის სპიკერის საშვი დაიბნია, ღიმილით ჩაუარა ყველა მცველს და შრიოდერის გვერდით სავარძელში მოკალათდა. "უბრალოდ, სხვა თვალით ვეცადე გამოსავლის ძებნას, - თქვა ლებეკმა, - ეს ყოველთვის ამართლებს".

ომის შემდეგ რობერტ ლებეკი ამერიკის შეერთებული შტატების ფოლკლორს სწავლობდა. მისი ცხოვრება ერთმა თემამ შეცვალა: "ინცესტის მაგალითები ესკიმოსებთან". მან უცებ აღმოაჩინა, რომ ამ თემაზე მუშაობისას სულ ბიბლიოთეკაში უწევდა ყურყუტი და მიხვდა, "რა სისულელე იყო წიგნებიდან რამის სწავლა. მე გარეთ გასვლა მომინდა".

ფოტოკამერა "რეტინა", რომელიც მეუღლემ 23 წლის რობერტს დაბადების დღეზე აჩუქა, ახალი ცხოვრების საგზური აღმოჩნდა. მისი პირველი დაბეჭდილი ფოტოსურათი – ადენაუერის ვიზიტი ბადენ ბადენში – ცუდი ბიზნესი იყო: სურათის გაკეთება 50 მარკა დაჯდა, ჰონორარი კი მხოლოდ 18 მარკა იყო. ეს შეცდომა ლებეკს არასოდეს გაუმეორებია. ის გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფოტოგრაფი გახდა.


რობერტ კენედის ცხედართან. 1968


აიათოლა ჰომეინის თავსაბურავი წაგლიჯეს. 1979

დღეს, როცა ახალგაზრდა კოლეგები რამე კარგი რჩევის მიცემას სთხოვენ, ლებეკი ამბობს ხოლმე: "არასოდეს დაყაბულდე, როცა პრესისთვის განკუთვნილ ავტობუსში დაგიპირებენ ჩასმას. იქ ყველაფერს ასცდები". ლებეკი ყოველთვის თავის გზას ადგა, მასავით ელეგანტურად და უკონფლიქტოდ ყველა აკრძალვის იგნორირება არავის შეეძლო. როცა ტიროლური ქუდით შემკული გორბაჩოვი ნოიშვანშტაინის სასახლეში მიიკვლევდა გზას, ერთადერთი ფოტოგრაფი იქ ლებეკი იყო. 1968 წელს ნიუ იორკში ღამის ორ საათზე მან, ყველა დარაჯის გვერდის ავლით, წმინდა პატრიკის საკათედრო ტაძარში შეაღწია, სადაც შავებში ჩაცმული ჟაკლინ კენედი და ლი რედვილი მოკლული რობერტ კენედის ცხედართან ლოცულობდნენ. რობერტ ლებეკი სვეტის უკან მიიმალა და თხუთმეტი კადრი გააკეთა – მგლოვიარეთა ფოტოსურათი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

რობერტმა თავსაბურავის გარეშე მყოფი აიათოლა ჰომეინის სურათი გადაიღო. მან დაიჭირა კადრი, როცა ლეოპოლდვილში ვიზიტით ჩასულ ბელგიის მეფეს კონგოელმა საპატიო მახვილი მოსტაცა. მას თავისი საქმე არც ბერლინში ჯეინ მენსფილდთან ერთად ცეკვისას დავიწყებია. რობერტ ლებეკი რომ არა, "შტერნი" ევროპის უდიდესი და საუკეთესო ილუსტრირებული გამოცემა ვერ გახდებოდა.

როგორც მოგახსენეთ, აკრძალვები და დახურული კარები ლებეკს არ ეხება, მაგრამ თავხედი კი არასოდეს ყოფილა: "აქ ერთი რამ ჭრის: უნდა იძახოთ "დიახ" და "ამინ", და ზუსტად საპირისპიროდ მოიქცეთ". ძნელი წარმოსადგენიც კია, რომ ეს კაცი, რომელიც, თითქოს, ზანტად ირჯება, ელვის სისწრაფით ახერხებს რეაგირებას და სათანადო კადრის დაჭერას. კოლეგები ჰყვებიან, გზაში სრულიად აუტანელი და ზარმაცია, ზოგჯერ ეჭვიც კი გვეპარება, - კამერა სახლში ხომ არ დარჩაო. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ის მოულოდნელ სისწრაფეს იჩენს და მიზანმიმართულად, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე იღებს: "სიკეთეს კარგ ფოტოსურათებთან არაფერი აქვს საერთო".

რობერტ ლებეკის დიდი თაყვანისმცემელი, "შტერნის" დამფუძნებელი ჰენრი ნანენი ამბობდა: "ფოტოგრაფია თავისი ბუნებით მტაცებლური რამაა. ის თავისი მსხვერპლის ყველაზე დაფარულ, ყველაზე სათუთ მხარეს, მის იდენტურობას ესხმის თავს". ლებეკი ამის დიდოსტატი იყო. მის მიერ გადაღებული სევდიანი რომი შნაიდერის პორტრეტები დღესაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ, რადგან მას ადამიანის სულში წვდომის უდიდესი ნიჭი აქვს. ამ პორტრეტების ნახვის შემდეგ ნანენმა თქვა: "ის თავის "მსხვერპლს" ადამიანურად უახლოვდება. მისი არსიყვარული შეუძლებელია".

მაგრამ, ფოტორეპორტიორის ოქროს ხანა, როცა ის უძვირფასეს სასტუმროებში ცხოვრობდა, მთელ მსოფლიოში პირველი კლასის თვითმფრინავებით დაფრინავდა და ფოტოსურათებს ჟურნალის 20 გვერდზე ზედიზედ ბეჭდავდა, უკვე წარსულს ჩაბარდა. ლებეკი ამას გულდაწყვეტილი არ ამბობს, ის სავსებით კმაყოფილია. მართალია, მისი თქმით, ახლა რომ იწყებდეს, ფოტოკამერას ტელეკამერას ამჯობინებდა, რადგან მოძრავი სურათები დაბეჭდილზე უფრო ძლიერია. თუმცა, ეგ არაფერია: "მე ამოწყვეტის პირას მყოფ სახეობას განვეკუთვნები. მერე, რა?"

სვეტი

# კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

ვისაც სირცხვილში სიცოცხლე ულირს,
მას ეძახიან უბრალოდ ულირსს,
გმირი კი ტილებმისეულია,
რადგან საბრალო ღირსეულია.

■ ■ ■

დღეს აგრესია
უმაგრესია.

■ ■ ■

ლიდერები ახალი,
იდეები ძველი,
საქმე თავში სახალი,
შესრულება ძნელი.

■ ■ ■

რომ არსებობდეს სამყარო
წესრიგი უნდა ამყარო
მაგრამ როგორც თქვა დაოსმა
წესრიგი შექმნა ქაოსმა.

■ ■ ■

რამე არის განა რთული,
თუ ტვინი გაქვს გადართული.

■ ■ ■

მკურნალობის პროცესში რომ ჩაერთო
ანალიზი გაიკეთე საერთო.

■ ■ ■

მე ვერ გავიგე ბუში შარია,
თუ ის უბრალოდ უშიშარია.

■ ■ ■

ერთადერთი სიძნელე,
ჩვენში არის სიბნელე
რომ გამოჩნდეს სიმართლე,
საჭიროა სინათლე. ...

■ ■ ■

არც იმედით ვარ ცხონების
არც რაღა მაქვს დასამალი
ვერ გავიგე ამ ცხოვრების
მე ასავალ დასავალი
ძუძუც მახსოვს ქართლის დედის
მისი მკერდის მძიმე ცინკი
დედა რა ვთქვა ჩემი ბედის
ვარდს ვთესავ და ეკლებს ვიმკი.

■ ■ ■

გაღმა გამიყვანს მეც რომ დინება
უკვე სიმართლეც მეცოდინება.

■ ■ ■

გავეჩინე ღმერთს რომ ღრუბლად
ხომ ვიფრენდი თავისუფლად.

■ ■ ■

აზრით ბოლო მონაცემის
ღირსი არის მონა ცემის.

■ ■ ■

ბავშვებს თუ არ ხედნი
ხდებიან თავხედნი.

■ ■ ■

სწრაფად გახლავთ დრო მავალი
რადგან სივრცეს ასე აწყობს
და მისია მომავალი
ვინც აშენებს მუდამ აწმყოს.

■ ■ ■

ჩართე რადიო თავისუფლება
სიამოვნება დაგეუფლება.

■ ■ ■

რომ ააგდებს მასას გმირი
სულ არ არის გასაკვირი,
თან ჩასძახებს ყურში რასაც
იმას დაიჯერებს მასაც.

■ ■ ■

ბრეჟნევის დროს გეგმა
გადაწარბებით სრულდებოდა.

■ ■ ■

ამინდები დადგა თბილი
ანუ მოდის გაზაფხული
სურნელია ირგვლივ ტკბილი
რომლისგანაც მიცემს გული
კვირტიც ხიდან ამოზრდილი
ზამთრისაა დასასრული
თოვლიც დნება იწვევს ტალახს
მალე მწვანეს ვნახავთ ბალახს.

■ ■ ■.

შეუყვარდა Money რაკი
იმიტოა მანიაკი.

■ ■ ■

ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე
რედიარდ კიპლინგი

■ ■ ■

სად დასავლეთი და სად აღმოსავლეთი
ნუ ფიქრობთ არიან ერთი
სანამ ცა არსებობს ან მიწა ასეთი
რომლებსაც დასცქერის ღმერთი
მაგრამ მწამს ორივეს დაინდობს განგება
სხვაობაც ეშმაკმა იცის
თუ ორი ვაჟკაცი პირისპირ დადგება
საზღვარზე ცისა და მიწის.

■ ■ ■

თანხლებით ამალის შეიჭრა ქამალი
ნაწილში დამცველთა საზღვრის
და ცხენი პოლკოვნიკს მოპარა ფრთამალი
იცოდა ნადავლი რაც ღირს
მან ცხენი პოლკოვნიკს მოპარა თავლიდან
საზღვარზე დღისა და ღამის
თვალსა და ხელს შუა ჩიტივით გაფრინდა
უთქმელად ვინმესთვის რამის.

■ ■ ■

ამის დანახვისას შვილმა პოლკოვნიკის
მიმართა მესაზღვრეს მრავალს
ნუთუ ჩემ ხალხიდან ვერვინ მაპოვნინებს
ცხენის ქურდ ქამალის სამალს.
მოჰამედ ხანმა კი შვილმა რისალდარის
მას ჰკადრა უდებლად ფიცის
ის ვინც ნისლს მიხვდება დილისას სად არის
მან მისი გზა-კვალიც იცის.

# „პორტოს„ ნახევარი საავადმყოფოში წევს

### მაურინიოს გუნდს დიდი პრობლემები აქვს



*მოურინიოს ლაზარეთი გაიზარდა*

აკა ტონია

*ჩემპიონთა ლიგას რვა გუნდიღა შემორჩა. აქედან გამომდინარე, მატჩების რაოდენობამაც იკლო. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა. დღეს და ხვალ ორ-ორ მატჩს ვიხილავთ და, იმედია, ეს მატჩები ხარისხიანი იქნება...*

**მილანი – დეპორტივო**

ჩემპიონთა ლიგის მოქმედ ჩემპიონს დიდი გამოცდა ელის. "მილანი", რომელიც წლევანდელ ტურნირში ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გავიდა მეოთხედფინალში, მეტისმეტად უხერხულ და არაპროგნოზირებად მეტოქეს დაუპირისპირდა. ესპანური "დეპორტივო" არასტაბილური გუნდია. შეიძლება ის 0:3-ს აგებდეს და ბოლოს 4:3 გაიმარჯვოს (გაიხსენეთ "პარი სენ ჟერმენთან" მატჩი). მან შეიძლება დიდი გაჭირვებით გადალახოს ჯგუფური ეტაპი, შემდეგ კი "იუვენტუსი" გამოთიშოს ტურნირს. დიახ, მერვედფინალურ მატჩებში "დეპორტივომ" მარჩელო ლიპის "იუვენტუსს" სძლია, თანაც, ისე, რომ ორივე შეხვედრა მოუგო (1:0, 1:0).

"მილანს" უაღრესად მძიმე ორი მატჩი ელის. თანაც, "დეპორტივოს" ის უპირატესობაც აქვს, რომ მეორე შეხვედრას საკუთარ "რიაზორის" სტადიონზე გამართავს. იტალიელებს სერიოზული პრობლემები აქვთ. "პარმას" წინააღმდეგ სერია A-ს უკანასკნელ მატჩში ზურგის ტრავმა მიიღო მილანელთა ბრაზილიელმა მეკარე დიდამ. მართალია, რენტგენის სურათების მიხედვით 30 წლის მეკარის ტრავმა არც ისე საშიშია, მაგრამ ექიმები მაინც ფიქრობენ, რომ დღეს დიდა ვერ შეძლებს თამაშს. თუ ეს პროგნოზი გამართლდა, "მილანის" კარს კრისტიან აბიატი დაიცავს. გარდა იმისა, რომ დიდას თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თითქმის უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ტრავმის გამო "დეპორტივოს" წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს ალესანდრო ნესტა.

"დეპორტივოს" კი დღევანდელ მატჩში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დააკლდება. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს ნახევარმცველი ვიქტორ სანჩესი. დანარჩენი მოთამაშეები კი დასვენებულები და კარგი ფსიქოლოგიური განწყობით გავლენ სტადიონზე. ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "დეპორტივომ" 1:0 მოუგო "მურსიას", თანაც, ამ შეხვედრაში ხავიერ ირურეტამ თავისი წამყვანი ფეხბურთელები, ნურედინ ნაიბეთი, მაური სილვა, ვალტერ პანდიანი, ენრიკე რომერო და ხუან-კარლოს ვალერონი დაასვენა.

**პორტო – ლიონი**

"ლიონის" მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ამ წყვილის ფავორიტად, ალბათ, მაინც "პორტო" უნდა ჩავთვალოთ. UEFA-ს თასის ახლანდელმა მფლობელმა ხომ თვით "მანჩესტერ იუნაიტედი" გამოთიშა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ტურნირს. ასეთი სახელოვანი მეტოქის დამარცხების შემდეგ, პორტუგალიელთა შეჩერება ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება.

თუმცა, ჟოზე მაურინიოს გუნდს მეტისმეტად ბევრი პრობლემა დაატყდა თავს. უკანასკნელ მატჩებში "პორტოს" ჟორჟე კოშტას, პედრო მენდესის, მარკო ფერეირას და დერლეის გარეშე უწევდა თამაში. ახლა კი ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიას კიდევ ერთი მოთამაშე, მცველი რიკარდო კოშტა დაემატა. კოშტას გასულ კვირას მარჯვენა ხელი ეტკინა და დღევანდელ მატჩში მისი თამაში ექიმებმა კატეგორიულად გამორიცხეს. ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად, "პორტოს" დანარჩენი ფეხბურთელები კარგად დასვენებულები ხვდებიან დღევანდელ მატჩს. "პორტოსა" და "ნასიონალის" მატჩი, რომელიც წინა კვირას უნდა გამართულიყო, აპრილისთვის გადაიდო. ამიტომ მაურინიოს ბიჭებს დასვენება მოუწევთ.

ტრავმების პრობლემა "ლიონსაც" აქვს, თუმცა, ფრანგული კლუბის ფეხბურთელთა უმრავლესობა უკვე გამოჯანმრთელდა. დაშავებული იყო სიდნეი გოუ. "ნანტის" წინააღმდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში გოუ დაასვენეს. თუმცა, დღეს ის უკვე შეძლებს მოედანზე გამოსვლას. "ნანტის" წინააღმდეგ არც მეკარე გრეგორი კუპეს უთამაშია, მაგრამ, სიდნეი გოუს მსგავსად, დღევანდელ მატჩში ისიც გამოვა. შემადგენლობას დაუბრუნდა ერიკ კარიეც, მაგრამ კლაუდიო კასაპა, ალბათ, მაინც ვერ შეძლებს თამაშს.

თავიდან ვთქვით, რომ ამ წყვილის ლიდერი "პორტოა", თუმცა, არც ის დაივიწყოთ, რომ "ლიონი" უკანასკნელ რვა მატჩში არ დამარცხებულა, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრებში.

ფეხბურთი

# ჟირესი გადარბენაზე

მიხეილ აბაიშვილი

დავით ყიფიანის თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩების შემდეგ ინტრიგა მხოლოდ ერთ წყვილს დააკლდა. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ლიდერმა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის მთავარმა პრეტენდენტმა, "ქობულეთმა" საკუთარ მოედანზე ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია საქართველოს ექსჩემპიონს, ქუთაისის "ტორპედოს". ქუთაისელებმა, რომლებიც პირობითად უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან (ეს მათ ნამდვილად არ გაუჭირდებათ, რადგან მეორე ექვსეულის გამოკვეთილი ფავორიტები არიან), მასპინძლებს 5 უპასუხო გოლი გაუტანეს. განმეორებით მატჩს, რომელიც ორი კვირის შემდეგ ქუთაისში უნდა გაიმართოს, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

წესით, ოთხივე მატჩი ერთდროულად, 15 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ალენ ჟირესის თხოვნით, მატჩი თბილისისა და ბათუმის "დინამოებს" შორის 17 საათზე დაიწყო. საქართველოს პროფესიული ლიგის ამ დათმობის წყალობით ჟირესი ჯერ "სპარტაკი" – "ვიტ ჯორჯიას", ხოლო შემდეგ "დინამო" – "ბათუმის" შეხვედრას დაესწრო.

თუმცა, რომ ვთქვა, ნანახით აღტაცებული დარჩა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ჯერ ერთი, "ოლიმპიკის" სტადიონის გაზონს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, საფეხბურთო მინდვრის გარდა, რის გამოც როგორც "სპარტაკის", ისე "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს ძალიან გაუჭირდათ. იმის გამო, რომ მინდორი უსწორმასწოროა, ასხლეტის შემდეგ ბურთი წინასწარ ამოუცნობი ტრაექტორიით, რაგბის ბურთის პრინციპით იცვლიდა მიმართულებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ახალი სეზონი სულ რაღაც ერთი კვირის წინ დაიწყო და გუნდები ოპტიმალური სპორტული ფორმისგან ძალზე შორს არიან (თუმცა, ჩვენი გუნდები არც ოპტიმალური ფორმის დროს უქმნიან ღმერთს მაინცდამაინც(-მ.ა.)), გასაგები გახდება, რა შედეგების პროცესის ხილვა მოუხდა ფრანგ მწვრთნელს. ასეა თუ ისე, ამ მატჩში ფავორიტი დამარცხდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "დინამოს" მთავარმა კონკურენტმა, "ვიტ ჯორჯიამ" 31-ე წუთზე მასპინძელთა კონტრშეტევა "გაატარა" და მუშკუდიანმა ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა. ტაიმის დარჩენილი 15 წუთისა და მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ვეტერინარები ბევრს ეცადნენ, მაგრამ "სპარტაკის" დაცვას და მეკარეს ფარ-ხმალი ვერ დააყრევინეს.



*შეტევაზეა გიორგი ანჩაბაძე*

"დინამო" – "ბათუმის" თამაშზე ჟირესმა ათი წუთით დაიგვიანა, თუმცა, ბევრი არაფერი დაუკარგავს. თამაში დუნედ დაიწყო და მთელი პირველი ტაიმი ბურთის უნიათო გორაობაში გავიდა. პირველი რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს. თბილისის "დინამოს" დაცვამ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა ვერ შექმნა და დარჩიძე ზოიძესთან პირისპირ დარჩა. ბათუმელთათვის სამწუხაროდ, მათმა თავდამსხმელმა ეროვნული ნაკრების ექსმეკარის მოტყუება ვერ შეძლო. ამის საპასუხოდ, საქართველოს ჩემპიონს ორჯერ მიეცა გოლის გატანის არცთუ ურიგო შესაძლებლობა, მაგრამ ბურთმა კარამდე ვერ მიაღწია: ერთხელ მცველი გადაეღობა, ხოლო მეორედ წერეთელმა დაარტყა უზუსტოდ.

ეროვნულ სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი მაყურებელი 70 წუთს ელოდა გოლს. 71-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა ბრაზილიელმა რომერომ გრძელი პასით ფლანგურ გარღვევაზე გაიყვანა კვირკველია, რომლის ჩაწოდების შემდეგ გოგობერიშვილმა შეუჩერებლად დაარტყა და ლამაზი გოლი გაიტანა.

თითქოს მატჩი ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე სტუმართა მეკარე გამოსვლისას შეცდა, ბურთი უხეიროდ მოიგერია და გოგობერიშვილმა მეორე გოლი გაიტანა, რითაც თითქმის გადაწყვიტა წყვილში გამარჯვებულის ბედი.

გორში "დილასა" და "თბილისის" მატჩში ამ გუნდების შეხვედრებში უკვე ტრადიციად ქცეული ანგარიში - 0:0 დაფიქსირდა.

განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები 6 აპრილს გაიმართება.

# გაუგებარი აურზაური რომში

### ვის აწყობდა დერბის შეწყვეტა?

ნინო პირველი

2004 წლის 21 მარტი. რომის ოლიმპიური სტადიონი. 154-ე რომაული დერბის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ სიტუაცია უკვე დაძაბულია. როგორც ყოველთვის, "რომას" და "ლაციოს" ტიფოზები არც ამჯერად აკლებენ ერთმანეთს ლანძღვა-გინებას და მუჯლუგუნებს. ჩვეული სურათია, არაფერი განსაკუთრებული. ყვირილი, მუქარა, ლანძღვა, მუშტები... ასეთ სცენებს უკვე ყველა შეჩვეულია. არც ერთი გუნდის ხელმძღვანელობა ცუდს არაფერს მოელის, არც სტადიონის ადმინისტრაცია ღელავს მაინცდამაინც - ეს ხომ დერბია...

ფანები ტრიბუნაზე ადგილს იკავებენ და მატჩი იწყება. ჩვეულებრივი დერბია - დაძაბული, ინტრიგით სავსე, საინტერესო. პირველი ტაიმის მიწურულს ჯერ "ლაციოს" ნახევარმცველის, სტეფანო ფიორეს მიერ დარტყმული ბურთი ძელს ხვდება და "რომას" ფანები გადარჩენისთვის ღმერთს მადლობას სწირავენ, შემდეგ კი ფრანჩესკო ტოტი აკეთებს იგივეს და ახლა უკვე "ლაციოს" ტიფოზებს უწევთ ნერვიულობა. ტაიმი უგოლოდ მთავრდება და გუნდები გასახდელისკენ მიდიან. ტრიბუნებზე სიმშვიდეა. ტიფოზები განსაკუთრებულ აგრესიას ნამდვილად არ იჩენენ ერთმანეთის მიმართ. ვინ წარმოიდგენდა, რომ სულ მალე ამ სტადიონზე საშინელი არეულობა მოხდებოდა...

მეორე ტაიმის 28-ე წუთზე ტიფოზებს შორის ჩოჩქოლი ატყდა. "ლაციოს" სამხრეთ ტრიბუნიდან უცნაური შეძახილები გაისმა: "მკვლელებო, მკვლელებო!" ფეხბურთელები გაოგნდნენ. რა ხდება? მალე სტადიონი პანიკამ მოიცვა. არავინ იცის, საიდან გაჩნდა ეს ჭორი - გარეთ პოლიციის მანქანამ ბავშვს გადაუარაო. განრისხებულმა ტიფოზებმა სტადიონზე მაშხალებისა და სხვა საგნების სროლა დაიწყეს. თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. "შეაჩერეთ თამაში!" - კატეგორიულად მოითხოვდნენ "რომას" ფანები. "ლაციოს" გულშემატკივრები ნაკლებად რადიკალურნი იყვნენ. ამასობაში რამდენიმე ფანი მოედანზეც შევიდა, კაცმა არ იცის, როგორ მოახერხეს, პოლიცია ხომ ადგილზე იყო. ტიფოზები ტოტის და კასანოს შემოეხვივნენ და მტკიცება დაიწყეს, პოლიციელებმა ბავშვი მართლაც მოკლესო. "ორივე გუნდის კაპიტნები - სინიშა მიხაილოვიჩი და ფრანჩესკო ტოტი ამაოდ ცდილობდნენ მაყურებლის დამშვიდებას. "დაწყნარდით, სტადიონის გარეთ არაფერი მომხდარა. დამშვიდდით!" - ხმამაღლა ყვიროდა ორივე, მაგრამ გაცოფებულ ტიფოზებს ვერაფერი გააგებინეს. არ გაჭრა არც რომის კვესტურას (პოლიციის სამმართველო) შეფის, ნიკოლა კავალიერეს მტკიცებამ, ვიღაცები დეზინფორმაციას ავრცელებენო. გადარეული ტიფოზების დამშვიდება შეუძლებელი აღმოჩნდა.



*ტოტის გულშემატკივარმა თამაშის შეწყვეტა სთხოვა*

შეხვედრის არბიტრი რობერტო როზეტი საშინლად დაიბნა. აღარ იცოდა, რა ექნა. ვიღაცამ მობილური ტელეფონი მიაწოდა და მანაც გამწარებულმა აკრიფა ნომერი. ცოტა ხანს ისაუბრა, ხაზის მეორე ბოლოში მყოფ იდუმალ პიროვნებასთან "რომას" თავკაცი ფაბიო კაპელოც ალაპარაკა, მერე შვებით ამოისუნთქა, მოედნის ცენტრში დადგა, ორივე ხელი გაშალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაუსტვინა. მატჩი შეწყდა. როგორც შემდეგ გაირკვა, როზეტი "ლა ლიგას" პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის ესაუბრა და მისგან მიიღო შეხვედრის შეწყვეტის უფლება. "ასეთი გადაწყვეტილება მე მივიღე. სხვა გზა არ იყო - ფეხბურთელებს არ უნდოდათ თამაშის გაგრძელება, ტიფოზები კი იმუქრებოდნენ, რომ თუ მატჩი არ შეწყდებოდა, საშინელებას დაატრიალებდნენ. აუცილებელი იყო სიტუაციის განმუხტვა", - განუცხადა გალიანიმ მასმედიას.

მატჩი კი შეწყდა, მაგრამ სტადიონზე და მის გარეთ არეულობა ამით არ დასრულებულა. ტიფოზები ახლა უკვე ერთმანეთს შეეტაკნენ და პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალა ისინი. "წადით ყველანი, სახლებში წადით!" - გაჰყვიროდნენ წესრიგის დამცველები, მაგრამ ვინ უსმენდა...

მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ტრაგედია არ დატრიალდა. კვესტურა აუცილებლად დაიწყებს ამ საქმის გამოძიებას და დაისჯება ყველა, ვინც ეს საშინელი არეულობა გამოიწვია. შესვენებაზე ორივე გუნდის ფანებმა რაღაც მოილაპარაკეს.

"რომას" სამხრეთ ტრიბუნაზე ტიფოზები საეჭვოდ შეგროვდნენ. ჩემი აზრით, ტიფოზებმა სპეციალურად გაავრცელეს ასეთი ჭორი, რათა მატჩი ჩაეშალათ, - განაცხადა რომის პრეფექტმა აკილე სერამ. "ლაციოს" პრეზიდენტმა უგო ლონგომ მსაჯისა და გალიანის გადაწყვეტილებას გაუგებარი უწოდა: "ვერავინ გაიგო, რის საფუძველზე შეაჩერა მატჩი არბიტრმა. ტიფოზები მშვიდად ისხდნენ და არაფერს აშავებდნენ. ხომ უნდა არსებობდეს რაიმე მიზეზი მატჩის შეწყვეტისთვის?" - გაოცებით იკითხა ლონგომ. "რომას" ხელმძღვანელობა კი, პირიქით, ამართლებს თამაშის შეჩერებას: "არბიტრი სწორად მოიქცა. ორივე მხარე თვლიდა, რომ ასეთ პირობებში თამაში შეუძლებელი იყო. ხმა გავრცელდა, ვიღაც მოკლესო და ფეხბურთელებმაც მიზანშეწონილად ჩათვალეს მატჩის შეწყვეტა. მართალია, ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა - არავის არავინ მოუკლავს, მაგრამ ტიფოზებმა ეს ჭორი სიმართლედ მიიღეს და საშინლად აღშფოთდნენ. ძალიან ძნელია, ხალხს უცებ აუხსნა, რომ არაფერი მომხდარა. მატჩის შეწყვეტა აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებ, მართლაც, მომკვდარიყო ვინმე", - თქვა "რომას" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ.

მოკლედ, "სტადიო ოლიმპიკოზე" დიდი აურზაური ატყდა სრულიად არაფრის გამო და საყოველთაო მოთხოვნის საფუძველზე მატჩი შეწყდა. ბავშვი არავის მოუკლავს, ეს უკვე ცხადია. გაურკვეველი მხოლოდ ის არის, ვინ გაავრცელა ეს ჭორი და რატომ. ვის რაში სჭირდებოდა იმ მატჩის ჩაშლა, რომლის პირველი ტაიმიც ნულოვანი ყაიმით დასრულდა. გასულ ოთხშაბათს, როცა იტალიის თასის ფინალის პირველ მატჩში "ლაციო" ტურინის "იუვენტუსს" ხვდებოდა, რომაელმა ტიფოზებმა ისე დაასისხლიანეს "იუვეს" ერთ-ერთი ფანი, რომ ინციდენტი კინაღამ, მართლაც, მკვლელობით დასრულდა. მაშინ არავის აუტეხავს განგაში, არც მატჩის შეწყვეტა მოუთხოვია ვინმეს, ახლა კი... რისთვის ჩაიშალა რომაული დერბი? ჯერჯერობით, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. დაველოდოთ რომის კვესტურას გამოძიების შედეგებს.

ბილიარდი

# ბილიარდის გაზაფხული "იმპერიალში" გრძელდება



თემურ სახიტაშვილის ფოტო

*პოღოსიანს ფსიქოლოგიური ბალანსი არ დარღვევია*

დალი კუპრავა

გუშინ საბილიარდო "იმპერიალში" დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ამერიკულ ბილიარდში, ცხრიან პულში. ტურნირი პარალელურად, მამაკაცთა და ქალთა შორის ტარდება. მონაწილეობს ფედერაციის წევრი 26 მობილიარდე მამაკაცი და ქალთა ლიგის წევრი 20 მობილიარდე. ტურნირს ატარებს ბილიარდის ფედერაცია და ბილიარდის ქალთა ლიგა. სიახლე უკვე აღარ არის, რომ მამაკაცთა ტურნირს ქალები მსაჯობენ და ქალთა ტურნირს - მამაკაცები. გუშინდელი შეხვედრებიდან არტურ პოგოსიანის დრამატულ თამაშს გამოვარჩევ. რვიან პულში საქართველოს ჩემპიონთან, მერაბ ჩიტაურთან თამაშში ანგარიში 3:0, პოგოსიანმა 6:6 გაათანაბრა, მაგრამ საბოლოოდ ჩიტაურმა მოიგო - როგორც ექსპერტებმა თქვეს, ძალიან რთული ცხრიანი ბურთულა ჩააგდო. ამ წაგების შემდეგ არტურ პოგოსიანმა ლადო ასათიანს მოუგო 7:4. ასათიანის თამაშის მაღალი კლასი კი მობილიარდეებს მოეხსენებათ!

ტურნირი გრძელდება. ინფორმაციას ყოველდღიური თამაშების განსაკუთრებით საინტერესო მომენტებზე მოგაწვდით, ვიდრე საქართველოს ჩემპიონი ქალი და მამაკაცი ცნობილი არ გახდება.

ფეხბურთი

# ვის შეარჩევს აბრამოვიჩი?

რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი აგრძელებს ინგლისის საფეხბურთო სამყაროს გაოცებას. "ჩელსის" მფლობელი თავისი გუნდისთვის სასურველ მწვრთნელს ეძებს, ისეთს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, "არისტოკრატებს" ინგლისში უმაღლეს მწვერვალზე აიყვანს და ქვეყნის ჩემპიონატს მოაგებინებს. უკვე დიდი ხანია, რაც ვრცელდება ხმები, რომ ჩუკოტკის გუბერნატორი თავის გუნდში მწვრთნელის შეცვლას აპირებს და აი, როგორც ჩანს, ეს ხმები რეალობას უახლოვდება. ინგლისურმა ტაბლოიდმა, გაზეთმა "სანმა", დაასახელა იმ ხუთი მწვრთნელის ვინაობა, რომელთაც თითქოს აბრამოვიჩმა დაადგა თვალი.

ამრიგად, "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხუთი სპეციალისტი აცხადებს პრეტენზიას. პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი, რომელიც ამჟამად ინგლისის ნაკრებს უდგას სათავეში. თუმცა, რანიერის ადგილის სხვა პრეტენდენტებიც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებიან. "სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ო`ნილი, "არსენალის" თავკაცი არსენ ვენგერი, "ბაიერნის" წინამძღოლი ოტმარ ჰიტცფელდი და "მილანის" დამრიგებელი კარლო ანჩელოტი ის ფიგურები არიან, ვინც, "სანის" თქმით, რომან აბრამოვიჩის მხედველობის არეალში მოხვდა. ახლა კი ყველა კანდიდატი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

აბრამოვიჩის სურვილები, რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ყოველთვის სრულდება. "ჩელსისთვის" საბედნიეროდ, რომან აბრამოვიჩს საკმაოდ მძიმე ქისა აქვს იმისთვის, რომ კლუბისთვის აუცილებელი ფეხბურთელები გადაიბიროს. მაგრამ საკითხავი ის არის, მოისურვებს თუ არა "სანის" მიერ დასახელებული კვინტეტიდან რომელიმე "არისტოკრატების" გაწვრთნას? მაგალითად, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი უკვე დიდი ხანია, რაც ემიჯნება "ჩელსის" და აცხადებს, რომ მას თავისებურ ინგლისელთა ეროვნული ნაკრებიც სრულიად აკმაყოფილებს. ამიტომ ერიქსონის "ჩელსიში" გადაბარგება ნაკლებად სავარაუდოა. მით უფრო, რომ თავის პოსტზე შვედის პოზიციები საკმარისად მყარია და მას პრემიერლიგის კლუბთა ხელმძღვანელებიც ანგარიშს უწევენ.



აბრამოვიჩი მწვრთნელს ეძებს

მიუნხენის "ბაიერნის" წინამძღოლმა ოტმარ ჰიტცფელდმაც ამას წინათ ოფიციალურად განაცხადა, რომ "ჩელსისთან" არავითარი ურთიერთობა არა აქვს და არც სურს ჰქონდეს. მიუნხენურ კლუბთან მის კონტრაქტს 2005 წელს გასდის ყავლი და ჰიტცფელდიც მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს სხვა კლუბში გადასვლას.

ვენგერის "ჩელსიში" გადასვლა ხომ საერთოდ შეუძლებელია. არარეალურია, რომ არსენმა დატოვოს "მეთოფეები", გუნდი, რომლის თამაშიც მან სრულყოფილებამდე მიიყვანა.

კარლო ანჩელოტი? ესეც სასაცილოა.

ამრიგად, დარჩა მხოლოდ მარტინ ო`ნილი, მაგრამ ამ სპეციალისტის "სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

რა დარჩენია ამ სიტუაციაში "ჩელსის" ამჟამინდელ მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის? მან, თავის მხრივ, "სანდი თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ გაურკვეველ მდგომარეობაშია და უკვე შეეგუა მუდმივ ლაპარაკს იმაზე, რომ მას თანამდებობას დაატოვებინებენ. "ჯერ კიდევ ივლისში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩემს ადგილზე სვენ-გორან ერიქსონი აცხადებს პრეტენზიას. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. როგორც ხედავთ, მე ადგილზე ვარ. ერთადერთი, რაც ახლა მართლა მაღელვებს, "არსენალთან" მატჩისთვის მზადებაა", - განაცხადა რანიერიმ.

პრინციპში, რანიერის შეუძლია, მართლაც, მშვიდად იყოს. როგორც მისმა აგენტმა ჯონ სმიტმა განაცხადა, იტალიელი უმუშევრად დიდხანს არ დარჩება. ყველაზე უფრო სავარაუდო ნავსაყუდელი რანიერისთვის, ალბათ, მეორე ლონდონური კლუბი "ტოტენჰემ ჰოთსპური" იქნება, რომელიც უკვე ექვსი თვეა, მთავარი მწვრთნელის გარეშე თამაშობს.

## საქართველოს ჩემპიონი

### დავით ბუხრაძე

კარატე



რუბრიკას უძღვება
ზვიად გიორგაძე

| | |
|---|---|
| დაბადების თარიღი: | 1982 წლის 6 ოქტომბერი |
| სიმაღლე: | 180 სმ |
| წონა: | 67 კგ. |
| ოჯახური მდგომარეობა: | უცოლო |
| ტიტულები: | საქართველოს ჩემპიონი: 1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003 წლებში. 1998, 2001 წლებში თურქეთის საერთაშორისო ტურნირი, პირველი ადგილი. 2002 წელს ირანის საერთაშორისო ტურნირი, მეორე ადგილი. 2003 წელს გერმანიის საერთაშორისო ტურნირი, მესამე ადგილი. 1999 წელს ევროპის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი, მეოთხე ადგილი. 1998 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი, მეხუთე ადგილი. 2003 წელს დსთ-ს ტურნირი, მესამე ადგილი. |
| პირველი მწვრთნელი: | დავით დევდარიანი |
| პირველი გამარჯვება: | 1997 წელს საქართველოს ჩემპიონატი, პირველი ადგილი |
| ყველაზე დიდი მიღწევა: | 1999 წელს ევროპის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი, მეოთხე ადგილი |
| ბავშვობის ოცნება: | ფეხბურთელობა |
| ყველაზე დიდი იმედგაცრუება: | 2002 წელს, ევროპის ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე, ფეხი მომტყდა |
| უხერხული მოწინააღმდეგე: | ნიამადინ პაშაევი |
| საყვარელი ილეთი: | – |
| თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ: | უყურადღებობის გამო ძალიან დიდ კრიზისშია |
| რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ: | მაღიზიანებს უყურადღებობა, მახარებს მიღწევები |
| კურიოზი: | - |
| ჰობი: | ტაეკვანდო, ფეხბურთი |
| საყვარელი მსახიობი: | რობერტ დე ნირო, ალ პაჩინო |
| საყვარელი ფილმი: | "ხელოვნური ინტელექტი" |
| საყვარელი მწერალი: | შოთა რუსთაველი |
| საყვარელი წიგნი: | "დათა თუთაშხია" |
| საყვარელი მუსიკოსი: | დან ლავინ კრიმინალსი |
| რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას: | ქართულს, ლიბიურს |
| საყვარელი კერძი: | სოკო, აფხაზურა, კუპატი |
| საყვარელი სასმელი: | კონიაკი, ვაშლის წვენი |
| ვისთან ერთად იქეიფებდით: | ელდარ კურტანიძესთან, გიორგი ასანიძესთან და კახა კალაძესთან ერთად |
| სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა: | საბერძნეთში |
| რომელ კურორტზე დაისვენებდით: | იბიცაზე |
| რას მოისმენდით საკუთარ თავზე: | ისეთ რამეს, რაც მე არ ვიცი |
| მიზანი: | ოლიმპიადაზე მონაწილეობა |
| დევიზი: | "ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი" |

ჩოგბურთი

# თვითდამკვიდრება

ქართველმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ ინდიანა-უელსის მასტერსის სერიის ტურნირის შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში არნახული ნაბიჯი გადადგა წინ – 90-ედან 35-ე საფეხურამდე დაწინაურდა. საინტერესოა, რომ ლაბაძე, თავისთვის მოულოდნელადაც კი, ტურნირის საუკეთესო ოთხეულში მოხვდა და ურთულესი პროცესი, რასაც თვითდამკვიდრება ჰქვია, დაასრულა.

სიხარულისგან მეცხრე ცაზე დავფრინავო, - ამბობდა ლაბაძე, რომელსაც უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის შემდეგ ასე კარგად აღარ უთამაშია. მაშინ ირაკლი ფინალში გავიდა და იქ მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ როჟე ფედერერს დაუთმო გამარჯვება.

დიდი შანსი იყო, ინდიანა-უელსში ისტორია განმეორებულიყო, მაგრამ ამჯერად ისტორიის რუბიკონთან ტიმ ჰენმანი დადგა. ქართველმა ჩოგბურთელმა ბრიტანელი ჰენმანის ნახევარფინალური ბარიერი ვერ დაძლია. 6:3, 6:2 ინგლისელის სასარგებლოდ და ჰენმანი ფინალურ მატჩში როჟე ფედერერს დაუპირისპირდა, რომელმაც, თავის მხრივ, ამერიკელთა კერპი, ანდრე აგასი დაითხოვა ტურნირიდან - 4:6, 6:3, 6:4 შვეიცარიელის სასარგებლოდ.

პრინციპში, ინდიანა-უელსში მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მოელოდნენ. ტურნირი, თავისი სტატუსის შესაბამისად, მსოფლიოს პირველმა ჩოგნებმა, როჟე ფედერერმა და ჟიუსტინ ენინ-არდენმა მოიგეს. ბელგიელმა ენინ-არდენმა ფინალში ლინდსი დევენპორტი დაამარცხა - 6:1, 6:4. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ბრძოლა არ გამოვიდა. ენინ-არდენი დღეს ყველა დანარჩენ ჩოგბურთელზე მთელი თავით მაღლა დგას.

ვაჟთა თანრიგში ტურნირის დასახელების შესაბამისად - Pacific Life Open - ყველაფერი, მართლაც, Pacific (მშვიდად) წარიმართა. ტიმ ჰენმანმა ტურნირის ფავორიტს, როჟე ფედერერს ერთი გეიმით მეტი წაართვა, ვიდრე ლინდსი დევენპორტმა - ჟიუსტინ ენინ-არდენს. შვეიცარიელმა ინგლისელს - 6:3, 6:3 მოუგო. საინტერესოა, რომ ამ მატჩამდე ჰენმანსა და ფედერერს შორის პირადი შეხვედრების ანგარიში - 6:1 იყო ინგლისელის სასარგებლოდ.

ჰენმანზე ერთადერთი გამარჯვება შვეიცარიელმა ორი წლის წინათ იზეიმა და ისიც ჰენმანის წყალობით, რომელმაც ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. "ჰენმანთან თამაში არასდროს გამომდიოდა, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ, რომ ნავსი გავტეხე და ტიმთან ეს წარუმატებელი მატჩების სერია შევწყვიტე", - განაცხადა ფედერერმა ფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც 40-გრადუსიან სიცხეში მიმდინარეობდა.





ინდიანა-უელსის ტურნირის გამარჯვებულები: როჟე ფედერერი და ჟიუსტინ ენინ-არდენი

| ვაჟები: | | საჩემპიონო რბოლა: | | ქალები: | |
|---|---|---|---|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 5635 | როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 372 | ჟიუსტინ ენინი (ბელგია) | 7626.00 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 4425 | მარატ საფინი (რუსეთი) | 151 | კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6389.00 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 4335 | ანდრე აგასი (აშშ) | 150 | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3237.00 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 3290 | ენდი როდიკი (აშშ) | 142 | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3000.00 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 2995 | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 136 | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2950.00 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 2350 | კარლოს მოია (ესპანეთი) | 135 | სერენა უილიამსი (აშშ) | 2584.00 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 2275 | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 130 | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2583.00 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2015 | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 127 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2251.00 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1960 | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 122 | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2158.00 |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) | 1655 | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 91 | აი სუგიამა (იაპონია) | 2057.00 |

საერთოდ, შარშან ნოემბრიდან მოყოლებული, როცა ფედერერმა მასტერსის ფინალი მოიგო, მან შური იძია ანდრე აგასიზე, დავიდ ნალბანდიანზე, ენდი როდიკსა და ლეიტონ ჰიუიტზე - ანუ იმ მეტოქეებზე, რომლებიც წარსულში დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. "ახლა უკვე ვიცი, როგორ ვეთამაშო ამ ბიჭებს, - ამბობს როჟე ფედერერი, - ახლა უკვე არ ვფიქრობ, რომ მსოფლიოში ბევრია ისეთი ჩოგბურთელი, რომელსაც ჩემთან თანაბრად თამაში შეუძლია. ეს კი ჩემთვის აუცილებელია, რომ ხანგრძლივი სეზონის წინ საკუთარ თავში რწმენა ვიგრძნო".

რაც შეეხებათ ქალებს. ფინალში, როგორც ვთქვით, ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა მოუგო ლინდსი დევენპორტს. ამ მატჩში ნამდვილი დრამა ბოლოსკენ გათამაშდა. მეორე სეტში, 5:4-ზე ენინის სასარგებლოდ, დევენპორტი 40:0-ს იგებდა, მაგრამ ბელგიელმა ზედიზედ ხუთი მოწოდება აიღო და გეიმთან ერთად მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. "სწორედ ასეთი მატჩების გამო მიყვარს ჩოგბურთი. აქ ინტრიგაც იყო და ბოლოს დრამაც. საერთოდ, ვგრძნობ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განვიცადე. მაგალითად, დევენპორტთან შეხვედრისას მუდმივად ვგრძნობდი, რომ მასზე უკეთ ვთამაშობ", - ფინალური მატჩის შემდეგ განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

TV-სპორტი

### სამშაბათი. 23 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "HOUSTON ROCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" – "ნორილსკი ნიკელი"
16:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ურალანი" – ცესკა. პირდაპირი ტრანსლაცია. საპასუხო მატჩი
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: შაკილ ო`ნილი. პირველი ნაწილი
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "NEW ORLEANS HORNETS" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 16:40, 19:50, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
11:40 "ორშაბათამდე მივატანთ"
12:05 ავტოსპორტი. "ყველა ვარსკვლავის" რბოლა
14:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
15:10 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
16:55 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში. ბელგია
19:20 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
20:05 ფიგურული სრიალი - "Stars on Ice"
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფრისტაილი. ევროპის თასი სანკტ-პეტერბურგში. ქალები. ვაჟები. ინდივიდუალური მოგული
23:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
01:00 ახალი ამბები
01:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
14:00 მულტისპორტი
14:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
20:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
01:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. შეჯიბრება აშშ-ში
03:45 ინდიკარის ავტორბოლები. სერიები
04:00 ფეხბურთი. ევრო-2004. ჩემპიონთა თაობა

ჭადრაკი

# კასპაროვმა დედამიწის კიდეზე მოიგო

ისლანდიის მთავარ ქალაქში დასრულდა ტურნირი სწრაფ ჭადრაკში - "რეიკიავიკ-რეპიდი". შეჯიბრებამ თავი მოუყარა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს - გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს. კარპოვმა შოკი იგემა, როცა ტურნირის მეოთხედფინალში დამარცხდა. კასპაროვი კი ჩემპიონი გახდა.

რეიკიავიკის ტურნირი, პირველ რიგში, იმით იყო საინტერესო, რომ მასში მონაწილეობა მიიღო 13 წლის ნორვეგიელმა ოსტატმა მაგნუს კარლსენმა, რომელსაც მსოფლიო ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. კერძოდ, ნორვეგიელ ვუნდერკინდს დიდ მომავალს თვით გარი კასპაროვი უწინასწარმეტყველებს. თუმცა, ამას კასპაროვისთვის ხელი არ შეუშლია, ახალგაზრდა ნორვეგიელი მერვედფინალში დაემარცხებინა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს - აცხადებდნენ მაგნუს კარლსენის ბანაკში.



კასპაროვმა რეიკიავიკის ტურნირი მოიგო.

სხვათა შორის, კასპაროვმა და კარპოვმა, როგორც ტურნირის უმთავრესმა ფავორიტებმა, თავისი უფლებით ისარგებლეს და გათამაშება მერვედფინალიდან დაიწყეს. რეიტინგის მიხედვით უძლიერესმა გარი კასპაროვმა კარლსენთან თამაში შავი ფიგურებით დაიწყო და წაგებას ძლივს გადაურჩა. მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შემდეგ მოახერხა კასპაროვმა ამ შეხვედრაში ყაიმის მიღწევა. თუმცა, მეორე პარტიაში უფრო გამოცდილ, მსოფლიოს პირველ მოჭადრაკეს, პრობლემები აღარ შეჰქმნია.

კარპოვს კი, რომელმაც გადაწყვიტა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას მიუძღვნას თავი, პირიქით, გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნა. ჰანეს სტეფანსონთან შეხვედრაში რუსმა დიდოსტატმა მხოლოდ "ბლიცში" (პარტია შეზღუდული დროით) მიაღწია უპირატესობას. კასპაროვმა პირველი ბარიერი გადალახა. მეოთხედფინალში მან ვერ მოახერხა ალექსეი დრეევის დამარცხება. დრეევმა პირველივე პარტიაში სძლია ოდესღაც მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეს. მეორე პარტიაში კი უაღრესად მშვიდად და პრაგმატულად ითამაშა ფრედ. სხვათა შორის, ამ ამბავში საოცარი არაფერია. ფიდეს რეიტინგში ეს მოჭადრაკეები ერთმანეთის მეზობლად არიან - დრეევი - მე-20, კარპოვი - 21-ე. რაც შეეხება კასპაროვს, მან მეოთხედფინალში ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ წააწყდა ჰოლანდიელი იან ტიმანის წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ თამაში მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 1,5:0,5.

ნახევარფინალურ სტადიაში ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა იოლად დაძლია დრეევის ბარიერი - 1,5:0,5. გარი კასპაროვს კი დანიელმა ნილსენმა გაუჯანჯლა ფინალში გასვლის საქმე. ორივე პარტია ყაიმით დასრულდა და მხოლოდ "ბლიცში" დაძლია კასპაროვმა გამარჯვების მადაზე მოსული დანიელის წინააღმდეგობა. თუმცა, გამარჯვება კასპაროვმა 20 სვლის შემდეგ მოიპოვა. დანიელი მოჭადრაკე, უბრალოდ, გამოიფიტა.

ფინალის პირველი პარტია გარი კასპაროვსა და ნაიჯელ შორტს შორის უაღრესად დრამატული და საინტერესო გამოდგა.

სპეციალისტთა შეფასებით, შორტმა გარისკა, როცა სიცილიური დაცვის მწვავე ვარიანტში შეტევა განახორციელა. თუმცა, ბოლოს ტემპს ვერ გაუძლო და დამარცხდა. მეორე პარტიაში კი შორტს გამარჯვების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია, რადგან კასპაროვი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. ყველაფერი, რაც ინგლისელმა დიდოსტატმა მოახერხა, ის იყო, რომ პარტია ყაიმით დაასრულა.



ნესტან ნიჟარაძე იუსტინა მიელნიკიევიჩი

რეპორტაჟები (ფოტო)კომენტარებით

# გახმაურებული ამბის გაუხმაურებელი დეტალები











A1 გვერდიდან

ის ნაწილი, რომელმაც არც აჭარა დატოვა და არც საზღვართან დადგა - იმას, რომ ქალაქების ელექტროენერგიით მომარაგება აღდგებოდა და ისინი ბოლო-ბოლო გაიგებდენ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები; საზღვართან შეკრებილი ჟურნალისტები კი, რა თქმა უნდა - იმას, რომ მოვლენები საინტერესოდ განვითარდებოდა; ცენტრალური ხელისუფლება რეგიონის დათმობებზე წასვლას, რეგიონული ხელისუფლება - ცენტრის დათმობებს. ორივენი ერთად და ცალ-ცალკე კი გავლენის სფეროების სამართლიანად გადანაწილებას; ისევე, როგორც ომებისა და რევოლუციების პირდაპირ ეთერში თვალყურის დევნებას მიჩვეული პერმანენტულად შეშფოთებული მაყურებელი ელოდა ახალი ამბების სპეცგამოშვებებს, პირდაპირ ჩართვებს, ექსკლუზიურ ინტერვიუებს და სკანდალურ დეტალებს... და ასე უსასრულოდ - იმ დღეების მანძილზე ყველა რაღაცას ელოდა, ისინიც კი, ვინც არ და ვერ გახდნენ საინფორმაციო გამოშვებების მთავარი გმირები, თუმცა უნებლიეთ და, რაც მთავარია, მოულოდნელად მოვლენების განვითარების უშუალო მონაწილეებად იქცნენ. და კიდევ, იყო მრავალი თითქოს უმნიშვნელო დეტალიც, რომელიც ხსენებული მოვლენების განუყოფელი ნაწილი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ არ გახმაურდა.

## დეტალი პირველი: საზღვრის ჩაკეტვა ანუ საბედისწერო მანქანა

როგორც აღმოჩნდა, ჩოლოქის საზღვრის ბოლომდე დაბლოკვას სპეციალურად ამ მიზნით ფორმირებული ჯგუფები ნამდვილად ვერ მოასწრებდნენ, რომ არა იმერეთის ერთ-ერთი ქალაქიდან ბათუმში მიმავალი ის დიდი სატვირთო მანქანა, რომელიც ათმეტრიანი რკინის მილებით დატვირთული დილის ექვსი საათისთვის აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარს მიუახლოვდა. სატვირთო მანქანის მძღოლი თავის მხრივ გამოცდილი პროფესიონალი აღმოჩნდა და იცოდა, რომ ტვირთის გადაზიდვა დიდ მანძილზე ღამის საათებში და გამთენიისას უფრო მარტივია. თუმცა, არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ სახელისუფლებო კორტეჟი იმავე დროს ჩოლოქს უახლოვდებოდა და მის დასახვედრად მზადებაში მყოფი სპეცრაზმელები გზის დაბლოკვის ოპტიმალურ საშუალებებს ეძებდნენ. მან არც ის იცოდა, რომ სწორედ მის სატვირთო ავტომანქანას მოუწევდა ამ საბედისწერო ფუნქციის შეასრულება. ჩოლოქს მიახლოებულს, მას შეიარაღებული ჯგუფი გადაუდგა და იარაღის მუქარით მილებით დატვირთული მანქანით გზის გადაკეტვა უბრძანა. ეს და მრავალი სხვა დეტალი უკვე საღამოს, სწორედ ამ მანქანით გადაკეტილ საზღვარზე დანთებულ კოცონთან გავარკვიეთ. "გამოსავალი არ მქონდა, - ჩურჩულით ამბობს ჩვენთან საუბარში სატვირთო მანქანის მძღოლი, - ამდენი შეიარაღებული ადამიანი რომ დავინახე, წინააღმდეგობის გაწევა შემეშინდა. ან სად გავიქცეოდი ამხელა მანქანით? ცოტა გვიან მაინც რომ მოვსულიყავი, პრეზიდენტი საზღვრის გადალახვას ნამდვილად შეძლებდა," - სინანულით ამბობს იგი იმაში დარწმუნებული, რომ მოვლენების დრამატულად განვითარების საბაბი უნებლიეთ სწორედ მისი სატვირთო მანქანა გახდა.

## დეტალი მეორე: როგორ ტოვებდნენ "აღორძინების" წევრები ჩოლოქის საზღვარს

ჩოლოქზე გატარებული ორი დღის, ქობულეთში გათენებული ერთი ღამის და შეიარაღებულ პირებთან უსასრულო კამათის შემდეგ იმის თაობაზე, თუ რისი გადაღების უფლება აქვთ ფოტოჟურნალისტებს და რისი - არა, რის გადაღებას სჭირდება ადგილობრივი შტაბის სპეციალური ნებართვა და რის გადაღებას - უფლება ბათუმიდან, ბათუმში გამგზავრება გადავწყვიტეთ. საღამოს ბათუმისკენ მიმავალი ტრანსპორტის პოვნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. თუმცა, ისევ და ისევ საზღვარზე მოდარაჯე სპეცრაზმელების დახმარებით, რომლებზეც ჩვენმა ქართულ-პოლონურმა წარმომავლობამ ერთმნიშვნელოვნად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ერთ-ერთ სამარშრუტო ტაქსში აღმოვჩნდით. სპეციალურად დაქირავებულ მძღოლს, რომელიც ხანგრძლივი მოლოდინით გამოწვეულ უკმაყოფილებას ვერ ფარავდა, "აღორძინების" წევრები ბათუმში გადაჰყავდა. ის იყო, ადგილიდან დავიძარით, რომ მოულოდნელად რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი მანქანას გადაეღობა და ახალგაზრდებს საზღვარზე დაბრუნება მოსთხოვა - ახლად მიღებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი ბარამიძე თანმხლები პირებით ჩოლოქს უახლოვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უკმაყოფილება მძღოლის აღშფოთების ეკვივალენტური აღმოჩნდა, მათ მაინც მოუხდათ ბრძანების შესრულება. და მხოლოდ მძღოლთან ერთად მანქანაში მარტო დარჩენილებმა შევიტყვეთ, რომ მან არც ის იცოდა, თუ რატომ იყო საზღვარი გადაკეტილი, არც ის, თუ ვინ არის გიორგი ბარამიძე და, შესაბამისად, ვერც იმას ხვდებოდა, თუ რატომ შეფერხდა ბათუმში გამგზავრება მისი საზღვართან მოახლოების გამო. ჩვენ აღარ დავიწყეთ იმის ახსნა, თუ რა იყო მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზები და სამარშრუტო ტაქსის მძღოლს მხოლოდ ის ვუთხარით, რომ გიორგი ბარამიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრია. ამ ინფორმაციამ ჩვენ მძღოლზე დიდი შთაბეჭდილება, ბუნებრივია, არ მოახდინა და შესაბამისად, საკითხიც ღია დარჩა. დიდხანს ლოდინი არც ჩვენ მოგვიწია და დაძრულ მანქანას ისევ ის ახალგაზრდები წამოეწიენ, რომლებმაც უჩვეულო გულწრფელობით აღიარეს, რომ საღამოს სიბნელით ისარგებლეს და საზღვრის სადარაჯოები თვითნებურად დატოვეს. ჩვენ ბოლო-ბოლო ბათუმისკენ გავემგზავრეთ.

## დეტალი მესამე: ბათუმში ზღვის გადაღება აკრძალულია!

ჩოლოქზე შექმნილი ხალხმრავლობისგან განსხვავებით ბათუმი შემაშფოთებლად დაცარიელებული მოგვეჩვენა. ადამიანები დღისითაც კი ერიდებოდნენ სახლიდან გამოსვლას. საღამოს ექვსი საათის შემდეგ უპატრონო ძაღლების და ჯარისკაცების გარდა ქუჩაში არავინ ჩანდა. სკოლები დაიკეტა, დაწესებულებების უმრავლესობა აღარ ფუნქციონირებდა და სანაპიროზე მხოლოდ შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში თუ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები სეირნობდნენ. პირველი, რა გრძნობაც დაგვეუფლა, ის იყო, რომ ქალაქი რაღაც უცნაურ მოლოდინს მოეცვა. ეკონომიკურ სანქციებს ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტით გამოწვეული სრული ინფორმაციული ვაკუუმიც დაემატა და მოვლენების განვითარების საქმის კურსში ყოფნის ერთადერთი შესაძლებლობა ჩვენთვის თბილისთან მუდმივ სატელეფონო კავშირში აღმოჩნდა. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, თბილისიდან ვიგებდით და... ბათუმელებსაც ვაგებინებდით.

სამაგიეროდ, ჩოლოქისა და ქობულეთისგან განსხვავებით, უფრო მარტივი აღმოჩნდა იმის გაგება, თუ რას ფიქრობდნენ თავად აჭარაში მცხოვრები ადამიანები აჭარაშივე მიმდინარე მოვლენების თაობაზე. ავტონომიურ რესპუბლიკაში მშვიდობის შენარჩუნების სურვილით განპირობებული ქობულეთური პროპაგანდისტული ერთსულოვნება ბათუმურმა "პლურალიზმმა" და აზრის გამოთქმის სურვილმა შეცვალა. ჩვენთან საუბარში ადამიანები აზრს მართლაც რომ გულწრფელად, მაგრამ დიდი სიფრთხილით გამოთქვამდნენ. საკმარისი იყო მალაზიაში, კაფეში თუ ქუჩაში წამოწყებულ დისკუსიაში ვინმე უცხო პირი ჩაბმულიყო, რომ დისკუსია წყდებოდა და ჩვენც ფრთხილად გვანიშნებდნენ, რომ უმჯობესია, გავჩუმდეთ.

და თუკი მათი ციტირებისგან ამჟამად თავს ვიკავებთ, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ეს ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და ბრალდებები საკმარისზე კარგად და ყველასთვის ცნობილია. გასაკვირი ერთსულოვნება მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, როდესაც ერთნიც და მეორენიც გრძელვადიანი ეკონომიკური ბლოკადის შესაძლო შედეგებზე იწყებდნენ საუბარს. იმ შედეგებზე, რომლებიც ყველაზე მძაფრად დაუცველ ან ნაკლებად დაცულ ფენებზე აისახებოდა ისევე, როგორც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკასა და ესოდენ ნანატრი ინვესტორების საქართველოსთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზეც. ექსტრემალური სიტუაციის მიუხედავად, არც ის დავიწყებია არავის, რომ აჭარა, გარდა იმისა, რომ საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკაა, საზღვაო კურორტიც არის, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილიც მთელი წლის მანძილზე საკურორტო სეზონის დროს მიღებული შემოსავლების ხარჯზე ცხოვრობს. ისე რომ, ცენტრსა და რეგიონს შორის გაგრძელებულმა მოლაპარაკებებმა დამსვენებლებს ზაფხულში აჭარის მაგივრად გეზი მხოლოდ ურეკისკენ თუ ააღებინა, ან ურეკს მოუწევს ისევ ზღვის ხარჯზე სახმელეთო ტერიტორიის გაფართოება, რაც რეალურად შეუძლებელია, ან აჭარის მოსახლეობა აღმოჩნდება უმძიმეს სიტუაციაში, რაც დაუშვებელია.

ამ მოვლენების ფონზე კი ყველაზე რთული ბათუმის სანაპიროდან ზღვის პეიზაჟის ფოტოზე აღბეჭდვის უფლების მოპოვება აღმოჩნდა. შეიარაღებულ სამხედროებთან ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ მარტივი და მოკლე პასუხი მივიღეთ: ზღვის გადაღებას მთავარი შტაბის ნებართვა სჭირდება! ჩვენ, ბუნებრივია, არც შტაბის და არც მისი უფროსის სპეციალური ნებართვის ძიება აღარ დავიწყეთ, უბრალოდ, ზღვა მაინც გადავიღეთ და სხვა მრავალი დეტალის მოგვარებას, ბათუმში შემდგარი მოლაპარაკებების დღეს, უბრალოდ, თბილისში დაბრუნება ვამჯობინეთ.












იუსტინა მიელნიკიევიჩის ფოტოები

# რობოტებმა დიასახლისობა იტვირთეს

*"ძვირფასო, მომიდუღე ყავა, გარეცხე ჭურჭელი, გაასწორე საწოლი, გადაწმინდე მტვერი და არ დაგავიწყდეს საფოსტო ყუთიდან გაზეთების ამოღება", - თანამედროვე ქალებისთვის ასეთი მომაბეზრებელი ფრაზებით მიმართვა მალე მამაკაცებს უკვე ისეთი დამჯერი ქმნილებებისთვის მოუწევთ, როგორებიც რობოტი-დიასახლისები არიან.*

თუკი ტეხასელ ინჟინერს კრის უილისს დავუჯერებთ, 2004 წლის დეკემბრიდან გაყიდვაში უნდა გამოვიდეს პირველი დიასახლისი-რობოტი, რომელიც, მორჩილების გარდა, თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც მოხიბლავს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. ქალი-რობოტის ავტორი თავს იმითაც იწონებს, რომ მისი ქმნილება შინაგანად მეტად ახლოს იქნება ადამიანთან. მაშ ასე, გავიცნოთ პირველი რობოტი-დიასახლისი, რომელსაც ვალერი ჰქვია და რომლის დასახვეწადაც ავტორი, მისივე მტკიცებით, თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზრის საუკეთესო ნიმუშებს იყენებს.

მიიღო ვალერი ცოცხალ ქალბატონად, რასაკვირველია, რთული საქმეა, იმის მიუხედავად, რომ ამ ქმნილებას სილიკონი და ტანსაცმლის ქვეშ "სხეული", ასევე თმა, თითქმის "ცოცხალი" აქვს; საუბრისას მისი ტუჩები მოძრაობს; საკმაოდ დამაჯერებელი გამოხედვა აქვს მის თვალებს, რომელშიც ვიდეოკამერებია ჩამონტაჟებული. მართალია, სრულყოფილ მოძრაობებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ უილისი ირწმუნება, რომ ვალერი ივლის გაცილებით უკეთესად, ვიდრე ჩვენი პირველყოფილი წინაპრები.



ვალერის შეეძლება დაალაგოს ბინა, გააწყოს სუფრა, შეცვალოს გადამწვარი ნათურები, გარეცხოს თეთრეული, გადააადგილოს 22 კილოგრამამდე წონის ავეჯი, გარეცხოს ჭურჭელი. ვალერი იმუშავებს ინტერნეტშიც: შეიძენს ავიაბილეთებს, მოძებნის გარკვეულ ინფორმაციას საყვარელი საფეხბურთო გუნდის შესახებ. კრიტიკულ სიტუაციაში კი გამოუძახებს პოლიციასა და სახანძროს. ეს რობოტი ქალბატონი არავის შეაწუხებს ტანსაცმლის გახდა-ჩაცმაზეც კი. "მაგრამ, - აცხადებს რობოტის ავტორი, - ვისაც სურს სექსი მანქანასთან, სხვას მიმართოს!"

რადგანაც დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას არასდროს დაიწუწუნებს, არ იფიქროთ, რომ ეს მანქანა-ქალბატონი მუნჯია. როდესაც მფლობელი ვალერის მიუთითებს, თუ რა გააკეთოს, მანქანა აუცილებლად უპასუხებს (სხვათა შორის, მანქანა დაიმახსოვრებს მეპატრონესთან უკანასკნელ საუბარსაც). რობოტის პირველი გამოშვებები მხოლოდ ინგლისურად ისაუბრებენ. მოგვიანებით კი უილისი მას სხვა ენებსაც შეასწავლის. რაც შეეხება რობოტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ვალერი დაიმახსოვრებს დიასახლისის შესასრულებელ ყოველდღიური სამუშაოს ჩამონათვალს. მყიდველს, ასევე, შეეძლება აირჩიოს, ბრიტანული აქცენტით მოსაუბრე რობოტი-დიასახლისი ურჩევნია თუ ამერიკული აქცენტით მოსაუბრე.

ამერიკელი ინჟინერი დარწმუნებულია, რომ ათი წლის შემდეგ ამერიკელთა 10 პროცენტს სახლში აუცილებლად ეყოლება სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელი დამხმარე რობოტი. გამომგონებლის ასეთ თამამ ვარაუდებს ხელს უწყობს რობოტზე გაჩენილი მოთხოვნილება – უილისმა საკმაო რაოდენობის შეკვეთა მიიღო. რაც შეეხება ფასს, რობოტი-დიასახლისი 59 ათასი ამერიკული დოლარი ეღირება. მყიდველებს ამერიკელი ინჟინერი ორი წლის მუშაობის გარანტიას აძლევს. უილისის აზრით, ჩვეულებრივი ქალები, რომლებსაც მამაკაცები იმავე სამუშაოს შესრულებას ავალდებულებენ, რასაც ვალერი უსიტყვოდ ასრულებს, უფრო მალე გარბიან.

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა, საქართველო"



**იან ჰაო** - შეფ მზარეული რესტორანი "პიკასო"

### წი ტა ჩაომიფა

**ინგრედიენტები:**

200გ ბრინჯი
1ც კვერცხი
1ც სტაფილო
2-3ც მწვანე ხახვი
ზეთი
მარილი

**მომზადების წესი:**

მოუშუშეთ ზეთში წვრილად დაჭრილი სტაფილო და ხახვი, დაუმატეთ მოხარშული ბრინჯი, ჩააბალეთ კვერცხი, კარგად აურიეთ და უშუშეთ 5-10 წუთი. მარილი გემოვნებით.

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა, საქართველო"



**იან ჰაო** - შეფ მზარეული რესტორანი "პიკასო"

### შემწვარი ბანანი ცომში

**ინგრედიენტები:**

2ც ბანანი
1ჩ/ჭ პურის ფქვილი
1,5ჩ/ჭ წყალი
0,5ჩ/ჭ სახამებელი
20გ ჩინური ტკბილი ფქვილი ან საფუარი
0,5ლ ზეთი
თაფლი

**მომზადების წესი:**

გახსენით წყალში ფქვილი, სახამებელი და საფუარი, ურიეთ მანამდე სანამ არ მიიღებთ ერთგვარ თხელ მასას. ჩაყარეთ ცომში საშუალო ნაჭრებად დაჭრილი ბანანი და აურიეთ.
მიიყვანეთ ზეთი დუღილამდე, ჩაყარეთ ცომში ამოვლებული ბანანები და გააჩერეთ ვარდისფერი ფერის მიღებამდე.
მიირთვით თაფლთან ერთად.

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა, საქართველო"



**იან ჰაო** - შეფ მზარეული რესტორანი "პიკასო"

### გუმბაო

**ინგრედიენტები:**

1ც ქათმის ბარკალი
1ც ბულგარული წიწაკა
1ც პატარა კიტრი
50გ არაქისი
200გ ზეთი

**სოუსი:**

2ც წითელი წიწაკა
1ს/კ ტომატ პასტა
2 კბილი ნიორი
1ც მწვანე ხახვი
2ს/კ შაქარი
1ს/კ ძმარი
0,5ს/კ მარილი
150გ წყალი
50გ ზეთი

**მომზადების წესი:**

ქათმის ბარკალს მოაცილეთ ძვალი, დაჭერით და შეწვით ზეთში. დაუმატეთ საშუალო ნაჭრებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, ხახვი, კიტრი და არაქისი. უშუშეთ 5-10 წუთი. ამის შემდეგ გადაღვარეთ ამოვლებული ზეთიდან.
სოუსი: იმავე ზეთში დაუმატეთ ტომატ-პასტა, წყალი, წვრილად დაჭრილი ხახვი, წითელი წიწაკა, ნიორი, შაქარი, ძმარი და მარილი. უშუშეთ ნელ ცეცხლზე, ოდნავ გასქელებამდე.
შემდეგ სოუსში დაუმატეთ შემწვარი ქათმის ხორცი, კარგად აურიეთ და გააჩერეთ ცეცხლზე 5 წუთი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*23 მარტი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** "ტელელიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "მილანი"-"დეპორტივო" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი"-"არსენალი"

### TV 5

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), **13.00,** 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 00.00,** 02.50(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00,** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.25** ევროპის ახალი სახეები. კიპრი. (გაგრძელება) **11.30** ტადიციული ხელობა. სენტ ვერანი. ხის დამუშავება. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. აფრიკა. ციფრული ტექნიკა და რეალობა. **21.25** მსოფლიოს ყველაზე დიდი დრიური. 03 55 სიცოცხლე სხვების გულში. ალჟირი. დოკ. ფილმი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "ლეგენდა ბაგერა ვანსზე" **11.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** პარლამენტის არჩევნები **17.15** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** საქართველო და გარესამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** და არს მუსიკა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** ჩვენი ფეხბურთი **23.30** მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "აფერისტები". მთ.რ-ში მასტერ პი, ე. ჯონსონი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მხეცი" მთ. რ-ში სამი ნასერი, მარკ ლევი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "რჩეული 2" (ერიკ რობერტსი) **23.00** მხ. ფილმი "პრიცის ოჯახი" (ჯეკ ნიკოლსონი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "შერეკილები არდადეგებზე" **21.10** "ჟურნალის ისტორია" **21.35** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "მემაქმანე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "მკვდარი პოეტების საზოგადოება" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "შფოთის თავები" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ეშმაკი ქურდი" **00.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** ღამის მატარებელი **14.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" მე-10ს. **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზურგის ქარი" მე-4ს. **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "რაც გინდა აკეთე" მე-4ს. **01.00** მხ. ფილმი "ველური მდინარე" (მერილ სტრიპი)

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 14.35, 16.50, 02.55** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი" **11.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25** დოკ. სერიალი "მექსიკელი ბენუელი" **14.05** დოკ. სერიალი "მექსიკელი ბუნუელი" **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ტკბილი ტყუილი" **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.00, 19.00, 21.00, 22.00, 02.40** ქრონიკა **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "მტვრის გემო" **21.30** ლარის მახე **22.45** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **23.40** ერთხელ ჰოლივუდში **00.10** მხ. ფილმი "ციხის რომანსი" **01.45** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ"

### არხი

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **12.00** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** მიუზიკჰოლი **15.15** მხ. ფილმი **17.20** ჯაზის საღამოები (განმ.) **17.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ისტორიული ფილმი "ალექსანდრე დიდი" **11.40** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10** მხ. ფილმი "ომის ბილიკზე" **13.00, 17.00, 19.00, 22.20, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **13.45** მუსიკა **14.10** ფილმი-ფანტასტიკა "მაიმუნების პლანეტა" **16.10** მულტფილმი **17.10** დოკუმენტური ფილმი **18.10** მხ. ფილმი "ბრაუნინგის ვერსია" **19.40, 20.10, 03.10** მუსიკა **20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **20.30** თრილერი "მედალიონი" **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** მელოდრამა "გაეცანით დოროტი დენდრიჯს" **03.40** მხ. ფილმი "ჰავანა"

### ОРТ

**ОРТ 07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 20.00 Сериал "Клон" 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "К расследованию приступить". Фильм 1-й, 1 с. 14.40** Док.фильм "Две души одного тела" **15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.25** "Любовные истории". Ирина Лобачева и Илья Авербух **21.00 Сериал "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** Время **23.40 Тайны века.** "Пропавший сын Никиты Хрущева" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "На футболе" **01.40** "Сканер" **02.10** "Русский экстрим" **02.40 Худ.фильм "Багровый шторм" 04.40 Худ.фильм "За отдельными столиками"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Небо и земля" 10.50** "Короткое замыкание". Ток-шоу **11.45, 14.45, 17.25, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50, 23.00 Сериал "Пан или пропал" 15.30 "**Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени-2. Оптический обман" 19.00 Сериал "Комиссар Рекс" 19.55 Сериал "Закон" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Небо и земля" 00.00** Вести+ **00.20** "Сталин. Личная жизнь в революции" **01.30 Худ.фильм "Осторожно! Красная ртуть" 03.00 Фигурное катание.** Чемпионат мира. Обязательный танец **04.00** Дорожный патруль **04.20** Агентство одиноких сердец **04.40 Сериал "Навеки Джулия"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Рокировка" 11.00** Сегодня утром **11.25** Мультфильм "Новые бременские" **12.20 Ток**-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.55** "Сегодня" **13.30 Комедия "Добро пожаловать, или посторонним вход воспрещен" 15.00** Мультфильм "Приключения пингвиненка Лоло". Часть 1 **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип "домино" **18.30 Сериал "Как в старом детективе". 2 с. 19.35** Протокол **20.40 Сериал "Литовский транзит". 2 с. 21.50 Сериал "Рокировка". 6 с. 23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол. Лига чемпионов. 1/4 финала. "Милан"** (Италия) - **"Депортиво"** (Испания) **01.45 Сериал "Литовский транзит" 03.20** Дневник Лиги чемпионов

# ემინემი საკუთარ თავს დასცინის



კოლეგების დაცინვით გამორჩეული რეპერი ემინემი პირველად მიმართავს საკუთარი თავის პაროდირებას. როგორც ცნობილია, სოლოკარიერის გარდა, მუსიკოსი გარკვეულ დროს უთმობს ჯგუფ D-12-ს. და აი, ამ კოლექტივის ერთ-ერთ ახალ კლიპში, რომლის სახელწოდებაცაა My Band, მარშალ მეზერსი საკუთარ თავს დასცინებს. სიუჟეტის მიხედვით, ემინემი განასახიერებს როკ-ჯგუფის ფრონტმენს, რომელსაც არ სურს, საკუთარი წარმატებები კოლეგებთან ერთად გაიზიაროს და ამჯობინებს, ვარსკვლავობით მიღებული შემოსავალი დაისაკუთროს. სლიმ შეიდთან ერთად კლიპში გამოჩნდება მისივე კოლეგა 50 Cent, რომელსაც D-12-ის ერთ-ერთი წევრი განასახიერებს. სიმღერა My Band შევა ჯგუფის ალბომში D-12 World, რომელიც 26 მარტიდან გაიყიდება.

# აპარატი, რომელიც ფიქრებს ახმოვანებს

"ნასას" კვლევითი ცენტრის Ames-ის მეცნიერებმა შექმნეს ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია დააფიქსიროს ადამიანის აზრები მაშინ, როდესაც იგი საკუთარი თავის შესახებ გულში საუბრობს. ამისათვის სულაც არაა აუცილებელი, ადამიანი ტუჩებსა და ენას ამოძრავებდეს.

მეცნიერთა ჯგუფის ლიდერის ჩაკ იორჰენსენის თქმით, როდესაც ადამიანი ფიქრობს, ეს საუბარი ორგანოებს სუსტი ნერვული სიგნალებით გადაეცემათ; რისი დაფიქსირებაც შესაძლებელია გადამცემის საშუალებით. სირთულეა მხოლოდ ამ სუსტი ბიოლოგიური "ენის" გაშიფვრა, რადგანაც ეს ხმები შიგადაშიგ იკარგება. "საკუთარ თავზე" მოსაუბრე ადამიანის მოსმენა სხვაგვარად შეუძლებელია - ყელზე დამაგრებულ მიკროფონისაც არ შეუძლია ამ სიტყვების დაჭერა".

პირველი ექსპერიმენტისას ხელსაწყომ 92-პროცენტიანი სიზუსტით ამოიცნო გარკვეული სიტყვები და ციფრები. მეცნიერები ამბობენ, რომ დროთა განმავლობაში ამ ტექნოლოგიას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს იმ ადამიანებს, რომელთაც მეტყველების აპარატი აქვთ დაზიანებული ან, უბრალოდ, ხმაურიანი ცეხის მუშებსა და ასტრონავტებს – მათ, ვინც ფიქრებით, უხმოდ მართავს კომპიუტერებსა და ასრულებს სხვადასხვა სახის სამუშაოს.

**ბრიტანული სამედიცინო - ფარმაცევტული კომპანია "გლაქსოსმიტკლაინის" წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე ქ. თბილისში.**

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (ძველი საბჭოური სტილის);

- ავტობიოგრაფია ინგლისურ ენაზე (ე.წ. CIVI);

- უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

- ერთი ფოტოსურათი 3X4;

საბუთების მიღება წარმოებს 2004 წლის 26 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 54**
**ტელ: 25-08-14; 25-24-92**

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*22, 29 მარტი*
*5, 12,19, 26 აპრილი*
"თავისუფალი თეატრი"

*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი საკვალიფიკაციო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეებისთვის და მოზრდილებისთვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერთიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- A-Level 10-11 კლასელებისთვის და სკოლადამთავრებულებისთვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულებისთვის 1 წლით.
MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com



იჯარით გაიცემა რამოდენიმე კოტეჯი ბორჯომის პლატოზე, კომპოზიტორთა შემოქმედებისა და დასვენების სახლის ტერიტორიაზე.

შ.პ.ს "მუსიკალური ფონდი"
ტელ: 39 11 46 39 55 07
მის: ა.ყაზბეგის გამზირი №20ა

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.